პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დილი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან
ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—[illegible]
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34,
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 6—48.

დ ღ ი უ რ ი

— გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი გეორგ ბრანდესი.
— ჩრდილოეთ ამერიკის სამ შტატზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა.
— კენიგსბერგის გამოფენის გახსნა.
— გაიხსნა გერმანიის კ.-პ. ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კონფერენცია.
— ჩან - ძო - ლინი სამხედრო კონფერენციას იწვევს.
— ბაქოს ბაზრობა გაიხსნება 25 თებერვალს.

სამშაბათი, 22 თებერვალი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 42 (1797)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
მარტისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

საბოლოო გამარჯვების გზაზე

კანტონის არმიის ძლევამოსილი მსვლელობა გრძელდება. ქ. ხანჯოუს (ჩენძიანის პროვინცია) დაპყრობის შემდეგ ის თითქმის უშუალოდ მიადგა შანხაის, რომელიც იმპერიალისტების უმთავრეს დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენს ჩინეთში. სუნ - ჩუან - ფანი, რომელზედაც ნაციონალურ რევოლიუციასთან ბრძოლაში უცხოელი მოძალადეები დიდ იმედებს ამყარებდენ, საბოლოოდ განადგურებულად უნდა ჩაითვალოს. მისი დამარცხებული ჯარების ნამსხვრევები უკვე შანხაის სცლიან და ნანკინისაკენ მიემართებიან.

ამგვარად, კანტონის მიერ შანხაის დაუფლება უახლოესი დროის საქმეა. ასეთი ხვედრის თავიდან აცილება უკვე შეუძლებელია სუნ - ჩუან - ფანისა და საერთოდ ჩრდილოელ მილიტარისტებისათვის.

რაც შეეხება იმპერიალისტებს, ისინი, ვფიქრობთ, არ გაბედავენ ჩინეთის სამოქალაქო ომში აშკარად ჩარევას და კონტრრევოლიუციისათვის თავის სამხედრო ძალების მიშველებას. და ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩინეთის საკითხში მათ შორის არ არის შეთანხმება მიღწეული და, შემდეგ, თავისი ჩარევით ისინი უფრო გააძლიერებენ იმ აღშფოთებას იმპერიალისტურ ქვეყნებისა და მათი მოქალაქეთადმი, რომელიც ისედაც მძლავრია ჩინეთის ხალხში, ხოლო ვერ მოახერხებდენ კი თავის ბატონობის შენარჩუნებას, ვინაიდან 400 მილიონიანი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის შეჩერება აღემატება ყველა იმპერიალისტების გაერთიანებულ ძალებსაც კი.

ეს ხალხი კანტონის მთავრობას აქტიურად უჭერს მხარს და ერთიანად ამხედრებულია, როგორც კონტრრევოლიუციის, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამას მოწმობს ის საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გამოცხადდა შანხაიში ნაციონალური არმიის გამარჯვების საპატივსაცემლად და რომლის ლოზუნგია სუნ-ჩუან-ფანის განდევნა შანხაიდან, უცხოელ ჯარების გაყვანა და ძალა - უფლების გადაცემა კანტონის მთავრობისათვის. ამასვე გვიჩვენებს ის საყოველთაო აღშფოთება, რომელიც გამოიწვია მთელი ჩინეთის მასებში ინგლისის ჯარების გადასხმამ შანხაიში. ჯარების გაგზავნით ინგლისს უნდოდა ჩინელების დაშინება, მაგრამ საწინააღმდეგო ეფექტს მიაღწია — ინგლისის წინააღმდეგ ამხედრა მთელი ჩინეთი, აი რას გვეუბნება დღევანდელი ცნობა.

კანტონისადმი ხალხის ასეთი თანაგრძნობის პირობებში მილიტარისტების მეთაურმა, ჩან-ძო-ლინმა დაიწყო შეტევა სამხრეთის წინააღმდეგ. ის უკვე შევიდა ხენანის პროვინციაში, დაიკავა ჩენჯოუ და მიიწევს ხანკოუს მიმართულებით. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მისი ექსპედიცია განწირულია დასამარცხებლად.

ამის საბუთები შემდეგია: პირველი—ესაა, როგორც ზევით ვსთქვით, ხალხის აქტიური თანაგრძნობა კანტონისადმი და მისი სიძულვილი მილიტარისტებისადმი. ამ მხრივ ჩან-ძო-ლინის ზურგი არ არის მტკიცე, იქ მოსალოდნელია აჯანყებები, რაც აიძულებს საკმაო ძალები იყოლიოს „შინაური წესრიგის" დასაცავად.

მეორე, ჩან-ძო-ლინი სრულებით არ არის უზრუნველყოფილი თავისი ჯარების მასიური დეზერტირობისა და დაშლისაგან, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ უ-პეი-ფუს და სუნ-ჩუან-ფანის არმიებში; ჯარს, რომელიც მოწყვეტილია ხალხს და მოწოდებულია ანტისახალხო საქმისათვის სისხლის დასაღვრელად, არ შეუძლია ომის თავგანწირული წარმოება საერთო რევოლიუციონური ატმოსფეროში.

მესამე, შეურიგებელ უთანხმოებას აქვს ადგილი ჩრდილოელ „მოკავშირეებს" შორის, ამან გამოიწვია „ანგოჯუნ"-ის (მილიტარისტების გაერთიანებული არმია) უმოქმედობა დღემდე. უ-პეი-ფუს და სუნ-ჩუან-ფანს ეშინიათ ჩანის, ვაი თუ ჩვენი მიწა-წყალი დაიკავოს, რომ მისი ჯარები დასახმარებლად შემოუშვათო. ჩან-ძო-ლინი ეხლა უ-პეი-ფუს სურვილის წინააღმდეგ შეიჭრა ხენანში და მათ შორის შეტაკებაც ხდება.

მეოთხე, რევოლიუციონურ არმიების სამხედრო მდგომარეობა გაცილებით უფრო ხელსაყრელია ჩან-ძო-ლინისაზე.

უკანასკნელის ხან-კოუსაკენ მიმავალ ჯარების ზურგს და ფრონტს ემუქრება ფინ-იუ-სიანი, რომელიც თავისი არმიით იმყოფება სუიუანის და შენსის პროვინციებში. ფინს შეუძლია ერთის მხრით პეკინისაკენ გალაშქრება, მეორე მხრივ ხანკოუ-პეკინის ხაზის გადაჭრა და ჩან-ძო-ლინის ფრონტის გარღვევა. ამიტომ უკანასკნელს მოუხდება დიდძალი ნაწილის გამოყოფა ამ საფრთხის ასაცილებლად. ამავე დროს შანხაის აღებით ჩან-კაი-შის მიერ, რაც აუცილებელია შექმნილ პირობებში, მისი მარჯვენა ფრონტი უზრუნველყოფილი იქნება შემოვლისა და შემოტევისაგან, რაც ნაციონალურ არმიის მთავარსარდალს საშუალებას მისცემს მთავარი ძალები ხანკოუ-პეკინის ფრონტზე გადაისროლოს ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ. და ეჭვი არ არის, რომ რევოლიუციონური სულით გაჟღენთილი და ხალხის თანაგრძნობით ზურგ გამაგრებული კანტონის არმია ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა.

შესაძლებელია, რომ იმპერიალისტები შეეცდებიან რევოლიუციასა და კონტრრევოლიუციას შორის საერთო ხაზის ჩამოგდებას, ამასთან არ არის მოულოდნელი, თუ ჩან-ძო-ლინი ამ მხრივ გადადგამს ნაბიჯს. მაგრამ ამაზე დათანხმება სასარგებლო იქნება უმთავრესად იმპერიალისტებისა და მილიტარისტებისათვის. „ობსერვერ"-ში გარვინი სწერს: „როდესაც იან-ცზი სრულწყლიანი გახდება, სამხრეთელი ნაციონალისტები დაკარგავენ თავის ძალას, როგორც იანცზიში, ისე მის გარედ, თუ არ უზრუნველყოფენ საზღვაო სახელმწიფოების კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს". ზამთრობით მდ. იანცზიზე არ შეიძლება დიდი სამხედრო გემების გატარება და, სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ინგლისის სისუსტე. გარვინი აშკარად ამბობს—როცა ეს მდგომარეობა შეიცვლება, ინგლისი თავისი ფლოტის ძალას უჩვენებს კანტონს, თუ ის დათმობებზე არ წავიდაო. რა თქმა უნდა, სისულელეა იმის თქმა, რომ ფლოტით შეიძლებოდეს ჩინეთის დამორჩილება, მაგრამ ცხადია, რომ თუ ჩან-ძო-ლინი სერიოზულ და კანტონისთვის საშიშ ძალად გახდება, ინგლისი არ დააყოვნებს მიშველოს და თავის მხრივ ზარბაზნები დაუშინოს ხანკოუს და იანცზის ნაპირებზე მდებარე სხვა ქალაქებს. ამისათვის კი მათ ესაჭიროებათ დრო. კანტონის მთავრობას, ეჭვი არ არის, რომ ყველაფერი ეს გათვალისწინებული აქვს და ის არ დააყოვნებს მიღწეულ გამარჯვებათა გამოყენებას მილიტარისტების გასანადგურებლად. რაც იმავე დროს ნიშნავს მსოფლიო იმპერიალიზმის სასტიკ დამარცხებას.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ღარიბ გლეხობას

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებიდან და დადგენილებებიდან, არის სოფლის ღარიბი მოსახლეობის ჩაბმა წევრების სახით სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში და ფართე საკრედიტო დახმარების მიწოდება სოფლის ღარიბ ფენებისათვის, მათი მატერიალურ კეთილდღეობის აწევის მიზნით.

ვინაიდან ღარიბ მეურნეობებს არ მოეპოებათ წარმოების ძირითადი საშუალებანი, ღარიბ გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა აღსადგენად საჭიროა დიდი ხარჯები და, ამასთან დაკავშირებით, დაქსაქსულ ღარიბ გლეხების დასახმარებლად სახელმწიფომ უნდა გაიღოს მსხვილი საკრედიტო საშუალებანი, ამიტომ ღარიბ გლეხობისათვის დახმარების გაწევის საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს ისეთი, რომელიც მიდის სოფლის საწარმოო ორგანიზაციებში (სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, კოლექტიური მეურნეობები, სას.-სამ. არტელები, სამანქანო ამხანაგობები და სხვ.), გაერთიანებულ ღარიბ მოსახლეობისათვის კრედიტის მიწოდების ხაზით.

ღარიბ მოსახლეობის ხსენებულ ორგანიზაციებისათვის კრედიტის მიწოდებასთან ერთად წარმოებულ უნდა იქნეს აგრეთვე კრედიტის მიწოდება კოოპერაციაში გაერთიანებულ ღარიბ მეურნეობათა ერთეულებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი წარმოადგენს რა საუკეთესო იარაღს გლეხობის გაერთიანებათა საწარმოო პროცესებზე და საორგანიზაციო ფორმებზე გავლენის მოსახდენად, ის ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს რაციონალურად გამოიყენოს საკრედიტო რესურსები ღარიბ მეურნეობათა გაერთიანებულ ორგანიზაციების წასახალისებლად და საკრედიტო ზეგავლენით ორგანიზაციულ ფორმების გასაუმჯობესებლათ.

ღარიბ გლეხობის ყოველგვარი გაერთიანებები ჩამოყალიბებულ უნდა იქნენ საკუთარი წესდებით და იურიდიულ პირთა სახით უნდა შედიოდენ წევრებად საკრედიტო ამხანაგობებში.

ღარიბ გლეხობის გაერთიანებათა და ცალკე ერთეულების მიღება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების წევრებათ შემსუბუქებულ უნდა იქნეს საწევრო გადასახადების ნაწილობრივად გადახდევინებით 2 წლამდე. წევრები, რომელთაც შეიტანეს ჩასარიცხი გადასახადი და მიიღეს საპაიო გადასახადის ნაწილობრივად შეტანის უფლება, უნდა სარგებლობდენ საკრედიტო ამხანაგობათა წევრების ყველა უფლებებით და უპირატესობებით.

რადგან ყველა ღარიბ მეურნეობათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა დიდი საშუალებანი, სას.-სამეურნეო კრედიტის სისტემა სოფლის ღარიბ ფენებს საკრედიტო დახმარებას უნდა აწვდიდეს, როგორც სპეციალურ ფონდიდან, ისე თავის საერთო სავეგმო საშუალებებიდან. ღარიბ გლეხობის მეურნეობას საკრედიტო დახმარება უნდა გაეწიოს ისეთი რაოდენობით, ისეთი ვადით და იმგვარ დანიშნულებებისათვის, რომ ის სამომხმარებლო მეურნეობიდან საქონლის მეურნეობათ გადაიქცეს.

1926 წლის ბიუჯეტით ა. კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის ღარიბ მოსახლეობისათვის კრედიტის მისაწოდებლათ გადადებულ იქნა 520.000 მანეთი, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სპეციალურ ფონდს ღარიბ მეურნეობათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ამ ფონდს მიმდინარე 1927 წელს იმავე წყაროდან ემატება კიდევ 550.00 მანეთი.

დასახელებული ფონდი სრულებითაც არ არის საკმარისი ღარიბ გლეხების მეურნეობათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, ის შევსებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სას.-სამ. კოოპერაციის მოგებათა ანარიცხებიდან, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების, გლეხკომების და სხვ. ასიგნობებიდან. აღნიშნულ ფონდში უნდა იქნეს გადარიცხული აგრეთვე პროცენტები, რომლებსაც სასოფ.-სამეურნეო ბანკები იღებენ ღარიბ მოსახლეობის ფონდიდან გაცემულ სესხებზე.

აღნიშნული ფონდები უნდა დაარსდეს როგორც ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკში, ისე რესპუბლიკების ბანკებშიაც, რომელთა ბალანსებში ისინი მოქცეულ უნდა იქნენ სპეციალურ მუხლში: „ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტის მისაწოდებელი ფონდი".

სპეციალურ ფონდიდან გაცემული სესხები მაქსიმალურათ შეღავათიანი უნდა იყვეს. კრედიტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს. ღარიბ გლეხთა ერთეულების ან მათ კოლექტივებისათვის მიწოდებულ კრედიტის ვადის საკითხში საკრედიტო ამხანაგობებმა დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, ზედმიწევნით უნდა შეათანხმონ მიზნობრივი დანიშნულებანი—სამეურნეო ბრუნვასთან, ხოლო კრედიტის დაფარვის ვადა—მოსავლიანობის მომენტებთან და იმ პერიოდთან, როცა ღარიბ მეურნეობებს მოეპოვებათ ფული კრედიტის დასაფარავათ.

კერძოთ, საჭიროა ღარიბ გლეხებს და მათ გაერთიანებებს კრედიტი მანქანების და მუშა-საქონლის შესაძენათ მიეცეს უფრო ხანგრძლივი ვადით. მანქანების შესაძენად მიცემულ კრედიტების ჩვეულებრივი ვადა, რომელსაც აწესებენ მომწესრიგებელი ორგანოები, გადიდებულ უნდა იქნეს თუნდაც ერთი წლით. ამასთანავე ერთად, საკრედიტო ამხანაგობებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ღარიბ მეურნეობათა არა მარტო საწარმოო საჭიროებანი, არამედ სამეურნეო მოთხოვნილებებიც, რომელთაც ჩვეულებრივათ არ ითვალისწინებს საკრედიტო გეგმების ნომენკლატურა, როგორც მაგალითად: გადასაზიდ საშუალებათა შეძენა, სამეურნეო შენობების შეკეთება, მსუბუქ სამეურნეო ინვენტარის (ცული, თოხი, ბარი და სხვ.) შეძენა. ასეთ შემთხვევებში სესხის რაოდენობა შეფარდებულ უნდა იქნეს იმ საჭიროებასთან, რომლისთვისაც გაიცა სესხი. სესხის დაფარვის ვადა შეთანხმებულ უნდა იქნეს ღარიბ გლეხების სამეურნეო მდგომარეობის შედარებითი განმტკიცების მომენტთან და, ყოველ შემთხვევაში, დაყოფილ უნდა იქნეს პროპორციულ ნაწილებათ, რომელთა შორის კრედიტის პირველი ნაწილი უნდა დაიფაროს 2-3 წლის განმავლობაში იმის მიხედვით, თუ როგორია ღარიბ მეურნეობათა მდგომარეობა. დაუშვებელია კრედიტის მიწოდება ღარიბ გლეხობისათვის სამომხმარებლო საჭიროებათა სპეციალურ ფონდიდან.

სესხები სპეციალურ ფონდიდან შეღავათიანი უნდა იყვეს არა მარტო ვადების მხრივ, არამედ პროცენტების გადახდევინების მხრივაც; საჭიროა სასტიკათ დაცულ იქნეს ღარიბ მეურნეობათათვის მიცემულ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთის რაოდენობა და არაფრითარ შემთხვევაში არ ხდებოდეს გრძელვადიან სესხებზე 6-ზე მეტი და მოკლევადიან სესხებზე 10-ზე მეტი პროცენტის დაწესება; გრძელვადიან სესხებზე პროცენტების გადახდევინება დაწესებულ უნდა იქნეს ღარიბი გლეხის მეურნეობის შედარებით გამაგრების მომენტიდან, 2 ან 3 წლის შემდეგ სესხის მიცემიდან.

ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტის მიწოდების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ამხანაგობათა მიერ იმ საკითხის სისწორით გამორკვევას, თუ როგორია ხსენებულ მეურნეობათა ეკონომიური მომზადება და რამდენათ შესძლებენ ისინი სესხის დაფარვას დაწესებულ დროისთვის. თვითეული მევალის ინდივიდუალური ობიექტური შეფასება, მისი პირადი თვისებების, შრომის მოყვარეობის, ენერგიის და უნარის თვალსაზრისით, საკრედიტო ამხანაგობას უნდა აძლევდეს იმის გარანტიას, რომ ღარიბი მეურნეობანი მიზანშეწონილად გამოიყენებენ სესხებს. ღარიბ მეურნეობებისგან კოლექტივების დაარსებასთან ერთად სამეურნეო ამხანაგობამ უნდა გამორკვიოს, რის შეძენა არის მათთვის საჭირო და რა თანხა უნდა მიეცეს მათ ამისთვის ღარიბ მოსახლეობის ფონდიდან. ღარიბ გლეხთა ასეთ კოლექტიურ ორგანიზაციებს უნდა გაეხსნას ისეთი კრედიტი, რომელიც, თავისი შეღავათიანი პირობების გამო, კრედიტის გადახდის საშუალებას მისცემს მათ.

ღარიბ მოსახლეობის ფონდის მიზანშეწონილად გამოყენება ღარიბ მეურნეობათა რეკონსტრუქციისათვის შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ამუშავებით საკრედიტო დახმარების ხაზით და ამიტომ ღარიბ მოსახლეობის ფონდის საშუალებათა განაწილება უნდა ხდებოდეს არა მექანიკურათ, არამედ სოფლის საზოგადოებრივობის (ს. ს. კოოპერაცია. გლეხკომები, ამასკომები და სამიწათმოქმედო ორგანოები) წარმომადგენელთა უახლოესი მონაწილეობით.

კოოპერატიულ აღმშენებლობაში ღარიბ გლეხების და მათ გაერთიანებების ჩასაბმელათ, აუცილებელია მატერიალური დაინტერესების შექმნა მათთვის, რისთვისაც საჭიროა: ა) კოოპერაციის ხარჯზე მყოფი გასაქირავებელი, საგრილებელი და მარცვლის საწმენდი პუნქტები შეღავათიან ფასებში და პირველ რიგში უნდა აწვდიდენ მათ დახმარებას;

ბ) უნდა მოეწყოს სასოფლო - სამეურნეო იარაღების და მანქანების, თესლეულობის, სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის და სხვ. მიწოდება შეღავათიან პირობებში;

გ) უნდა სწარმოებდეს პროდუქტების გასაღებიდან მიღებულ მოგების დაბრუნება სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით

დ) სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის და სამიწათმოქმედო ორგანოების აგრონომიული პერსონალი სისტემატიურ დახმარებას უნდა უწევდეს ღარიბ გლეხობას.

ზემოდ ჩამოთვლილი და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებით შესაძლოა განხორციელებულ იქნეს ღარიბ მასების ფართოდ ჩაბმა კოოპერაციაში და კოოპერატიული აქტივის შექმნა მათ წრეში.

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის უმაღლესმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ და სისტემატიურათ უნდა შეამოწმონ ღარიბ მოსახლეობის ფონდის სისწორით გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მუდმივი კონტროლი და ქვემდგარე ორგანოების ხშირი დათვალიერება. უნდა შემოღებულ იქნეს ანგარიშიანობის მკაფიო და მარტივი ფორმები. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ღარიბ მოსახლეობის ფონდის საშუალებათა გამოყენება არა თავის დანიშნულებისამებრ, კრედიტის ვადის მექანიკურად შემოკლება, პროცენტულ განაკვეთის გადიდება და სხვ.

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემა უმთავრეს ამოცანათ უნდა ისახავდეს მცირე შეძლების და ღარიბ გლეხთა ფენების განთავისუფლებას სოფლის შეძლებულ ელემენტების ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან და მტკიცე ბაზისის შექმნას სოციალური აღმშენებლობისათვის.

ქ. ჩხენკელი.

თბილისის მუშკოოპის მდგომარეობა და მისი ამოცანები

საკითხი მუშკოოპის მდგომარეობის, მისი მიღწევების და, უმთავრესად, მის ნაკლულოვანებების შესახებ, გადაიქცა პარტიის თბილისის კომიტეტის მე-2 პლენუმის ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტად. ეს ინტერესი, რომელიც გამოიჩინა თბილისის კომიტეტის პლენუმმა კოოპერაციის მუშაობისადმი, შემთხვევითი არ არის. საერთოდ მუშათა მასამ შეიგნო თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა უმთავრესად საცალო ფასების დაკლების, და არა ნომინალური სამუშაო ხელფასის გადიდების გზით, რაც დღევანდელ პირობებში აუცილებლივ გამოიწვევდა ჩერვონეცის დაცემას. ამიტომ იჩენს პროფესიონალური მასა განსაკუთრებულ ინტერესს კოოპერაციის მდგომარეობისა, მისი ზედნადები ხარჯებისა და საცალო ფასების დაკლებისაკენ მიმართულ ღონისძიებებისადმი. ასეთივე ინტერესი იყო აღსანიშნავი თბილისის კომიტეტის პლენუმზე.

როგორია მუშკოოპის მდგომარეობა და მის წინ წამოჭრილი ამოცანები?

გასულ 1925-26 წელში მუშკოოპმა თავისი სავაჭრო საბრუნავი თანხა 10 მილიონიდან აიყვანა 13 მილიონ მანეთამდე; დეფიციტიანობიდან წინა წლებში, როცა კოოპერატივმა იზარალა 300.000 მანეთი, ის გადავიდა მომგებიანობაზე, გაადიდა თავისი ძირითადი კაპიტალი და სხ., მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს მის მუშაობაში შემჩნეული მთელი რიგი დიდი ნაკლულევანებები, რომელთა გამოსწორებასაც საჭიროა მიექცეს ქალ. თბილისის მშრომელი მასის მთელი ყურადღება.

პირველ ყოვლისა თვალში გვეცემა შეუთანხმებლობა მუშკოოპის სავაჭრო ბრუნვასა, სავაჭრო საქმიანობასა, ერთის მხრივ, და პროფესიონალურის მასის კოოპერაციაში ჩაუბმელობას შორის, მეორეს მხრივ. სულ კოოპერაციაში ჩაბმულია 17.500 წევრი (თუ არ ვიანგარიშებთ 8.500 წევრს, რომლებიც ქაღალდზე ირიცხებიან 1923-24 წლიდან, რეგისტრაციაში არ გატარებულან და არსებითად მკვდარ სულებს წარმოადგენენ), რაც მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 30 პროც. წარმოადგენს. მუშათა კოოპერაციაში ჩაბმის საშუალო პროცენტი მთელ საბჭოთა კავშირში შეადგენს 61 პროც. **მაშასადამე ჩვენ ერთი ორად ჩამოვრჩებით კოოპერაციაში ჩაბმის საშუალო ნორმას.** ეს არის ერთი სუსტი მხარე თავის კოოპერაციის მუშაობაში.

პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა დაადგინა 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კოოპერაციაში ჩაბმის პროცენტი აიყვანოს 75 პროც-დე. ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერაციის წევრთა რიცხვი უახლოეს თვეებში 42.000 უნდა იქნას აყვანილი. ეს უაღრესად მძიმე ამოცანაა და შეუძლებელია მისი განხორციელება პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარების გარეშე.

რაც შეეხება საპაიო გადასახადების კრეფას, აქაც ჩამორჩება თბილისის მუშკოოპი.

1927 წლის 1-ლ იანვრისათვის საშუალო ფაქტორი საპაიო გადასახადზე მოდიოდა 2 მან. და 80 კაპ. ხოლო თუ გავყოფთ წევრთა ნამდვილ რიცხვიდან (17,500), მაშინ საშუალო პაი ავა 4 მანეთამდე. მაგრამ მრავალ მუშათა რაიონებში უკვე დაიფარა ხუთმანეთიანი პაი და გადავიდენ 10—12 მანეთიან პაიზე, ამასთან აქედან თვითეულ წევრზე საშუალოდ აკრეფილია 7—8 მანეთი.

მუშკოოპის საკუთარი თანხების სიმცირის და მისი დაძიმული ფინანსიური მდგომარეობის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს საპაიო გადასახადების აკრეფის საკითხი.

თბილისის კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ სცნო პაის რაოდენობის გადიდება 10 მანეთამდე იმ ანგარიშით, რომ უახლოეს თვეებში დაფარულ იქნას მთელი საპაიო ნარჩენი.

სუსტ კოოპერატიულ საზოგადოებრიობას არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა საცალო ფასების დაკლების საკითხზე. რადგან არ სწარმოებდა ყოველდღიური კონტროლი მუშა-მოსამსახურეების და სათანადო საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ, მუშკოოპი სუსტად ატარებდა საცალო ფასების დაკლებასა და, მაშასადამე, ზედნადები ხარჯების შემცირებასაც. არ არის შესრულებული შრომისა და თავდაცვის საბჭოს მაისის დირექტივება ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების 10 პროც. დაკლების შესახებ.

1926 წლის 1-ლ აგვისტომდე 3 პროც. იქნა დაკლებული ფასები ფართლეულზე. თუ ავიღებთ მუშის საბიუჯეტო შენაკრებს მოხმარების საგნებზე, მაშინ დაკლება ნოემბრისათვის შეადგენს 2 პროც.

ფაქტიურად მუშკოოპს თავისი მოგების და ზედნადები ხარჯების შემცირების ხარჯზე შეეძლო გაეტარებინა უფრო მეტი დაკლება. ასე, მაგალითად, 1925—26 წელში მუშკოოპს ჰქონდა მოგება 270.000 მან. რაოდენობით, რაც მისი საკუთარი თანხის 60 პროც. შეადგენს, ხოლო ბრუნვასთან შედარებით კი—2 პროც.

გასული წლის თებერვალში მუშკოოპის გამგეობა შეუდგა ფასების უფრო ინტენსიურ დაკლებას. ასე, მაგალითად, ბაკალეისა და გასტრონომიის დარგში (საქონელი 356.000 მან.) გატარებულია დაკლება 9,1 პროც.; ფართლეულზე, ტყავეულ ნაწარმოებზე, ჭურჭლეულობაზე და რკინეულ საქონელზე (საქონლ. ღირებ. 825.624 მან.) ფასები დაკლებულია 4,09 პროც. ამჟამად საქართველოს შინავაჭრობის კომიტეტი ამოწმებს ამ ცნობების სინამდვილეს.

აღნიშნული ფაქტები გვეუბნებიან, რომ მუშკოოპი სერიოზულად შეუდგა ფასების დაკლების ამოცანის განხორციელებას.

1927 წლის 1-ლ ივნისისათვის მუშკოოპმა უნდა განახორციელოს საკ. კომ. პარ. (ბ) ცკას პლენუმის დირექტივა და 10 პროც. დაუკლოს ფასები 1-ლ იანვრისთვის არსებულ ფასების დონიდან. ამასთან **თბილისის კომიტეტმა წინადადება მისცა მუშკოოპს, რომ 1-ლ მარტისთვის ამ ათი პროცენტიდან გაატაროს დაკლება არა ნაკლებ 4 პროც.**

საცალო ფასების დაკლება მუშკოოპის წინაშე აყენებს **ზედნადები ხარჯების დაკლების** ამოცანას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დაკლებით ის დიდ ზარალს მიიღებს. მუშკოოპის ზედნადები ხარჯები შეადგენენ 12,7 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 13 პროც. **ეს ძალიან უმნიშვნელო დაკლებაა.** სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯების საშუალო პროცენტი მუშათა კოოპერაციისთვის მთელ კავშირში დაწესებულია 10 პროც., ხოლო დიდი ბრუნვის მუშათა კოოპერატივებისთვის ცენტრ. მუშათა კოოპერატიულ სექციამ დაუშვა 8,9% ამნაირად, ჩვენ აქაც ჩამოვრჩებით საშუალო დონეს. აპარატის რაციონალიზაციის და არსებულ სავაჭრო პუნქტების და მოსამსახურე პერსონალის დიდი დატვირთვის საშუალებით საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ზედნადები ხარჯების პროც. არ სჭარბობდეს 10-ს.

მაგრამ სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯებში შედის, აგრეთვე, გადასახადები და რკინის გზის ტარიფი. ცხადია, ამათი შემოკლება არ შეიძლება. ლაპარაკია იმ ზედნადებ ხარჯზე, რომელიც კოოპერაციისაგან არის დამოკიდებული და რომლის შემცირებაც შეიძლება.

ამიტომ, საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილების შესასრულებლად, **თბილისის კომ. პლენუმმა წინადადება მისცა მუშკოოპს, რომ 1927 წლის 1-ლ ივლისისათვის არა ნაკლებ 15 პროც. შეამციროს თავისი ადმინისტრატიული სამეურნეო ხარჯები.** (სავაჭრო პერსონალის შენახვა, სამივლინებო, საშუამავლო და სხ. მსგავსი ხარჯები) და ამით მიაღწიოს ზედნადებ ხარჯების შემცირებას.

ამნაირად თბილისის მუშკოოპის წინაშე სდგას მთელი რიგი მნიშვნელოვანი და მძიმე ამოცანები. წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ამ ამოცანების განხორციელება საზოგადოებრივი დახმარების გარეშე, მთელი მუშათა მასის მონაწილეობის გარეშე.

პარტიულმა და პროფესიონალურმა მასებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები იმისთვის, რომ პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები არ [illegible] მხოლოდ ქაღალდზე, და რომ ეს გადაწყვეტილებები აუცილებლივ გატარებულ იქნან ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა ყოველდღიური კონტროლი როგორც კოოპერაციის წევრთა, ისე მთელი მუშათა მასის და მისი ორგანოების მხრივ.

ჩვენ გვაქვს პროფესიონალური მასის და, უპირველეს ყოვლისა, მთელი მუშათა მასის აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. ჩვენ ვამჩნევთ ყველა მშრომელთა დიდ ინტერესს კოოპერაციის მუშაობისადმი.

ყველაფერი ეს თავდებია იმის, რომ ყველა ორგანოების და, პირველ რიგში, ყველა პარტიულ ორგანოების საკმაო ყურადღებით ჩვენ შევსძლებთ თბილისის კომ. პლენუმის გადაწყვეტილებათა გატარებას ცხოვრებაში და მით ჩვენი მუშათა კოოპერაციის განმტკიცებას.

ნ. ს.

კანტონისა და ინგლისის წარმომადგენლების შეთანხმება კონცესიების შესახებ

შანხაიში გაფიცულია 140.000 კაცი.—გამოსვლა და ვაჭრობა შეწყვეტილია.—12 კაცის დასჯა სიკვდილით

სამხედრო სპეციალისტების აზრით შანხაი აღებული იქნება კანტონის ჯარების მიერ

ბრძოლა შანხაისათვის

გაფიცულია 140.000 კაცი

შანხაისაკენ

ლონდონი, 20 თებერვალი. ინგლისის მე-8 ნაღმოსანთა ფლოტილია მალტიდან გავიდა ჩინეთისაკენ. (ადს).

საყოველთაო გაფიცვა შანხაიში

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. „ასოშიეიტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

ჩჟან - ცზუნ - ჩანი დამხმარე ძალებს გზავნის

ნიუ - იორკი, 20 თებერვალი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, ჩჟან-ცზუნ - ჩანმა ნანკინიდან შანხაიში გაგზავნა 15.000 ჯარისკაცი. (ადს)

შანხაიში გაფიცულია 140.000 კაცი

პეკინი, 20 თებერვალი. შანხაიდან მიღებული დამატებითი ცნობებით, გაფიცულთა რიცხვი უდრის 140000 კაცს. წესრიგს ქალაქში იცავენ თვითონ გაფიცულები. გაფიცულთა და დანარჩენ მოსახლეობის შორის არაჩვეულებრივი აღფრთოვანებაა. (ადს)

მოძრაობა შეჩერებულია

პეკინი, 20 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ტრამვაის და ავტობუსების მოძრაობა შანხაიში შეჩერებულია. მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ავტომობილებით. (ადს)

თანასწორობის ხელშეკრულება

პეკინი, 21 თებერვალი. ბელგიამ დროებით ხელშეკრულება დასდო ჩინეთთან. ბელგია ამ ხელშეკრულებით უარს ამბობს იმ განსაკუთრებული უფლებებზე, რომლებითაც უცხოელი კაპიტალისტები სარგებლობდენ და დღემდე სარგებლობენ ჩინეთში. ეს პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებაა რომელიც დაიდო ჩინეთსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შორის. (ადს)

გაფიცვის ბელადების სიკვდილით დასჯა

ნიუ - იორკი, 21 თებერვალი. „ასოშიეიტედ პრესს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ შანხაიში გაფიცულია 85.000 მუშა. გაფიცვა ფართოვდება, მიუხედავათ იმისა, რომ სუნ - ჩუან - ფანის ხელისუფლების წარმომადგენლები მკაცრ ზომებს იღებენ გაფიცულთა წინააღმდეგ, გაფიცვის 12 მეთაური სიკვდილით დასაჯეს. ფოსტა და ტრანსპორტი არ მუშაობს. შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება ლოზუნგებით: „ბრძოლა იმპერიალისტებთან და მილიტარისტებთან! ხალხური ხელისუფლების დამყარება!"

ჩინეთის გაზეთები აცხადებენ, რომ გაფიცვის მიზანია — მომზადებული იქნეს საზეიმო შეხვედრა შანხაისკენ მომავალ ნაციონალურ ჯარებისათვის.

შეთანხმება ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის

პეკინი, 20 თებერვალი. რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ჩან-ძო-ლინის მიერ უ-პეი-ფუსთან გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც ჩან-ძო-ლინი უკმახად აღნიშნავს მუკდენის ჯარების შეჭრის აუცილებლობას ხენანში ნაციონალური არმიის საწინააღმდეგო ოპერაციების საწარმოებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა აუცილებელია.

პოლიტიკურ წრეებში ამ დეპეშას იხილავენ, როგორც კავშირის საბოლოოდ გაწყვეტის ნიშანს ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის ჯარების სრული დამარცხება

პეკინი, 20 თებერვალი. სუნ-ჩუან-ფანის არმია უწესრიგოთ და გზა და გზა ძარცვა - გლეჯით უკან იხევს.

სუნ-ჩუან-ფანმა სთხოვა დახმარება ჩჟან-ცზუნ-ჩანს, რომლისაგანაც დღემდე არ მიუღია პასუხი. მრავალი გენერალი ურჩევს გადადგომას სუნ-ჩუან-ფანს. ექსპერტების აზრით, შეუძლებელია შანხაის დაცვა. (ადს).

ჩინეთი აღშფოთებულია

ხანკოუ, 20 თებერვალი. ნაციონალური სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ჯარების გადასხმამ შანხაიში დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ ჩინეთში. მარტო პირველმა ცნობამ ამ ჯარების მოსვლის შესახებ, რაც გადაცემულ იქნა ინგლისის სააგენტოების მიერ ფართო მაუწყებელ სადგურების საშუალებით, აამხედრა ყველა ჩინელები ჩინეთის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიაც კი და გამოიწვია ინციდენტები იჩანსა, რუნეინსა და ჩანშაში.

ხანკოუში გამოსთქვამენ აზრს, რომ თუ ჯარების გაგზავნა ჩინეთში, განზრახული იყო ჩინელების შესაშინებლად, ამ ექსპედიციამ უკვე სრული დამარცხება იგემა, რადგან მან სულ საწინააღმდეგო ეფექტი მოახდინა. პოლიტიკური მდგომარეობის საკითხზე ერთ-ერთ საგაზეთო მიმოხილვაში ამის შესახებ ნათქვამია: „თუ შანხაიში შექმნილია საშიში მდგომარეობა, ეს ისევე ინგლისელების მიერო". (ადს).

„შანხაის პროფკავშირებმა, ნაციონალური არმიის გამარჯვების საპატივცემოდ, გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ სუნ-ჩუან-ფანის ჯარების ევაკუაციას და ინგლისის ჯარების გაყვანას შანხაიდან. გაფიცული არიან ტრამვაის, ომნიბუსების, ფოსტის მოსამსახურეები, საფეიქრო ფაბრიკების მუშები და მეზღვაურები. წყალსადენის მუშების გაფიცვის გამო, საფრანგეთის საკონცესიო ტერიტორიაზე შანხაიში საგრძნობია წყალის ნაკლებობა. გაფიცვით იმუქრებიან, აგრეთვე, საერთაშორისო უბნის ელექტრო - სადგურების მუშები. გაფიცვის თავიდან ასაცილებლად დახურულია მრავალი ფაბრიკა. შედგენილია მოხალისეთა კორპუსი, რომელშიც შედიან საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელნი და, აგრეთვე, ამერიკელები. ინგლისის ჯარებმა მოახდინეს თავისი ძალების დემონსტრაცია შანხაის ქუჩებში. ამერიკის საზღვაო ფეხოსანი ჯარი დარჩა ამერიკის სამხედრო გემებზე.

სუნ-ჩუან-ფანმა განაცხადა, რომ არ ეწინააღმდეგება ინგლისის ჯარების ყოფნას შანხაიში, რადგან ანგარიშს უწევს უცხოელთა უფლებების დაცვის აუცილებლობას. (ადს).

შანხაიში იზრდება გაფიცვა

პეკინი, 20 თებერვალი. რეიტერის სააგენტო შანხაიდან იუწყება, რომ გაფიცვა შანხაიში ფართოვდება. გაფიცულთ მეზღვაურებიც შეუერთდნენ. გაფიცულია 40.000 მეტი კაცი. ინგლისის ჯარები იმყოფებიან თავის საბანაკო ფარეხებში და მზად არიან. შედგენილია მოხალისეთა და სპეციალური პოლიცია. პროფკავშირები ავრცელებენ ფურცლებს, რომლებშიც მოითხოვენ სუნ-ჩუან ფანის ჯარების და ინგლისის ჯარების ევაკუაციას. (ადს).

ძლიერის უფლება

ბერლინი, 20 თებერვალი. „ტეგლიხე რუნდშაუს" ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება: „ჩინეთის წყაროებიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით, ჩინეთის დელეგაცია ერთა ლიგაში მარტის სესიაზე წამოაყენებს საკითხს ინგლის - ჩინეთის კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე ინგლისმა, როგორც ვიცით, გადასწყვიტა არ დაუშვას ერთა ლიგის ჩარევა ამ საკითხში. ინგლისს მთავარი ადგილი უჭირავს ერთა ლიგაში: აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერთა ლიგის ჩაბმა ინგლის-ჩინეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში შეუძლებელი იქნება".

ჩენის და ომალის შეთანხმება ხელმოწერილია

ხანკოუ, 20 თებერვალი. 20 თებერვალს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ევგენი ჩენმა და ომალიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ინგლისის კონცესიების შესახებ. (ადს)

სუნ-ჩუან-ფანის ჯარები ნანკინისაკენ იხევენ

პეკინი, 20 თებერვალი. სამხრეთელებმა საბოლოოთ დაამარცხეს სუნ-ჩუან-ფანის არმია და დაიკავეს ცზე-ზიანის სატახტო ქალაქი ხან-ჩჟოუ და კაშინი 100 კილომეტრის მანძილზე შანხაის სამხრეთით.

სუნ-ჩუან-ფანის დამარცხებულ არმიის ნაწილები იხევენ შანხაი-ნანკინის მიმართულებით. შანხაიდან მთავარი შტაბი გადატანილია ნანკინში. სუნ-ჩუან-ფანი, როგორც სჩანს, კიდევ შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს სამხრეთელებს სუნ-ძიანის რაიონში, შანხაიდან 40 კილომეტრის მანძილზე, მაგრამ გამარჯვების იმედი მეტად სუსტია. (ადს).

სუნ - ჩუან-ფანი ინგლისელების ნაბიჯს იწონებს

პეკინი, 21 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სუნ-ჩუან-ფანმა განაცხადა, რომ ის იწონებს ინგლისის სამხედრო ექსპედიციას შანხაიში.

„მე ვიცი, სთქვა სუნ-ჩუან-ფანმა, რომ ჯარების ასეთი გადაჯგუფება გამოწვეულია ინგლისელების საწინააღმდეგო კამპანიის გაძლიერებით და ბოლშევიკური აგიტაციით, რომელსაც საბჭოები ხელმძღვანელობენ. ჩვენ არ უნდა ვშიშობდეთ, რომ ცუდს რამეს უქადის ჩინეთს ეს ექსპედიცია, ვინაიდან მისი გამგზავნელი ინგლისელები დაკვრივებული ხალხია". (ადს).

შანხაელ გაფიცულების მოთხოვნილებები

პეკინი, 21 თებერვალი. პროფკავშირთა საბჭომ შანხაიში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ჩამოთვლილია გაფიცულთა მოთხოვნილებები: მილიტარისტების განდევნა, სახალხო მთავრობის შექმნა, სიტყვისა და კრების თავისუფლება, 8 საათის სამუშაო დღე, სამუშაო ხელფასის მომატება, პროფკავშირების ცნობა, მუშა ქალების შრომის პირობების გაუმჯობესება.

ოჯახების მოსამსახურე ქალები ჯერ კიდევ არ შეერთებიან გაფიცვას. გაიფიცვენ ინგლისელების გემებზე ჩინელი მოსამსახურეები. (ადს).

შანხაიში წესრიგია

პეკინი, 21 თებერვალი. მიუხედავად მოსახლეობის დიდი მღელვარებისა, შანხაიში დღემდე ადგილი არ ჰქონია საერთო წესრიგის დარღვევას. მოძრაობა არ იჩენს აშკარა ტენდენციას უცხოელების წინააღმდეგ. ქალაქის ჩინურ ნაწილში სუნ-ჩუან-ფანმა შემოიღო მკაცრი კანონები აგიტატორების წინააღმდეგ. აგიტაციისთვის სიკვდილით დასაჯეს დაახლოებით 20 კაცი. ჩინელ მუშების ბავშვებმა ქვები დაუშინეს იმ შენობას, რომელშიაც მოთავსებულ იქნენ ინგლისელი და ინდოელი ჯარისკაცები. პოლიციამ შესძლო ხალხის გარეკვა. უმნიშვნელო მღელვარებას ადგილი ჰქონდა საფეიქრო ფაბრიკაში. მუშებმა ქვები დაუშინეს კანტორის შენობას. პოლიციამ ბრბო გარეკა. ზარალი დღემდე უმნიშვნელოა. კაცის მსხვერპლი არ არის. (ადს).

ჩან-ძო-ლინი კონფერენციას იწვევს

პეკინი, 21 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩან-ძო-ლინი კვლავ იწვევს სამხედრო კონფერენციას, რომელზედაც განხილული უნდა იქნეს სამი საკითხი: მდგომარეობა სამხრეთის ფრონტზე. მდგომარეობა ხენანში და საგარეო პოლიტიკა.

მდგომარეობა ხენანში გამოურკვეველია. მუკდენელები არ შესულან ჩენჩჟოუში, მაგრამ მათ უკვე გადალახეს ყვითელი მდინარე და მოელიან განკარგულებას ჩჟან-ძო-ლინიდან. უ-პეი-ფუ კვლავ იმყოფება ჩჟენ-ჩოუში და უკან არ დაუხევია ლოიანისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩჟან-ძო-ლინმა წინადადება მისცა მას გავიდეს ხენანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში. (ადს).

პოლონეთი და გერმანია

ზალესკი ბრალს სდებს გერმანიას

ვარშავა, 20 თებერვალი. ჟურნალისტების მიღების დროს, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი შეეხო გერმანიასთან წარმოებულ მოლაპარაკების ჩაშლის ისტორიას. ზალესკის ცნობაში არავითარი ახალი ფაქტი არ ყოფილა მოყვანილი გარდა იმისა, რასაც იტყობინებოდა პრესა. დასასრულ ზალესკიმ განაცხადა:

„მოლაპარაკების შეწყვეტა გამოიწვია გერმანიამ, რის გამო უნდა მოველოდეთ ახალ წინადადებებს მის მხრიდან". (ადს).

განიარაღების საკითხის

გარშემო

იაპონიის პასუხი კულიჯის წინადადებაზე

ტოკიო, 20 თებერვალი. დღეს გამოქვეყნდა იაპონიის პასუხი კულიჯის წინადადებაზე საზღვაო შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ. პასუხი წინადადებას იძლევა კონფერენცია მოწვეულ იქნეს 1927 წლის პირველ ივნისის შემდეგ და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებს განზრახვა არა აქვს მოითხოვონ მტკიცე ნორმის დაწესება დამატებითი გემებისათვის. (ადს)

პუანკარის კომბინაცია

პარიზი, 20 თებერვალი. კლერიკალურ - ნაციონალისტური „ეკო დე პარი" იუწყება, რომ პუანკარემ წინადადება მისცა შეერთებულ შტატებს იმის შესახებ, რომ საფრანგეთი დაიწყებს ვალის გადახდას, თუ წინასწარ არ იქნება გადაწყვეტილი მელონ-ბერანჟეს შეთანხმების რატიფიკაცია.

„ასეთი გზით,— სწერს გაზეთი, —საფრანგეთის მთავრობას სურს, რომ თავისი გადახდა ვალების ანგარიშში ფაქტიურად დაუკავშიროს გერმანიის სარეპარაციო გადასახადებს და, აგრეთვე, უზრუნველჰყოს ფრანკი შეერთებულ შტატების გავლენისაგან". (ადს).

ლატვიელი ფაშისტები

იმუქრებიან

რიგა, 20 თებერვალი. მთავრობამ დახურა ფაშისტური ორგანიზაცია „ლატვიის ნაციონალური კლუბი".

კლუბის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი ვერ იქონიებს გავლენას ფაშისტების მუშაობაზე, ვინაიდან „ლატვიის ნაციონალურ კლუბის" მაგიერ დაარსებულ იქნება სხვა ლეგალური ფაშისტური ორგანიზაცია.

ფაშისტებს წინააღმდეგ

შეტაკება ბაზრობაზე სლონიმში

ვარშავა, 21 თებერვალი. სლონიმში ბაზრობაზე ჩამოსულმა ბელორუსმა გლეხებმა მოაწყვეს დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ფაშისტური მთავრობა! გაუმარჯოს საბჭოთა ბელორუსიას! დაგვიბრუნეთ დეპუტატები!"

მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის; პოლიციამ მიმართა ხიშტებს. დაახლოვებით 15 გლეხი დაჭრილია, დაპატიმრებულია 20. (ადს).

კონფლიქტი გერმანიის

ლითონის მრეწველობაში

ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის

ბერლინი, 20 თებერვალი. საქსონიის ლითონის მრეწველობის წარმოებების ფაბქარხკომების კრებებზე, რომლებიც შესდგა ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ, არჩეულია „ბრძოლის კომიტეტები". **კრებებზე გამოირკვა, რომ მუშათა მასებმა მტკიცეთ გადაწყვიტეს იბრძოლონ, სანამ მთელს საქსონიაში აღდგენილი არ იქნება 8 საათის სამუშაო დღე.** (ადს)

საბჭოთა პრესა

ფუფუნების და ხელგაშლილობის წინააღმდეგ

სოფლის სამეურნეო კულტურული მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება. მართალია, დიდდება ადგილობრივი ბიუჯეტიც და, გარდა ამისა, გლეხობა ხშირად თვითდაბეგვრასაც მიმართავს, მაგრამ მაინც ჯერჯერობით შეუძლებელია ყველა, თუნდაც გადაუდებელ საჭიროებისათვის თავის გართმევა. ნივთიერ საშუალებათა ასეთი სიმცირის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს იმას, რომ თვითეული კაპეიკი უკიდურესი დაზოგვით იხარჯებოდეს, ხმარდებოდეს პირველ რიგში მართლა აუცილებელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და არ იქნეს რაიმე ფუფუნება დაშვებული. „ბედნოტა"-ს მოყავს ამ ფუფუნების რამოდენიმე მაგალითი:

„საჭიროა თუ არა, მაგ., ახალი თემაღმასკომის ძვირად ღირებული შენობის აგება და მისი საუცხოვოდ მოწყობა, თუ არსებულ შენობაში მშვენივრად შეიძლება მუშაობა ათეულ წლებში; საჭიროა თუ არა ეხლა სხვადასხვა მორთულობანი ფოლადის ძვირფას გალავნის სახით, ჩუქურთმიანი ნამგლებით და ჩაქუჩებით გალავნის თვითეულ კუთხეში, თუ გვერდით მდებარე საავადმყოფოში წვიმა ჩამოდის, შეშა არ არის და ზოგიერთ ფანჯარაში მინების მაგივრად მჩვრებია ჩამოკიდებული. საჭიროა თუ არა, მაგ. სას.სამ. გამოფენის დროს ავაგოთ ძვირად ღირებული თაღი, განსაკუთრებული წარწერით, ძვირფას მატერიაზე გაკეთებული პლაკატებით, თავისებურად მოწყობილ მოედნით ტრიბუნისათვის და სხ., თუ მეზობლად სკოლაში არ მოიპოვება აუცილებელი ავეჯი, თუ ქოხსამკითხველოში ნავთის ლამპაც კი არ გააჩნიათ.

მრავალი ასეთი კითხვის დასმა შეიძლება და [illegible] უმეტეს შემთხვევაში უნდა უპასუხოთ: არა, ამის ჩადენა არ შეიძლება. საჭიროა უდიდესი მომჭირნეობა და სისადავე ყველაფერ იმაში, ურომლისოდ კიდევ შეიძლება იოლად თავის გატანა. რა თქმა უნდა, მორთულობის მოთხოვნილება კანონიერი მოთხოვნილებაა, მაგრამ როცა ის ფუფუნებაში გადადის, რაც ჩვენ საშუალებებს არ შეეფერება, ამისათვის დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ".

როგორღაც ერთი საგუბერნიო ქალაქში საბარგო ავტომობილები მთელი კვირის განმავლობაში ხმარებიდან იქნენ გამოყვანილნი—ყოველდღე ყრილობის დელეგატების გადასაყვანად საერთო საცხოვრებლიდან სხდომებზე, მაშინ როცა მთელი ამ მანძილის გავლა ფეხით შეიძლებოდა ათ წუთში. ხელგაშლილობაა ეს თუ აუცილებლობა? ცხადია, ხელგაშლილობაა, რომელიც დაუშვებელია, რომლის გამართლება არაფრით არ შეიძლება".

თუ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და აღმშენებლობას დავაკვირდებით, ყოველად ბევრგან აღმოვაჩენთ გაუმართლებელ ხარჯებს, ხელგაშლილობას და ფუფუნებას. ვიმეორებთ, რომ ჩვენი ფინანსიური ხელმოკლეობის დროს, როცა აუარებელი მოთხოვნილებებია დასაკმაყოფილებელი, მომჭირნეობის მტკიცე დაცვა მთელი ჩვენი მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპს უნდა შეადგენდეს.

გარდაიცვალა გეორგ ბრანდესი

კოპენჰაგენი, 20 თებერვალი. გარდაიცვალა დანიის ცნობილი კრიტიკოსი გეორგ ბრანდესი—85 წლის (ადს).

გეორგ მორის კოჰენ ბრანდესი, დანიის გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი, დაიბადა 1842 წელს კოპენჰაგენში სწავლობდა კოპენჰაგენის უნივერსიტეტში.

ბრანდესმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ გამოვიდა თავისუფალი მეცნიერული კვლევის დამცველად და გაილაშქრა ნილსენის სკოლის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობდა ორტოდოქსალური პროტესტანტიზმის ახალ იდეებთან შერიგებას.

რამოდენიმე წლის განმავლობაში საზღვარგარედ მოგზაურობის შემდეგ ბრანდესმა, 1871 წელს, კოპენჰაგენის უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა „დასავლეთ ევროპის მე-19 საუკუნის ლიტერატურის მთავარ მიმდინარეობებზე". ეს ლექციები შემდეგ საფუძვლად დაედო მის მთავარ ექვსტომიან ნაშრომს იმავე სახელწოდებით, რომელმაც მას სახელი მოუხვეჭა მთელს ევროპაში.

ბრანდესის ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა მის თანამემამულეებზე. „დასავლეთ ევროპის მე-19 საუკუნის ლიტერატურის მთავარი მიმდინარეობანი" არა მარტო ძვირფასი განძი იყო ლიტერატურის ისტორიაში, არამედ იგი ამავე დროს დანიის დემოკრატიის ბრძოლის პროგრამასაც წარმოადგენდა; ამ ნაწარმოებში გ. ბრანდესი ილაშქრებდა რომანტიზმის წინააღმდეგ, ქებას ასხამდა ფრანგულ რეალიზმს და ქადაგებდა თავისუფლებას ოჯახურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობაში.

ბრანდესის, როგორც პოზიტივისტის და რადიკალის წინააღმდეგ, ამხედრდენ ყველა რეაქციონური ძალები, რომლებიც ხელს უშლიდენ მისი გავლენის გავრცელებას. ბრანდესის ლექციებმა დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე სკანდინავიის მწერლებზე, რითაც ნიადაგი მოუმზადა ბიერნსონის, კილანდის, დრახმანის და სხვების სოციალურ პოეზიას.

ბოლო დროს ბრანდესის მსოფლმხედველობაში ცვლილება მოხდა. დემოკრატიული მოძრაობა, რომლის მებაირახტრეთაც ის ითვლებოდა, თანდათან ამჟღავნებდა თავის წვრილბურჟუაზიულ, გლეხურ მიდრეკილებას. მეშჩანობისადმი სიძულვილმა ბრანდესი გახადა ნიცშეს მომხრეთ.

„დასავლეთ ევროპის მე-19 საუკუნის მთავარი მიმდინარეობის" გარდა ბრანდესს დაწერილი აქვს მრავალი ლიტერატურული დახასიათებანი. მათ შორის მთავარია: „შექსპირი", „დანიის პოეტები", „ფერდინანდ ლასალი", „ბიერნსონი და იბსენი", „არისტოკრატიული რადიკალიზმი" (ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ).

როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, ბრანდესი ეკუთვნის ისტორიულ სკოლას.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 21 თებერვალი. 19 თებერვალს გაიხსნა გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კონფერენცია, რომელზედაც პიკმა განაცხადა, რომ კონფერენცია იკრიბება ეკონომიური ბრძოლის გამწვავების და უმუშევრობის ზრდის მომენტში. ფაშისტები იმდენად გათავხედდენ, რომ დემონსტრაციებს მუშათა რაიონებშიაც კი აწყობენ. საოლქო კონფერენციამ უნდა გამოიმუშაოს თავდაცვის და ბურჟუაზიულ ბლოკთან და ომის საფრთხესთან ბრძოლის ღონისძიებების გეგმა. შემდეგ პიკმა აღნიშნა ორგანიზაციის წევრების რიცხვის 2.000 კაცით გადიდება, უჯრედების ორგანიზაციულად განმტკიცება წარმოებებში, პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება ორგანიზაციის წევრთა შორის, ოპოზიციის დაცარცება და სხვ. გზადაგზა პიკმა დაახასიათა ოპოზიციის სრული დაშლა. მაგალითისათვის პიკმა მოიყვანა შოლემის წერილი ვებერისადმი, რომელშიაც ეს უკანასკნელი დახასიათებულია, როგორც „მოღალატე და ცკას აგენტი".

კამათში მონაწილეობა მიიღეს უმრავლესობის წარმომადგენლებმა; გამოვიდენ აგრეთვე ოპოზიციის ორატორები, მათ რიცხვში კეტტერი, რომელმაც ყველა ოპოზიციონური ჯგუფების სახელით შეიტანა საოლქო კომიტეტისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი. კენჭის ყრამ გამოარკვია, რომ 170 დელეგატიდან ყველა მიმართულების ოპოზიციონერებს ეკუთვნის 25 კაცი. ოპოზიციის მიერ წამოყენებულ წინადადებას ხმას აძლევდა 25 კაცი (ადს).

ბერლინი, 21 თებერვალი. კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კონფერენციაზე 21 თებერვლის საოლქო კომიტეტების პოლიტიკური რეზოლიუცია მიღებული იქნა 140 ხმის უმრავლესობით 30-ს წინააღმდეგ. ოპოზიციის რეზოლიუციამ მხოლოდ 21 ხმა მიიღო. პარტიულ ყრილობისათვის არჩეულ იქნა 23 დელეგატი უმრავლესობიდან და 4—ოპოზიციონური ჯგუფებიდან. საოლქო კომიტეტი არჩეულ იქნა ყველა ხმებით 22-ს წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა. (ადს).

საოლქო კონფერენციები

ბერლინი, 21 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის საოლქო კონფერენციების შედეგები ასეთია: ჰალე-მერზებურგში ცეკას რეზოლიუცია მიღებულია 102 ხმის უმრავლესობით 6-ის წინააღმდეგ, ბადენში—49 ხმით 7-ს წინააღმდეგ, კელნში—84 ხმით 5-ს წინააღმდეგ. პარტიულ ყრილობისათვის არჩეული დელეგატები ცეკას პლატფორმის მომხრეები არიან. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

შვეციის გემო-კვეების მუშაკთა ყრილობა

სტოკჰოლმი, 20 თებერვალი. დაიხურა შვეციის გემო-კვეების მუშაკთა კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ, საბჭოთა კავშირის გემო-კვეების მუშაკთა წარმომადგენლები ამხ. აბრამოვი და ეგოროვი და აგრეთვე ნორვეგიის, დანიის, ფინეთის, გერმანიის გემო-კვეების მუშაკთა კავშირის დელეგატები და გემო-კვეების ინტერნაციონალის წარმომადგენელი შეფერმიერი.

კონგრესის კომუნისტ დელეგატებმა შეიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვდენ გემო-კვეების მუშაკთა სკანდინავიის ფედერაციის გაფართოებას ფინეთის გემო-კვეების მუშაკთა კავშირის შემოერთებით; გარდა ამისა, რეზოლიუცია მოითხოვდა საბჭოთა გემო-კვეების მუშაკების პროფკავშირის წარმომადგენელთა მიწვევას ფედერაციის ყველა კონგრესზე.

რეზოლიუციის ის ნაწილი, რომელიც ეხება ფინეთის ჩარიცხვას ფედერაციაში, მიღებულ იქნა, ხოლო ნაწილი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ, უარყოფილ იქნა.

ამხ. აბრამოვის და ეგოროვის გამოსვლას, რომლებიც მოუწოდებდენ გემო-კვეების მუშაკთა მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ, კონგრესის დელეგატები მხურვალე ტაშით შეხვდენ.

კონგრესმა ხაზ გასმით აღნიშნა შვეციის და საბჭოთა გემო-კვეების მუშაკთა პროფკავშირების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. (ადს).

ბელადების გადაწყვეტილების წინააღმდეგ

რომი, 20 თებერვალი. ირკვევა, რომ იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრების უმრავლესობა არ სცნობს სავალდებულოდ და კანონიერად კონფედერაციის რეფორმისტულ ბელადების გადაწყვეტილებას თვითლიკვიდაციის შესახებ.

კონფედერაციაში შემავალ თითქმის ყველა კავშირის წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება ამსტერდამის ინტერნაციონალში. კავშირების წარმომადგენლები, რომელნიც ხელს აწერენ საჩივარს, წინადადებას აძლევენ ამსტერდამის ინტერნაციონალს გაუქმებულად გამოაცხადოს დადგენილება კონფედერაციის თვითლიკვიდაციის შესახებ წინადადება მიეცეს ყოფილ ბელადებს სათანადო წესით დასტოვონ პრეზიდიუმის უფლებები, გადააბარონ საქმეები და ხელი შეუწყონ კონფედერაციის ახალ ხელმძღვანელ ცენტრის აღდგენას. საჩივარს ხელს აწერენ პროფესიონალური მოძრაობის ყველა მიმართულების წარმომადგენლები უნიტარებიდან და რეფორმისტებიდან დაწყებული კომუნისტებამდე. (ადს).

ა.-კ. იუსტიციის მუშაკთა თათბირის შედეგები

ა.-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისართა და უზენაეს და მთავარ სასამართლოების თავმჯდომარეთა მეორე თათბირი მეტად საქმიან ხასიათს ატარებდა. სასამართლოს ორგანოებისა და პროკურატურის მიმდინარე პოლიტიკისა და პრაქტიკის მთელ რიგ სერიოზულ საკითხების ირგვლივ სწარმოებდა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლებს შორის მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელნიც ასწორებენ იუსტიციის ორგანოების პრინციპიალურ ხაზს და რომელთაც შესწორება - დამატება შეაქვთ მათ პრაქტიკაში ჩვენი ეხლანდელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან შეფარდებით.

ა.-კ. რესპუბ. პოლიტიკურ - ეკონომიურ და კულტურულ ამოცანათა ერთგვარობა ბუნებრივად მოითხოვს (თუმცა გაუერთიანებელ) იუსტიციის უწყებათაგან, რომ მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთობისადმი გამოცდილების გაზიარების ნიადაგზე დაამყარონ ისეთი ურთიერთ დამოკიდებულება, რომელიც საბოლოო შედეგში საბჭოთა იუსტიციის სახით შექმნის მტკიცე დასაყრდენს ა.-კავკ. ფედ. რესპუბ. და მასში შემავალ რესპუბლიკებისათვის და მძლავრ საშუალებას სახელმწიფოს მიერ დასმულ ამოცანების განსახორციელებლად.

თათბირმა გაითვალისწინა საბჭოთა სასამართლოს და პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების,—უდიდესი საზოგადოებრივი პოლიტიკური როლი, ის ახალი პოლიტიკურ -სოციალური ურთიერთობანი, რომელნიც იქმნებიან სოფლად, და აგრეთვე პარტიის მიერ დასახული სამეურნეო ამოცანები და შეიმუშავა ის ხაზი,რომელიც უნდა აიღოს საბჭოთა იუსტიციამ ჩვენს საერთო მშენებლობაში. რევოლიუციონური კანონების განმტკიცება და გაღრმავება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, თანამდებობრივ და სამეურნეო ხასიათის ბოროტმოქმედებებთან, ბოროტმოქმედებებთან ტრანსპორტზე, საშუალებების გამოძებნა ჩვენი ა.-კ. ზოგიერთი ნაწილების ყოფა-ცხოვრების იმ მავნე ნაშთებთან საბრძოლველად, რომელნიც აფერხებენ მათ კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას (სისხლის აღება, ყალიმი, ბოროტმოქმედებანი ხალხთა განთავისუფლების ნიადაგზე და სხვა),—აი, ის საკითხები, რომელნიც გაცხოველებით ირჩეოდნენ თათბირზე.

გაითვალისწინა რა რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა და დაეყრდნო რა მე-14-ე საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლიუციას, თათბირმა აღიარა, რომ რევოლიუციონური კანონიერება შეუსუსტებელი ტემპით უნდა ტარდებოდეს; სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებმა უნდა გააფართოონ მუშაობა ამ დარგში; რევოლიუციონური კანონიერების გატარებაში და მართმსაჯულების განხორციელების საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ მშრომელთა ფართო მასები, კერძოთ გაძლიერებული უნდა იქნეს ქალების მონაწილეობა სასამართლოში, გაძლიერებულ უნდა იქნეს იურიდიულ კონსულტაციის და იურიდიულ ცნობების მიმწოდებელ მაგიდების ქსელი ადგილებზე, გაძლიერებულ უნდა იქნეს სასამართლო და საპროკურორო ორგანოების ავტორიტეტი,უნდა მოხდეს მათი საზოგადოებრივ პოლიტიკური როლის პოპულიარიზაცია მასებში; პარტიის და ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს სასამართლო ორგანოებისადმი მორალურ და მატერიალურ დახმარების გაძლიერებაზე და სხვ.

განიხილა რა საკითხი სამეურნეო ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის შესახებ თათბირმა სცნო, რომ „პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გატარება სოციალისტური მშენებლობის დარგში სხვა ღონისძიებებთან ერთად (მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ფასების დაკლება და სხვ.), მოითხოვს კიდევ უფრო გაძლიერებულ ბრძოლას სამეურნეო ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. პოლიტიკამ, რომელსაც დღემდე ატარებდენ სასამართლო ორგანოები იმ ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად, რომელნიც უმთავრესად მდგომარეობდენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანხების გაფლანგვა - მითვისებაში, მართალია, გამოიწვია ასეთ ბოროტმოქმედებათა შემცირება, მაგრამ გაფლანგვასა და მითვისებას გარდა, რომელთაც დღეს განსაკუთრებით ადგილი აქვს პირველ საფეხურის საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებში, არის კიდევ მეორე გვარი სამეურნეო ბოროტმოქმედება—ქონების აშკარად გატაცება,რასაც ადგილი აქვს კერძოდ ტრანსპორტზე".

გაითვალისწინა რა ეს, თათბირმა აუცილებლად სცნო ასეთი საქმეების რიგგარეშე, საწრაფო წესით გარჩევა და მისცა სათანადო მითითებები საგამომძიებლო, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს მათი განხილვის წესისა და ვადების შესახებ.

ამავე დროს თათბირმა მიუთითა მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომელნიც უნდა გაატარონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა, სარევიზიო კომისიებმა, და თვით სამეურნეო დაწესებულებებმა. იუსტიციის სახ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ერთიანმა ფრონტმა, თათბირის აზრით, უნდა უზრუნველჰყოს სამეურნეო ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის წარმატებით წარმოება.

ყოფა - ცხოვრებითი ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საკითხის შესახებ თათბირმა ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით გამოიტანა დადგენილება, რომლითაც რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს ევალება შეუდგენ რესპუბლიკების და ა.-კ. ფედერატიულ რესპუბლიკის ყოფა-ცხოვრებითი თავისებურებების დაწვრილებით და ღრმად შესწავლას და ამ შესწავლის მიხედვით შეავსონ სისხლის სამართლის კოდექსები სათანადო მუხლებით, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალების სოციალურ და უფლებრივ ინტერესების დაცვას განსაკუთრებით აზერბეიჯანში, აჭარისტანში და საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში.

ა.-კ. რესპუბლიკების იუსტიციის მუშაკთა მეორე თათბირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელნიც, ეჭვს გარეშეა, სათანადოთ გატარებული იქნებიან ცხოვრებაში, წარმოადგენენ შემდგომ ნაბიჯს მუშაობის განმტკიცების და გაღრმავების საქმეში და საგრძნობლად გაადვილებენ იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ამოცანების განხორციელებას, რომელნიც დგანან იუსტიციის ორგანოების წინაშე.

ი. ვარძიელი.

საკავშირო ცაკის მესამე სესია

19 თებერვლის საღამოს სხდომა

სესიის წევრთა შეკითხვა

მოსკოვი, 21 თებერვალი. ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების შემდეგ, 19 თებერვალს საღამოს სხდომის დასასრულს თავმჯდომარე მუსაბეკოვი აქვეყნებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ჯგუფის შემდეგი შინაარსის შეკითხვას:

„საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. შეკითხვა: უკანასკნელ დღეებში გახშირდა მტრული გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის მთავრობის, და ინგლისის საზოგადოების კონსერვატიული წრეების ზოგიერთ წევრების მხრივ. ეს კამპანია აშკარად მიმართულია ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულ. ჩაშლისაკენ და პირობების მომზადებისაკენ ახალ საინტერვენციო ზრახვებისათვის. უკანასკნელ ხანებში პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ კამპანიაში არა ნაკლებ როლს თამაშობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან გაძევებული მეფის ცნობილი ჩინოვნიკები, მშვიდობიანობისა და სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი და მოკიდებულების ღვარძლიანი მტრები.

ამის გამო საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ქვემორე ხელის მომწერი წევრები წინადადებას აძლევენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეცეთ საკავშირო ცაკს მოხსენება ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების შესახებ.

ლარინი (რ. ს. ფ. ს. რ.), **ზატონსკი**, (უკრაინა), **ელიავა** (ა. კ. ს. ფ. ს. რ.), **მურალოვი** (ნიჟნი ნოვგოროდი), **ლობუვოი** (შაქრის წარმოების მუშათა კავშირის ც. კ.), **შიგატნერი** (საბჭოთა და სავაჭრო დაწეს. მუშ. კავშ. ც. კ.), **სამურსკი** (დაღესტანი), **ლისოვიკი** (დონის ოლქი), **სუკაჩი** (ციმბირი), **ჟილუნოვიჩი** (ბელორუსია), **შეველე** (ჩუვაშის რესპ.), **პულატოვი** (უზბეკისტანი), **არტიკ რახმანოვი** (თურქმენისტანი), **მურზა გალიევი** (ყაზახისტანი), **ტარასიუკი** (ბრიანსკის გუბერნია), **კურცი** (გერმანელთა რესპუბლიკა), **მოროზოვი** (ნოვგოროდი), **დოქტოევი** (ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკა), **ბლინოვი** (ტამბოვის გუბერნია), **ზახაროვი** (მოსკოვი), **შუბუ** (ყირიმის რესპუბლიკა) **ჩინკიროვი** (ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკა), **შმორგილოვი** (ჩრდილოეთ-კავკასია), **ისლამოვი** (უზბეკისტანი), **საზანდეევი** (თურქმენისტანი), **პლატოვი** (რ. ს. ფ. ს. რ.), **რუსეცკი** (ბელორუსია).".

შეკითხვის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარე მუსაბეკოვი იძლევა კითხვას სურს თუ არა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ეს საკითხი განსახილველად დასვას დღის წესრიგში.

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს კენჭის ყრის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს საკითხი შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში. სესიამ გადასწყვიტა—ეს საკითხი განსახილველად დასვას საკავშირო ცაკის საღამოს პლენარულ სხდომაზე 21 თებერვალს. (ადს).

ამხ ბრიუხანოვის მოხსენება

საკავშირო ბიუჯეტზე

მოსკოვი, 21 თებერვალი. საკავშირო ცაკის სესიის 19 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების 1926—27 წ. ბიუჯეტების შესახებ.

„1925—26 წლის დამახასიათებელ მხარეს,—ამბობს ამხ. ბრიუხანოვი,—წარმოადგენს ის, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ჩვენ 40 პროცენტით გავზარდეთ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია და 23 პროცენტით—სასოფლო მეურნეობის პროდუქცია. საერთო სახალხო შემოსავალი გასულ წელს გაიზარდა 30 პროცენტით.

შარშანდელი ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა აპრილში 4.019 მილ. მან. რაოდენობით მის საშემოსავლო ნაწილში. წინასწარი მასალებით, შარშანდელი წლის ფაქტიური შემოსავალი გამოიხატა 3.850 მილ. მან., ე. ი. 96 პროცენტით, დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით. რადგან სადღეისო ამოცანას წარმოადგენს საშუალებათა მაქსიმალური გამოყენება, ამიტომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შედგენის წინ ჩვენ მნიშვნელოვნად შევცვალეთ ჩვენი საგადასახადო სისტემა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენ შევცვალეთ ისე, რომ საგრძნობლად შევამსუბუქეთ სოფლის მოსახლეობის დაბალი ფენების საგადასახადო სიმძიმე და ის გადავიტანეთ სოფლის კულაკურ ნაწილზე. როგორც შედეგი აქედან — გადასახადები 245 მილ. მან. გაიზარდა 300 მილ. მანეთამდე. საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შედეგად, გადასახადის გადამხდელთა რიცხვი 2.500 ათასიდან შემცირდა 1.300 ათას კაცამდე, ხოლო გადასახადის სიმძიმის ცენტრის გადატანის არაშრომითი შემოსავლის მქონე გადამხდელებზე, გადასახადის საერთო შემოსავალი ავიდა 168 მილ. მანეთამდე, 150 მილ. მან. მაგიერ, რომელიც იყო შარშან.

ამგვარად, მიმდინარე წლის ბიუჯეტი უდრის 4.959 მილ. მან., წინააღმდეგ შარშანდელი 3.850 მილ. მან. შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სახ. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სახკომსაბჭოს მიერ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი მეტად დაძაბულია. ის მოითხოვს დიდ სიმკაცრეს შემოსავლის მიღებაში და დიდ დისციპლინას სახელმწიფო საშუალებათა ხარჯვაში".

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი გადადის სახელმწიფოებრივ გასავალზე და ამბობს, რომ ბიუჯეტის ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მაქსიმალურ საშუალებათა გამოყოფა ფინანსების მისაწოდებლად წარმოება-მეურნეობისათვის. ქვეყნის ყველა დანარჩენი მოთხოვნილებები უნდა შემცირებულ და შეკვეცილ იქნას. ამ ამოცანაზე იყო აგებული კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი.

საგასავლო ნაწილის ზრდა, შარშანდელ ხარჯებთან შედარებით, გამოიხატა თითქმის 1 მილიარდი მ., ე. ი. 25,7 პრ. ეს მილიარდი მანეთი ჩვენ არ გვყოფნის ქვეყნისა და მეურნეობის ყველა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და ამიტომ ჩვენ ვცდილობთ მეორეხარისხოვან და არანაყოფიერ ხარჯების შემცირებას შარშანდელთან შედარებით. მიღებულია ყველა ზომები ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების, აპარატის შენახვის ხარჯების და სხვ. შესამცირებლად. ჩვენ ყოველმხრივ შევეცადეთ სამუშაო ხელფასზე ხარჯების შემცირებას, იქ, სადაც შესაძლებელი იყო შტატების შემცირება, შევამცირეთ. მაგრამ სამუშაო ხელფასის ფონდი, შარშანდელთან შედარებით, მაინც იზრდება. ეს ზრდა აიხსნება აგრეთვე სამუშაო ხელფასის გადიდებით მთელი რიგ კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთათვის. ასე, მაგალითად, ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა სამუშაო ხელფასი დიდდება 26 პროცენტით, საშუალო საბჭოთა მოსამსახურის სამუშაო ხელფასი დიდდება 52 მანეთიდან 59 მანეთამდე. ბიუჯეტით იზრდება აგრეთვე საშუალოდ 33 პროცენტით კულტურულ-სოციალური ხარჯები. ხარჯები ტრანსპორტსა და ფოსტა-ტელეგრაფზე, შარშანდელთან შედარებით, გადიდებულია 368 მილ. მანეთით, რაც გამოწვეულია სახალხო მეურნეობის ამ დარგის მუშაობის გაფართოებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად საგასავლო მუხლს წარმოადგენს ფინანსების მიწოდება სახალხო მეურნეობისათვის. სახალხო მეურნეობისათვის შარშან გადადებულ 563 მილ. 500.000 მან. მაგიერ, წელს გადადებულია 877 მილ. მან. ბიუჯეტის ორ საგასავლო მუხლის ზრდასთან შედარებით, ეს ზრდა მაქსიმალურია.

20 თებერვლის საღამოს სხდომა

კერძო თათბირი საქალაქო საბჭოების მუშაობის შესახებ.

მოსკოვი, 21 თებერვალი. 20 თებერვალს ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო ცაკის წევრების კერძო თათბირი საქალაქო საბჭოების მუშაობის შესახებ.

ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ივანოვი.

საქალაქო საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისათვის მომხსენებელი ასახელებს საქალაქო საბჭოებისა და შესაფერ აღმასკომების სამეურნეო უფლებების სწორ გამიჯვნას და საქალაქო საბჭოების სამეურნეო და საბიუჯეტო საქმიანობის მკაცრ ფორმებში ჩამოყალიბებას. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს საქალაქო საბჭოების მუშაობაში მუშებისა და მუშა-ქალების ფართო ჩაბმის საჭიროებას, კანონმდებლობის გაზუსტებას ამრჩეველთა მიერ დეპუტატების უკან გამოსაძახებლად. უპარტიო აქტივის მიზიდვას საბჭოების მუშაობაში და სხვ.

აღნიშნულ საკითხზე კამათის დასრულების შემდეგ თათბირმა მიიღო ამხ. ივანოვის თეზისები და მიანდო საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დაუგზავნოს ეს თეზისები ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს, რომ მათ დაამუშაონ ისინი და ხელახლა დასვან გასარჩევად საკავშირო ცაკის შემდეგი სესიის კერძო თათბირზე (ადს).

21 თებერვლის დილის სხდომა

მოსკოვი, 21 თებერვალი. საკავშირო ცაკის სესიის 21 თებერვლის დილის სხდომაზე ამხ. ენუქიძე კითხულობს საკავშირო ცაკის წევრების ერთი ჯგუფის განცხადებას, სესიის დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის შესახებ, ხელდობრ, ვაჭრობის სახალხო კომისარის ამხ. მიქოიანის მოხსენების მოსმენის შესახებ ფასების პოლიტიკაზე.

საკავშირო და ეროვნებათა საბჭოები ცალ-ცალკე კენჭის ყრის დროს ერთხმად ღებულობენ ამ წინადადებას.

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების გაგრძელება გამო

შემდეგ სესია ისმენს ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების გაგრძელებას 1926—27 წლისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

თავისი მოხსენების ბოლო ნაწილში ამხ. ბრიუხანოვი ჩერდება იმ დაბრკოლებათა დახასიათებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა შარშან და იძლევა გასული წლის მიღწევათა ზოგად შეფასებას.

„ამჟამად,—ამბობს ამხ. ბრიუხანოვი,—სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი—ფასების დაკლების შესახებ. ამასთან დაკავშირებით სდგება უდიდესი ამოცანა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ამ კამპანიაში მთლიანი და მიზანშეწონილი ჩათრევის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ დიდ სამსახურს გვიწევენ მუშათა და გლეხთა ფართო მასები".

შემდეგ მომხსენებელი გამოდის დიაგრამების ილიუსტრაციით, რითაც ნათლად ხდის სახელმწიფოს მიერ განვლილ დაბრკოლებებს და მიღწევებს და ამბობს, რომ 1913 წელს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია ფასდებოდა 5.620 მილიონი ომამდე არსებული მანეთით, ხოლო 1926—27 წლის პროდუქცია ომამდე არსებული მანეთის კურსით უნდა შეფასდეს 6.752 მილიონ მანეთად. ამგვარად, მომხსენებლის თქმით, ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ ომამდე არსებულ მაქსიმალურ დონეს და მივაღწიეთ 1916 წ. ომიანობის მრეწველობის საერთო პროდუქციის მაქსიმუმს. ეხლა კი ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა—გაუსწროთ ომამდე არსებულ დონეს, რომელიც ხასიათდება, როგორც სილატაკის დონე.

„ჩვენი მეურნეობა, როგორც ამას გვასწავლიდა ილიჩი, უნდა განვითარდეს ელექტროფიკაციის საფუძველზე. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი მიღწევები და ნაწილობრივ შევასრულეთ ილიჩის ანდერძი.

თუ ავიღებთ 1913 წლის ელექტრომრეწველობის გამომუშავებას, იგი უდრის 1945 კილოუატსაათს. 1925—26 წელს კი იგი უდრის 3.200 კილოუატსაათს, ანუ მთელნახევარჯერ აჭარბებს ომამდე არსებულ რაოდენობას".

1926—27 წელს ჩვენ ავამუშავებთ ელექტრო-სადგურების მთელ რიგს და, კერძოდ, „ვოლხოვსტროი"-ს, რითაც კილოვატ საათების რაოდენობა აყვანილ იქნება 3.900-დე და ორჯერ გადააჭარბებს ომის წინად არსებულ ელექტრო - ენერგიას. ეს მიღწევები ელექტრო - ენერგიის იმ საჭიროებასთან შედარებით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, უმნიშვნელოა. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის თვითეულ სულზე იხარჯება 22 კილოვატსაათი ელექტრო-ენერგია, გერმანიაში — 480, ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში—700 და ნორვეგიაში — 2.000 კილოვატსაათი. ამიტომ ჩვენ ყოველივე ძალ - ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ახლო მომავალში გვექნეს თუნდაც მინიმალური მიღწევები დასავლეთ ევროპასთან შედარებით.

საბჭოთა მეურნეობის განვითარებას უმთავრესად აფერხებს მძიმე ინდუსტრიის და მისი ძირითადი ელემენტების — სათბობი მასალის და ლითონის მრეწველობის სისუსტე. ჯერ კიდევ 1922 წელს ილიჩი კომინტერნის კონგრესზე აღნიშნავდა, რომ მძიმე მრეწველობა წარმოადგენს მძიმე საკითხს ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც სესხებს არ იღებს უცხოეთიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენ საკუთარი რესურსების შემწეობით საძირკველს ვუყრით მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. წელს მძიმე ინდუსტრიისათვის გადაწყვეტილია 260 მილ. მანეთის გადადება, ხოლო 1922 წელს, როცა ვლადიმირ ილიჩი კომინტერნის კონგრესზე გამოდიოდა, ამ ინდუსტრიისათვის გადადებული იყო 20 მილ. მანეთი.

იმავე კონგრესზე ლენინმა აღნიშნა მეორე დიდი ამოცანა, როცა ლაპარაკობდა მანეთის სტაბილიზაციის მნიშვნელობაზე. ვლადიმირ ილიჩი აღნიშნავდა, რომ ჩვენი მიღწევები მანეთის სტაბილიზაციის დარგში საშუალებას გვაძლევს მაგარ ფეხზე დავაყენოთ ჩვენი მეურნეობა.

უკვე აღნიშნული იყო ,რომ შარშან ჩვენ გვქონდა ფულის სისტემის ერთგვარი რყევა. წელს მიღებულია ყოველივე ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, ფასების დასაკლებად და საბჭოთა ვალიუტის განსამტკიცებლად ჩვენ ლენინის აღთქმასაც შევასრულებთ და შემდეგში საბჭოთა ვალიუტის არავითარ რყევას არ დაუშვებთ და ჩვენ გეგმებს დაუმყარებთ რეალურ ბაზას.

ტრანსპორტის ამოცანები

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ტრანსპორტის მუშაობის შემდგომ განმტკიცებას, განვითარებას და გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა ტრანსპორტის წინაშე არსებულ ამოცანების ფართოდ გაშუქება, სწორი გზების გამონახვა მათ გადასაჭრელად და ტრანსპორტის განვითარების დაკავშირება საერთოდ მთელ სახალხო მეურნეობასთან.

საკმაოდ თვალსაჩინოა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ტრანსპორტს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის.

ყოვლად დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ტრანსპორტი იქცეს შემზღუდავ და შემაფერხებელ ფაქტორად სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ჯერ კიდევ წელს სარკინიგზო ტრანსპორტს დიდად უძნელდება ტვირთზიდვისათვის თავის გართმევა, ეს იმ დროს, როცა ის თითქმის სავსებით იყენებს მის განკარგულებაში არსებულ ყველა რესურსებს. ამავე დროს ტრანსპორტის ტეხნიკური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი და მისი ძირითადი კაპიტალი თითქმის სავსებით ამოქმედებულია. მისი შემდგომი წარმატება, მისი მუშაობის გაუმჯობესება, აგრეთვე ტვირთზიდვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დაკავშირებული იქნება საშუალებების გადიდებასთან, ტეხნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და თანამედროვე ტეხნიკის მიღწევების გამოყენებასთან. საჭიროა არა მარტო სარკინიგზო ტრანსპორტის, არამედ საერთოდ მთელი სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესების საქმის წინ წაწევა, რომლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს წყლის და გზატკეცილების ტრანსპორტის პროპორციონალურ განვითარებას, თვითეული მათგანის თავისებურობის მიხედვით. დღემდე მთავარი ყურადღება ექცეოდა სარკინიგზო ტრანსპორტს. უნდა აღინიშნოს, რომ სარკინიგზო ტრანსპორტის განტვირთვის თვალსაზრისით აბსოლიუტურად აუცილებელია წყლის ტრანსპორტის გამოყენება. დაბოლოს, ავტოტრანსპორტის განვითარების დარგში, რომელსაც შეუძლია თვით მოკლე მანძილზეც მეტოქეობა გაუწიოს რკინის გზებს, ჩვენი მიღწევები ჯერ კიდევ ცოტაა.

ტრანსპორტის ტეხნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა გატარდეს საშუალებების უდრესად დაზოგვით, მათი მიზანშეწონილად და რაციონალურად გამოყენებით, სწორად აწონ-დაწონილ უნდა იქნეს შესაძლებელი ეკონომიური ეფექტი. საჭიროა პროექტების ზედმიწევნით სწორი ტეხნიკური დამუშავება.

ამავე დროს ტრანსპორტმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველა მის განკარგულებაში არსებული შინაგანი რესურსები, მან არ უნდა დაუშვას მასალების ზედმეტი, მოთხოვნილების გარეშე, დაგროვება და ახალი სამუშაოები გეგმაზე ზევით. საგეგმო დისციპლინა-მშენებლობის დარგში ტრანსპორტზე ხისტიკად უნდა იქნეს დაცული და ამ მხრივ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომელიც მრეწველობას შეეხება, ტრანსპორტზედაც უნდა იქნეს გავრცელებული. ტრანსპორტის ტეხნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების დარგში მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღებით. ამ ღონისძიებებზე დაწვრილებით მიუთითა ამხ. რუძუტაკმა თავის მოხსენებაში, რომელიც მან ცაკის სესიაზე გააკეთა. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპორტის მმართველობის სისტემას. მრეწველობაში უკვე დასმულია ეს საკითხი; ყველა საჭიროდ აღიარებს გაცილებით უფრო მეტი ინიციატივის მინიჭებას ადგილებისათვის, ვინემ ეს დღემდე იყო, პარატიული მუშაობის მხრივ. მრეწველობაში დასახულმა მიმართულებამ, ალბად, გამოხატულება უნდა ჰპოვოს ტრანსპორტზეც, რასაკვირველია სატრანსპორტო მეურნეობის სტრუქტურის ყველა თავისებურობათა გათვალისწინების მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოძრავ-შემადგენლობის გამოყენების გაუმჯობესებას. ამ მხრივ ტრანსპორტმა უკვე ბევრ რამეს მიაღწია, მაგრამ შეიძლება კიდევ ბევრი რამ იქნეს გაკეთებული და ამ მიმართულებით უნდა წავიდეთ წინ, ვინაიდან გვაქვს საკმარისი შესაძლებლობანი შემდგომის საგრძნობი გაუმჯობესებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით, ჩვენს ტრანსპორტს საქმე აქვს კლიენტების შედარებით განსაზღვრულ წრესთან, და მასსიური ტვირთები შედარებით სწორ გეგმაზე არის დამყარებული, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევიტანოთ გეგმიანობა ტვირთების გადატან-გადმოტანის საქმეში, თავიდან ავიცილოთ ტვირთების დაგვიანება და სხვ.

ტრანსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სათბობი მასალის გამოყენების რაციონალიზაცია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მცირე მომჭირნეობას აქ შეუძლია მოგვცეს მეტად დიდი შედეგები, რამდენადაც ტრანსპორტი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს სათბობი მასალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომხმარებელს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი გზების გაყვანას. ახალი ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების მოწყობა, ნავთის მრეწველობის შემდგომი განვითარება, ახალ-ახალ რაიონების ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება საჭიროებს ახალი გზების გაყვანას. არსებულ გზების მასშტაბით დაკმაყოფილებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, შეუძლებელია. ახალი მშენებლობა მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული სახალხო მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმასთან. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს ადგილობრივი ტრანსპორტის მშენებლობას.

ტრანსპორტის მუშაკების წინაშე დგანან უდიდესი ამოცანები, რომელნიც ავალებენ მათ მუშაობის გაძლიერებას, როგორც ჩვენს მიერ აღნიშნულ მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებების გასატარებლად, ისე იმ მხრივ, რომ შემცირებული იქნეს ხარჯები და უფრო დაზოგვით იქნეს დახარჯული თანხები ახალ კაპიტალურ სამუშაოებზე.

მოსკოვი, 21 თებერვალი.

ღამის ცნობები

ფოთელი პროვოკატორების საქმე

ფოთი, 21 თებერვ. 21 თებერვლის დილის სხდომაზე, სასამართლოში გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

ფოთელი ფედერალისტების ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა მოწმე მიხ. ესაკიამ დაადასტურა, რომ ბრალდებული ლოლუა აწყობდა შტრეიკბრეხერთა რაზმებს. ბრალდებულ ჟვანიას შესახებ მოწმე ამბობს, რომ 1917 წელს შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ბრალდებულს მიცემული ჰქონდა განცხადება, რომელშიაც იგი აცხადებდა, სურვილს თავის მზადყოფნის შესახებ სოციალისტებთან ბრძოლის საქმეში და სამაგიეროთ ითხოვდა ჯილდოს.

მოწმე სოლ. პაიჭაძე კომუნისტი, ახასიათებს ლოლუას, როგორც ჯაშუშს და პროვოკატორს; ჟვანიას კი მოწმე უწოდებს მუშათა კლასის ჯალათს. ბრალდებული პრაწეიშვილი მოწმის ჩვენებით იყო საიდუმლო პოლიციის აგენტი. ბრალდებულ შაპიროს მოწმე უწოდებს შავრაზმელს და მუშათა კლასის მტერს.

დანარჩენ 9 მოწმეს ახალი არაფერი უთქვამთ (ადს).

მუკდენელები იერიშზე გადადიან

პეკინი, 20 თებერვალი. გაზეთ „იშიბაო"-ს ცნობით, მუკდენელების მე-17-ე კორპუსის ნაწილები გადავიდნენ ყვითელ მდინარეზე და 15 თებერვალს შევიდნენ ჩენ-ჩჟოუში. (ადს)

ფრიჩეს 30 წლის იუბილე

მოსკოვი, 21 თებერვ. 20 თებერვალს მოსკოვში გადახდილი იქნა ლიტერატურის და ხელოვნების ცნობილ მცოდნის, კომუნისტ პროფესორის ფრიჩეს მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. (ადს).

პროფ. ზავიტნევიჩის გარდაცვალება

კიევი, 21 თებერვ. გარდაიცვალა ცნობილი სწავლული პროფ. ზავიტნევიჩი. განსვენებულის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი შრომებისა რუსული ლიტერატურის ისტორიიდან. (ადს).

პირველი იაპონელი ჩინეთის საბაჟოში

პეკინი, 21 თებერვ. იაპონიის სააგენტო ნიპპონ დემპოს გადმოცემით, პეკინის მთავრობამ დანიშნა დაირენის საბაჟოს გამგეთ იაპონელი კიშიმოტო. საბაჟოს ყოფ. გამგე ედვარდსი გადაყვანილია სხვა თანამდებობაზე.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ კიშიმოტო პირველი იაპონელია, რომელიც დაინიშნა საპასუხისმგებლო საბაჟოს პოსტზე. დღემდე ასეთი პოსტები ეჭირათ ინგლისელებს (ადს).

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 21 თებერვ. 19 თებერვალს დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: კაპაბლანკა (კუბა), მარშალი (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები), ალიოხინი (საფრანგეთი), ნიმცოვიჩი (დანია), ვიდმარი (სამხრეთ-სლავია) და შპილმანი (ავსტრია). სულ შესდგება 20 შეჯიბრი, თვითეული თვითეულს ეთამაშება ოთხ-ოთხ პარტიას.

პირველ შეჯიბრში კაპაბლანკა (თეთრით) ეთამაშებოდა შპილმანს (შავი), მეორეში—მარშალი ნიმცოვიჩს, მესამეში ალიოხინი ვიდმარს. პირველი შეჯიბრი კაპაბლანკასა და შპილმანს შორის უშედეგოდ დამთავრდა დანარჩენი ორი გადაიდო დაუმთავრებლად. (ადს).

ახკომკავშირის ბაქოს საქალაქო კონფერენცია

ბაქო ,21 თებერვ. გაიხსნა ახ. ლ. კომკავშირის ბაქოს ორგანიზაციის საქალაქო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა, ახ. ლ. კომკავშირის ბაქოს კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, აზ. ახკომკავშირის ცკას მოხსენება, ცენტ. საკ. კომისიის მოხსენება, მასიური პროფტექნიკური განათლება, მასიურ - კულტურული განათლება და არჩევნები.

რეგლამენტის მიღების შემდეგ კონფერენცია შეუდგა დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე მოხსენებების მოსმენას. (ადს).

მადლობა სპარსელ ვაჭრებისაგან

თეირანი, 20 თებერვ. მეშედის ვაჭრების ასოციაციამ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას სპარსეთში მიმართა დეპეშით, რომელშიაც მადლობას უცხადებს მათ იმისათვის, რომ სპარსელ ვაჭრებს საშუალება მიეცათ გაიტანონ თავისი საქონელი ბაქოს ბაზრობაზე. (ადს).

გრიგალი ტაგანროგში

ტაგანროგი, 21 თებერვ. ტაგანროგზე გადაიარა მძლავრმა გრიგალმა, რის გამოც წყალმა მდინარიდან გადმოხეთქა და ნაპირის ნაწილი წალეკა (ადს).

უარყოფენ

ლონდონი, 20 თებერვ. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ოფიციალურად უარყოფენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ოსტინ ჩემბერლენი მინისტრთა კაბინეტის უკანასკნელ სხდომაზე იმუქრებოდა მთავრობიდან გასვლით საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის შესახებ შემოტანილ წინადადებასთან დაკავშირებ[illegible]. (ადს).

„რაკოვსკის პროცესი"

ვენა, 20 თებერვ. „ადევერულ"-ის ცნობით, რაკოვსკის, დობროჯანის და ბუშერის პროცესი იასში დაიწყება ერთი კვირის შემდეგ. ბუშერი, რომელიც ამჟამად იმყოფება დოფტანის ციხეში, გადმოჰყავთ იასში. (ადს).

საკავშირო ს. მ. უ. ს. პლენუმი

საკავშირო ს. მ. უ. ს. პლენუმი.

მოსკოვი, 21 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პლენუმის 19 თებერვლის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო, რის შემდეგაც საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კუიბიშევმა.

პლენუმმა დაადგინა ამხ. კუიბიშევის თეზისები მიიღოს საფუძვლად. ამორჩეულია კომისია ცალკე საკითხების კონკრეტულ დასამუშავებლად (ადს).

ფასების დაკლება

სატრანსპორტო კოოპერაციაში

საუბარი ამხ. ქიტკოვთან

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა არის გაკეთებული სატრანსპორტო კოოპერაციაში ფასების დაკლების მხრივ და რა უნდა გაკეთდეს მომავალში, თბილისში ჩამოსულმა „ცენტროსოიუზი"-ს სატრანსპორტო სექციის გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა შემდეგი:

დირექტივებმა ფასების დაკლების შესახებ თავის გამოხატულება ჰპოვა სატრანსპორტო კოოპერაციაში შემდეგი სახით: საბიუჯეტო ნაკრების ღირებულება პირველი მაისისათვის უდრიდა 14 მან. 81 კაპიკს, ხოლო პირველი დეკემბრისათვის — 12 მან. 70 კაპიკს. ამგვარად საბიუჯეტო ნაკრების ღირებულება პირველ დეკემბრისთვის შემცირდა.

სექციამ ამას წინად მოახდინა გამოკვლევა 15 საზოგადოებაში იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. გამოირკვა, რომ ამ საზოგადოებებში ფასები სამრეწველო საქონელზე საშუალოდ 8,28 პროცენტით არის დაწეული.

აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ სატრანსპორტო კოოპერაციამ, ისე როგორც საერთოდ მთელმა სამომხმარებლო კოოპერატიულ სისტემამ საბოლოოდ ვერ განახორციელა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა. ეს მოხდა როგორც კოოპერაციაზე დამოკიდებული სუბიექტიური მიზეზებისა, ისე ობიექტიური მიზეზების გამო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლა მთელ სამომხმარებლო კოოპერაციაში ადგილი აქვს გარდატეხას. იქ საერთოდ უკვე შეგნებული აქვთ ფასების დაკლების ამოცანები. სრული იმედი გვაქვს, რომ სატრანსპორტო კოოპერაცია შეასრულებს პარტიის და ხელისუფლების დირექტივას პირველ ივნისისათვის. ფასების 10 პროცენტამდე დაკლების შესახებ.

ამ დირექტივის გატარება სატრანსპორტო კოოპერაციას შეუძლია შემდეგისათვის მუშაობა ფასების დაკლების მხრივ უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით ერთის მხრივ მოგების პროცენტის მინიმუმამდე დაყვანით და მეორე მხრივ საკუთარ ხარჯების შემცირებით, აპარატის რაციონალიზაციის გატარებით.

ვინაიდან სატრანსპორტო კოოპერაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ძალიან რთულია და მისი ქსელი ხვდება დიდ ტერიტორიას სატრანსპორტო კოოპ. სექციამ მოაგვარა საკითხი ხარჯების და თვით ღირებულებაზე მისასვლელ ფასების მოწესრიგებისა, თითოეულ ამხანაგობისათვის ცალკე. ამ მუშაობას ჩვენ ეხლა ვაწარმოებთ და ახლო მომავალში ყველა ამხანაგობებს დაურიგებთ ვაჭრობის მოწესრიგების განსაზღვრულ ნორმებს.

ამ ნორმებში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი პირობები და ცალკე ორგანიზაციების მდგომარეობა.

საბჭოთა არჩევნები

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

თბილისში

არსრაიონის მუშებში

გუშინ, უკანასკნელი არჩევნების დღე იყო, არსენალის რაიონში. ცენტრალური მუშათა კლუბის სათეატრო დარბაზი კვლავ გაივსო მუშებით, მოსამსახურეებით და მათი ოჯახის წევრებით, უკვე 500 კაცამდე არის, კრებას ხსნის ამხ. პრეობრაჟენსკი. არჩევნებამდე განხილულ იქნა ნაკაზი, ოთხ ენაზე. ამრჩევლებმა ნაკაზს რამოდენიმე საკითხი დაუმატეს. მუშათა კვალიფიკაციის აწევის, საბინაო საქმის მოწესრიგების, მასწავლებლების შერჩევის შესახებ და სხვა. დაიწყო არჩევნები. აქტივის მიერ წარმოდგენილ სიას დაემატა რამოდენიმე კაცი და კრება შეუდგა კენჭის ყრას. თბილისის საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქნენ ამხ.. 1) ლადო ძლიაძე (კომ. მუშა), 2) ივანე პრეობრაჟენსკი (კომ. მუშა), 3) ამირჯან ხარქისოვი (კომ. მუშა), 4) სერგო იშხანოვი (კ. კ. წევრი მუშა), 5) იოსებ წერეთელი (კომ. მუშა), 6) მარიამ ოსიშვილი (კომ. მუშა-ქალი), 7) პავლე გიგაური (უპარტიო მუშა), 8) პავლე ზიგმახი (უპარტიო მუშა).

კანდიდატებათ: 1) პავლე რუნიხინი (უპარტიო მუშა), 2) მიხეილ ხაჩატუროვი (კ. კ. წევრი მუშა), 3) მიხეილ სხირტლაძე (უპარტიო მუშა).

დასასრულ ამრჩეველთ უჩვენეს კინო - სურათი.

ავტო კლუბში

გუშინ, საღამოს 6 საათზე „ავტოპრომტორგის" სამმართველოს გარაჟის მუშა - მოსამსახურეებმა,ოჯახის წევრებთან ერთად საარჩევნო კრებაზე, რომელიც შესდგა ავტო-კლუბში, თბილისის საბჭოს დეპუტატებათ აირჩიეს:1) ვასილ მზარეულაშვილი (კომ. მუშა), 2) ანდრია მონტინი (კომ., მუშა), 3) ხარიტონ ხაცკევიჩი (კომუნისტი, მოსამს.), 4) ნიკოლოზ სოლოვიოვი (კომ., მუშა). 5) ვასილი მაისურაძე (კომ., მუშა), 6) არზას ცურინოვი (უპ., მოსამსახ.).

კანდიდატებათ: 1) ივანე ხოჯაევი (უპ. მუშა), 2) ვახტანგ ნონიკაშვილი (უპარტიო მოსამს.).

მუშათა თეატრში

გუშინ, მუშათა თეატრში, შესდგა, ცირკის; კინოების, მესაზანდრეთა და მათი ოჯახის წევრების საარჩევნო კრება ორ წყებათ 1-ლ სხდომაზე თბილისის საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: 1) გაბო მჭედლიშვილი (კომ. მუშა), 2) ლეონ ანდრონიანი (კომ. მუშა).

მეორე სხდომაზე დიასახლისებმა აირჩიეს ამხ. მარიამ ბაბაევა (უპარტიო მუშა).

ფოლაქების ქარხანაში

გუშინ, ნაშუადღევის, 2 საათზე, ქარხნის ერთ-ერთ დარბაზში შესდგა ადგილობრივ მუშა - მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა საბჭოს დეპუტატათ ამხ. პეტრე რინინბერგი (კომ. მუშა).

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

დღეს, 3 საათზე, ს. მ. უ. ს. თანამშრომლებმა შესწყვიტეს მუშაობა არჩევნების მოსახდენად. კრებაზე შეგროვდა 120 კაცი. საბჭოს დეპუტატათ აირჩიეს: ამხ. **პროკოფი ჯანაშია** (კომ. მოსამს.), ხოლო კანდიდატათ: **ნიკოლოზ ჩიქვილაძე** (კომ. მოსამსახურე).

მებაღეების დეპუტატები

გუშინ, ბაღ „შრომა"-ში თავი მოიყარეს ბაღების მუშა - მოსამსახურეებმა, თავისი ოჯახის წევრებით. ინსტრუქციისა და „ნაკაზი"-ს განხილვის შემდეგ, თბილისის საბჭოში გაიგზავნა ამხ. **შალვა მურავიოვი** (კომ., მოსამსახურე).

ფოტოგრაფებში

გუშინ, საარჩევნო კრებაზე, ხელოსანთა კლუბში, ფოტოგრაფთა სექციამ დეპუტატათ აირჩია ამხ. **პარმენ ხაგაგორტიანი** (უპარტიო მუშა).

კრება ახალ მუშათა კლუბში.

კვირას 12 საათზე ახალ მუშათა კლუბში შესდგა საქ. სატყეო ტრესტის და ხელოვნების მუშაკთა ადგილკომის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

„ნაკაზის" წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეული იქნენ: ამხ. **გუგუშვილი** (უპარტიო), **კორ** (კომუნისტი), **ბრეგაძე** (კომუნისტი), **ჩერსკი** (უპარტიო) და კანდიდატებად—ამხ. **კორძახია** (კომუნისტი) და **ტულაშვილი** (უპარტიო).

საბჭ. და სავაჭ. დაწ. მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა კრება.

კვირას, დღის 1 საათზე, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში შესდგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა უმუშევარ წევრების საარჩევნო კრება.

თბილისის საბჭოს წევრებად არჩეული იქნენ: ამხ. **ათოევი** (კომუნისტი, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფ. კავშ. ც. გ. თავმჯდომარე), **ნიკო კიკნაძე** (ძველი მუშა, კომ., თბილისის აღმასკომთან არსებულ ადგილობრივი მრეწველობის განყ. გამგე), **ელენე ბიბინეიშვილი** (კომუნისტი, საქართველოს და ამიერკავკ. საკონტროლო კომისიის წევრი), **გუდავაძე** (მეოთხე რაიკომის საორგ. განყ. გამგე), **ვ. სიხარულიძე** (კომუნ. შრომის ბირჟის გამგე), **ორჯონიკიძე** (საბჭ. და სავაჭრო მუშ. პროფკავშირის ც. გ. კულტგანყოფილების გამგე), **მარკმანი** (კომუნისტი), **კოზლოვსკი** (უპარტიო), **პანიევი** (უპარტიო, უმუშევარი), **ვართანოვი** (უპარტიო, უმუშევარი), **დურგლიშვილი** (უპარტიო, უმუშევარი) და კანდიდატებად—ამხ. **რაზმოვი** (კომუნისტი, უმუშევარი) და **დალაქიანი** (კომკავშირელი, უმუშევარი), რის შემდეგ წაკითხული და მცირეოდენი დამატებებით დამტკიცებული იქნა „ნაკაზი".

მისალმება საქართველოს ცაკს

ქარელიდან.

ქარელის სათემო საბჭოთა მეხუთე ყრილობა გესალმებათ მუშურ მთავრობის ხელმძღვანელ ორგანოს და ფიცს სდებს იდგეს თქვენთან ერთად მშრომელთა კეთილდღეობის სადარაჯოზე.

სათემო ყრილობის პრეზიდიუმი.

ამხ. ფილიპე მახარაძეს

ქვემო ჭალიდან.

ქვემო-ჭალის თემის საბჭოს ყრილობა გიძღვნით მხურვალე სალამს მუშათა მასის ხელმძღვანელს და მხცოვან ბელადს და აღგითქვამთ, რომ ყოველივეს შევასრულებთ ურყევლად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

პრეზიდიუმი.

მარტყოფიდან

ნორიოს თემის მე-2 საბჭ. ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და ფიცსა სდებს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით შეასრულებს მშრომ. გლეხობის დავალებებს სოციალისტური მეურნეობის განსავითარებლად. გაუმარჯოს საბჭოებს და მათ ხელმძღვანელ ორგანოებს!

პრეზიდიუმი.

ადგილებზე

კულაკები დამარცხდნენ.

სალაში, 21 თებერვალი. 18 თებერვალს მოხდა არჩევნები ყვარელის თემში, სადაც განსაკუთრებით ძლიერები არიან კულაკები. არჩევნები გაცხოველებით ჩატარდა. 3,045 ამომრჩეველიდან გამოცხადდა 2.073 კაცი, ე. ი. 68 პროცენტი. საბჭოში არჩეულ იქნა 61 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი—14, კომკავშირელი—11 და ქალი—5. ყველა კულაკური კანდიდატები ერთხმად გაიშავეს.

არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა 3 თემში. 27 თებერვლისათვის მთელ მაზრაში და ქალაქში არჩევნები დამთავრდა. საბჭოთა სამაზრო ყრილობა დანიშნულია 4 მარტისათვის (ადს).

ოზურგეთის მაზრა

ოზურგეთი, 21 თებერვალი. დამთავრდა არჩევნები საქამიასერის, ზემოხეთის და კოხნარის თემებში. საარჩევნო პუნქტებში გამოცხადდენ ამომრჩეველთა 52-დან 58 პროცენტამდე. 77 დეპუტატიდან 36 კომუნისტია და კომკავშირელი. მათ შორის 7 ქალია (ადს).

სამხრეთ-ოსეთში.

ცხინვალი, 21 თებერვალი. საარჩევნო კამპანია სამხრეთ-ოსეთში თავის დროზე დაიწყო. ზოგიერთ რაიონებში არჩევნები დამთავრდა. ამ წლის კამპანიას დიდი აქტივობა ემჩნევა; ზოგიერთ რაიონებში ამომრჩეველთა 90 პროცენტამდე ცხადდება კრებებზე. ამას ხელი შეუწყო საარჩევნო პუნქტების რიცხვის გადიდებამ შარშანდელთან შედარებით. ქალთა მონაწილეობა არჩევნებში სუსტია (ადს).

აქტივის სამზადისი

(თერჯოლა, შორაპ. მ.)

აქტივის კრებები, რომელზედაც მოწვეული იყვნენ: ღარიბისა გლეხობა, მოჯამაგირეები ყოფილ წითელ არმიელები, პროფკავშირის წევრები, ქალთა დელეგატები, პარტია და კომკავშირი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი, ეს კრებები ჩვენს თემში დასრულდა 6 თებერვალს. კომუჯრედის და კომკავშირის მიერ შერჩეული მომავალი საბჭოს წევრები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ უბნებში სულ მცირეოდენ შესწორებებს, ერთხმად მოიწონა აქტივმა. გლეხები დიდათ მოხარული დარჩენ, რომ ყველა კუთხიდან დაკვირვებით იყვნენ შერჩეული კანდიდატები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წელს საბჭოში ბობოლა გლეხი თავის ხრიკებით ვერ გაძვრება. ამის მაჩვენებელია ჩვენი წინასწარი მზადება არჩევნებისათვის და ყველა უბნებში ჩატარებული აქტივთა კრებები. საარჩევნო უწყებები ყველა უბნებში დარიგებულია 5 დღით ადრე და შერჩეული კანდიდატების სია ათი დღით ადრე გაკრული.

ფაქტიური არჩევნები თერჯოლის თემში დაიწყო 13 თებერვლიდან. კამპანია დასრულდება მთლიანად ყველა უბნებში 17 თებერვალს.

ვალ—ია.

ქალთა მონაწილეობა სუსტია

(სურამის თემი)

არჩევნები სურამის თემში დაიწყო 26 იანვრიდან; ჯერ-ჯერობით არჩევნები დამთავრებულია ოცზე მეტ უბანში.

ჯერ-ჯერობით არჩეულია 62 საბჭოს წევრი, აქედან კ. პ. წევრი 15, კანდიდატი 6, კომკავშირელი 9, უპარტიო 32. სოციალურად არჩეულების შემადგენლობა ასეთია: გლეხი 51, მუშა 10, მასწავლებელი 1, ქალი 4, კაცი 58.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ თემში ქალების მონაწილეობა არჩევნებში და მათი საბჭოებში გაყვანა ძალიან მოისუსტებს. 20 უბანში ჩატარებულ არჩევნებში 58 მამაკაციდან მხოლოდ 4 ქალია. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ გლეხობის მოთხოვნილება არჩევნებში არის უმეტესად სკოლების გაკეთება, მისთვის ახალი შენობების აგება და სხვა.

ი. გაგოშიძე.

---

25 თებერვალს, დღის 12 საათზე, ოპერის თეატრის შენობაში

მოწვეულია

თბილისის საბჭოთა ყრილობა

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე.
2. ანგარიში თბილისის აღმასკომის მუშაობის შესახებ.
3. წითელი არმიის ამოცანების შესახებ და
4. თბილისის აღმასკომის არჩევნები.

პრეზიდიუმი

იქვე, იმავე 25 თებერვალს, დილის 10 საათზე შესდგება ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომა.

ფრაქციის ბიურო.

ნ. 694 2—2

---

23 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, წითელი თეატრის შენობაში (სახალხო სახლი)

მოწვეულია

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი

დღის წესრიგი.

1. ორგანიზაციული საკითხები.

პრეზიდიუმი.

იმავე შენობაში იმავე დღეს, 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგება საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა.

ნ. 695 2—2 **ფრაქციის ბიურო.**

პარტიული ცხოვრება

თათბირი პარტაღწერის შესახებ ამიერ-კავკასიაში

გუშინ, საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტთან გაიხსნა თათბირი პარტაღწერის შედეგების გამოსარკვევად. თათბირს დაესწრენ ა.-კ. რესპუბლიკებისა და ბაქოს, ერევნის და თბილისის კომიტეტების წარმომადგენლები.—თათბირი გახსნა ამხ. რუბენმა.

პირველად თათბირმა მოისმინა

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას მოხსენება

ამხ. ბაზილევიჩი. ადგილებზე თავის დროზე დაიგზავნა საინფორმაციო წერილები, რომლებშიაც მიცემული იყო სათანადო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდეს პარტაღწერის კამპანია. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო უჯრედებში სუსტად ჩატარდა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. მუშაობა პარტაღწერის გარშემო 14 მაზრიდან დამაკმაყოფილებლად ჩატარდა 7 მაზრაში. პარტაღწერაზე მომუშავეებმა კარგად შეითვისეს ინსტრუქციები და ადვილად შეასრულეს მუშაობა. სუსტად ჩატარდა პარტაღწერა ქურთისტანში და სალიანის და ალდამის მაზრებში.

აზერბეიჯანის მაზრებში აღწერაში უნდა გატარებულიყო 7.882 კაცი, ხოლო გატარდა კი—7.047 კაცი. არ გაიარა პარტაღწერა 815 კაცმა; მათ შორის პარტიის წევრია 207, ხოლო კანდიდატი — 593. ავადმყოფობის მიზეზით არ გაიარა პარტაღწერა 48 კაცმა, მივლინების გამო — 90 კაც., შვებულებაში ყოფნის მიზეზით — 13 კაც., არასაპატიო მიზეზით—445 კ. სხვათა შორის, უკანასკნელ ჯგუფში მოხვდენ ასეთი ამხანაგები, რომლებიც საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და სხვ.) არ გატარდენ პარტაღწერაში.

სუსტი ინფორმაციის მიზეზით უჯრედის მდივნები ხანდისხან კალმის ერთი მოსმით პარტაღწერაზე არ გამოცხადებულთა დიდ პროცენტს აკუთვნებდა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელთა ჯგუფს.

აღწერის ზოგიერთი ორგანიზატორები სჩიოდენ იმას, რომ მუშაობის პროცესში მათ სტვირთავდენ სხვა საქმით. ასე, მაგალითად, ყაზახის მაზრის ორგანიზატორი დატვირთული იყო საბჭოების გადარჩევის მომზადების საქმით. საერთოდ, უფრო მომზადებული ინსტრუქტორები გამოყენებულ იქნა წინა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

ბლანკში განსაკუთრებით რთული იყო პუნქტები განათლებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ბევრ ბლანკში ეს ორი პუნქტი ერთი მეორეშია არეული.

ტის მოხსენება

ბაქოს კომიტეტის მოხსენება

ბაქოს კომიტეტის მოხსენებით გამოვიდა ამხ. **შალდეევი**, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიულ აღწერას ბაქოს ორგანიზაციაში წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ორგანიზაციის წინაშე იდგა 3 ძირითადი ამოცანა. პირველი — საგიტაციო მუშაობა (პარტიულების გაცნობა პარტაღწერის მიზნებთან), მეორე — აღმწერთა მომზადება და მესამე — ადგილობრივი ორგანიზაციის პირადი შემადგენლობის შემოწმება.

დამაკმაყოფილებლად ჩატარდა პარტიულთა გაცნობა აღწერის ამოცანებთან. ორგანიზაციამ ორჯერ მოისმინა მოხსენება პარტაღწერის შესახებ. ყველა უჯრედებმა ჩაატარეს პარტაღწერის საკითხებზისადმი მიძღვნილი კრებები. გაზეთებში სისტემატიურად იბეჭდებოდა სათანადო წერილები.

ორგანიზაციაში მუშაობდა 150 რეგისტრატორი, რომლებისთვისაც თვითეულ რაიონში მოწყობილი იყო სპეციალური სათათბირო კურსები.

აღწერა დაიწყო 10 იანვარს, და დასრულდა 18-ში. აღწერის დაწყებამდე ორგანიზაციაში ირიცხებოდა 803 უჯრედი, 20.308 წევრით და კანდიდატით. აღწერაში გაიარა 18.981 კაცმა, ე. ი. მთელი ორგანიზაციის 93,3 პროც-მა. არ გატარდა აღწერაში 1.357 კაცი, მათგან ავათმყოფობის მიზეზით — 233 კაცი, თანამდებობითი მივლინების გამო — 228 კაცი, შემთხვევითი შვებულებით — 71 კაცი და არასაპატიო მიზეზით — 665 კაცი.

18 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე დამატებითი აღწერაში გატარდა 307 კაცი.

პოლიტსკოლების მსმენელთა თათბირი

კვირას, 20 თებერვალს მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში გაიხსნა პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენცია. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბუდილევის მოხსენება

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლიტსკოლების რიცხვი ეხლა წარსულთან შედარებით ძალიან გაზრდილია. ჩვენთვის უკვე აღარ წარმოადგენს საჭირბოროტო საკითხს სკოლების ქსელის გაფართოება. ამ ჟამად ჩვენი ზრუნვის საგანია პოლიტსკოლების მუშაობის გაუმჯობესება. თბილისის ფარგლებში მომქმედ პარტგანათლების ქსელის ნახევარი სავალდებულო ქსელია, ნახევარი კი ნებაყოფლობითი. უდიდესი ნაკლი, რაც ხელს უშლის ქსელის წარმატებით მუშაობას, ეს არის მსმენელთა სუსტი დასწრება პოლიტსკოლების მეცადინეობაზე

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ეხება საერთოდ პარტამზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობას და გადადის პოლიტსკოლების და უჯრედის მოვალეობათა და ურთიერთ-დამოკიდებულების დახასიათებაზე.

პოლიტსკოლა, განაგრძობს ამხ. ბუდილევი, კისრულობს უჯრედის სამუშაოთა მხოლოდ ნაწილს, სახელდობრ პარტიის წევრთათვის თეორეტიული მომზადების მიცემას, მაშინ როდესაც უჯრედი მოვალეა უშუალო მონაწილეობა მიიღოს ეკონომიურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. ამიტომაა საჭირო პოლიტსკოლების და უჯრედის მუშაობის ერთმანეთთან დაკავშირება. შემდეგ მომხსენებელი გადადის ხელმძღვანელის მოვალეობაზე და ამბობს, რომ ხელმძღვანელს პროგრამის ცოდნის გარდა აუცილებლად ევალება მეურნეობის იმ დარგის ცოდნა, რომელ წარმოებაშიაც მოქმედობს მისი პოლიტსკოლა. იგი უნდა სწავლობდეს თავის აუდიტორიას და მის განწყობილებას, ესწრებოდეს უჯრედის სხდომებს, უშუალო კავშირი ქონდეს უჯრედის მდივანთან და აგიტპროპ-ორგანიზატორთან, აგრეთვე სასურველია იყოს უჯრედის ბიუროს წევრი.

უჯრედმა ხშირად უნდა მოისმინოს ხელმძღვანელის აგიტპროპორგანიზატორის და მსმენელთა მოხსენებები და მიიღოს ზომები დაუსწრებლობის წინააღმდეგ. ამასთანავე პოლიტსკოლა მოვალეა თავისი მუშაობა დაუკავშიროს უჯრედის მუშაობას სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროსაც, რათა ამით თვითეული კომუნისტი გადავაქციოთ პარტიის ამოცანების და შეხედულებათა პროპაგანდისტათ წარმოება-დაწესებულებათა უპარტიო მასაში.

მსმენელები დაუკლებლივ უნდა დაესწრონ სკოლის მეცადინეობას და შესაფერისად იმეცადინონ გავლილ საგნების შესათვისებლად.(უნდა ითქვას, რომ მსმენელების 90 პროც. ეხლა გულგრილად ეპყრობა ამ საქმეს).

ხელმძღვანელნი,—უჯრედის ბიურო და აქტივი პასუხისმგებელი არიან პოლიტსკოლის მუშაობისათვის. ამხ. ბუდილევის მოხსენების გარშემო ვაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ პოლიტსკოლების მუშაობისათვის ხელისშემშლელ სხვადასხვა მიზეზებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ ქართულ და სომხურ ლიტერატურის უქონლობას.

ამხ. ბუდილევის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციის პრეზიდიუმს დაევალა რეზოლიუციის გამომუშავება.

22 თებერვლიდან კონფერენცია შეუდგება სექციურ მუშაობას. იმუშავებს სამი სექცია: ქართული, სომხური და რუსული. სექციების სხდომებზე მოსმენილი იქნება სკოლების მსმენელთა მოხსენებები.

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგება კვირას, 27 თებერვალს.

კ. სურმუშელი.

თბილისის ორგანიზაციის სახე

(აღწერის მასალების მიხედვით)

პარტაღწერის მასალების მიხედვით, საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციაში ირიცხება 10.477 კომუნისტი; მათგან—7.089 წევრი (67,7 პროც.) და 3.388 კანდიდატი (32.3 პროც.). სქესის მიხედვით: 9.561 კაცი (91,3 პროც.) და 916 ქალი (8.7 პროც.), ხოლო ამასთან ერთად კანდიდატ-ქალთა პროცენტი (12 პროც.) თითქმის ორჯერ მეტია მამაკაც-კანდიდატთა პროცენტზე (7,1 პროც.).

თუ მსხვილ მუშათა კოლექტივებს (მთავარი სახელოსნოები, დეპო და ტრამვაი) ჩავთვლით ერთეულად, მაშინ თბილისის ორგანიზაციაში ირიცხება 203 უჯრედი და ამას გარდა 22 საკანდიდატო ჯგუფი. უჯრედები თავისი ტიპის მიხედვით და, აგრეთვე, კომუნისტები შემდეგ ჯგუფებად არიან დაყოფილი.

	უჯრ. რიცხვი	მათში კომუნისტ	უჯრედის საშუალო რიცხვობრ. შემადგენლობა
მუშური უჯრედები	87 (42,9%)	5.357 (52,9%)	62 კომ.
გლეხური "	44 (21,7%)	653 (6,4%)	15 "
დაწესებულ. "	56 (27,6%)	2.865 (28.3%)	42 "
სასწავლო დაწეს. უჯ.	13 (6,4%)	1.416 (14%)	109 "
სამხედრო "	3 (1,4%)	342 (3,4%)	114 "
სულ:	203 (100%)	10.133 (100%)	50 "
საკანდიდატო ჯგუფები.	22 საკ. ჯგ.	138 კომ.	6 "

მუშათა უჯრედები და, აგრეთვე, მათი შემადგენელი კომუნისტები, თითქმის მთელი ორგანიზაციის ნახევარს წარმოადგენენ. უდიდესი სიმჭიდროვე (უჯრედის შემადგენლობის საშუალო რიცხვობრივობა) შემჩნეულია სამხედრო და სასკოლო უჯრედებში, ხოლო უმცირესი სიმჭიდროვე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო,—გლეხურ უჯრედებში. მუშურ და დაწესებულებათა უჯრედების სიმჭიდროვე უახლოვდება მთელი თბილისის ორგანიზაციის საშუალო სიმჭიდროვეს. და, ბოლოს, საკანდიდატო ჯგუფების რიცხვობრივობა განისაზღვრა სულ 6 კომუნისტით.

სხვადასხვა ტიპის უჯრედების შემადგენლობა ყველგან ერთნაირი არ არის.

კანდიდატების ყველაზე ნაკლები პროცენტი მოდის მუშურ უჯრედებზე (25.1%), ხოლო უდიდესი—გლეხურ უჯრედებში (57,1%). ეს განსხვავება აიხსნება მუშებისა და გლეხების სხვადასხვანაირი საკანდიდატო სტაჟით და, აგრეთვე, ნაწილობრივ იმით, რომ პარტიის უფრო ინტენსიური ზრდა უკანასკნელ წლებში მოდიოდა სოფლის ხარჯზე და, მაშასადამე, კანდიდატ-გლეხების უმეტესმა ნაწილმა ვერ მოასწრო წევრად გადარიცხვა. საყურადღებოა, აგრეთვე ის, რომ დაწესებულებათა უჯრედებში, სადაც მრავალი მუშა თავისი სოციალური შთამომავლობით, კანდიდატების პროცენტი (31.2%) მხოლოდ ცოტათი სჭარბობს მუშურ უჯრედებს. საკანდიდატო ჯგუფებში აღმოჩნდა 14,5% წევრი და 85,5% კანდიდატი.

ასევე არა ერთნაირია უჯრედების შემადგენლობა სქესის მიხედვით. ქალების უდიდესი პროცენტი მოდის დაწესებულებათა უჯრედებში (12,5%) და სასკოლო უჯრედებში (9,7%). მხოლოდ მესამე ადგილზე დგას ქალთა პროცენტი მუშურ უჯრედებში (7,8%) და ბოლოს მეოთხე ადგილზე—სასოფლო უჯრედები (6,7%), უფრო დაბლა ქალთა პროცენტი საკანდიდატო ჯგუფებში, სახელდობრ—5,8 პროცენტი.

აღწერაში არ გატარებულა 515 კომუნისტი, ანუ მთელი შემადგენლობის 4,9%; მათგან არ გატარებულა წევრი 3,6%, ხოლო კანდიდატები ორჯერ მეტი—7,8%.

აღწერაში გაუტარებლობის მიზეზები იყოფა საპატიო (41%) და არა საპატიო (59%) მიზეზებად; ამასთან მუშურ უჯრედებში უფრო მეტია არასაპატიო მიზეზები, ვიდრე ყველა დანარჩენი ტიპის უჯრედებში. აღწერაში გაუტარებელთა პროცენტი უჯრედებში ასეთია: სამხედრო უჯრედებში—კომუნისტების 2 პროც., სასკოლო უჯრედებში—3,3 პროც., მუშურ უჯრედებში—4,8 პროც., დაწესებულებათა უჯრედებში—5,0 პროც., სასოფლო უჯრედებში 11,7 პროც. და, ბოლოს, საკანდიდატო ჯგუფებში—14,5 პროცენტი. ამნაირად პარტაღწერაში გაუტარებელთა რიცხვი ქალაქში ერთი ორად სჭარბობს სოფელს; ამასთან ქალაქის უჯრედებიდან პარტაღწერაში გაუტარებელთა ყველაზე დიდი პროცენტი მოდის დაწესებულებათა უჯრედებზე, ხოლო ყველაზე ნაკლები—სამხედრო უჯრედებზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტაღწერაში გაუტარებელ კომუნისტების თითქმის ერთი მესამედი ეკუთვნის იმ კომუნისტთა რიცხვს, რომლებიც არ დადიოდნენ კრებებზე და არ იხდიდენ საწევრო გადასახადს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ყოფილ მენშევიკთა თათბირი

ორშაბათს, 21 თებერვალს. პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა ყოფილ მენშევიკთა რწმუნებულების თათბირი.

საღამოს ექვს საათზე კლუბის სალექციო დარბაზი უკვე სავსეა ამხანაგებით. აქ არიან ძველი მუშები რკინისგზის მთავარ სახელოსნოდან, საყუდიდან, სამმართველოდან, მოძრაობის დარგიდან და სხვა. შენობა ვერ იტევს ყველა მსურველს, მაგრამ კრების გადადება შეუძლებელია.

კრებას ხსნის ამხანაგი მიშა ძამანაშვილი, თავმჯდომარეთ იქნენ არჩეული: ამხ. ნიკო ელიავა, ხელაძე, ძამანაშვილი. მაჭარაძე და აყლენტი, მდივნებათ: ჩახვაძე, ჩოჩუა და დუგლაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა კომისიის ანგარიში წარსული მუშაობის შესახებ, მომავალ მუშაობის გეგმის განხილვა, მიმდინარე საკითხები.

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოდის ამხ. ა. ხელაძე.

შემდეგ ამხანაგი ძამანაშვილი აკეთებს მოკლე მოხსენებას მუშათა კომისიის წარსული წლის მუშაობის შესახებ. უკანასკნელ ხანებში, იწყებს მომხსენებელი, ისევ ამხაურდა ემიგრაცია და ადგილობრივი არალეგალური ორგანიზაციები. ამ გარემოებამ ჩვენს წინაშე ახალი ამოცანები დასახა და გვაიძულა უფრო ენერგიულად მოგვეკიდა ხელი მენშევიკური ავანტიურის შინაარსის განმარტებისათვის. ამ მიზნით ჩვენ განვაახლეთ ჟურნალ „ახალი გზა“-ს ცალკე გამოცემა, რომელიც აქამდე ცალკე ფურცლის სახით გამოდიოდა „კომუნისტში“. ამ ჟურნალის საშუალებით და აგრეთვე ჩვენი მუშაობით ჩვენ ვეტყვით მშრომელ ხალხს სრულ სიმართლეს. ყველა მშრომელმა უნდა იცოდეს, რა ხდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ხელი შევუშალოთ მშრომელი ხალხის მტრებს ბინძური საქმის კეთებაში. ჩვენ უნდა უთხრათ მშრომელ ხალხს: ვისაც უყვარს თავის ქვეყანა, ვისაც უნდა იყოს ნამდვილი სოციალისტი, ვისაც სურს მშვიდობიანი შრომა და აღმშენებლობა ის უნდა ამოუდგეს გვერდში არსებულ ხელის-ბას და დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი. მან ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას. ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. ძამანაშვილი.

შემდეგ მუშათა კომისიის მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ხელაძე.

მომხსენებელი არკვევს მოკლეთ იმ გზას, რომლითაც უნდა იმუშაოს მომავალში მუშათა კომისიამ. ეს იქნება უკვე ცნობილი ჩვენი წარსული მუშაობის გზა აცხადებს ორატორი, რამდენიმე დამატებებით. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობა არის მიუტევებელი დანაშაული, ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ასეთ მუშაობას და ვეცადოთ ავაცილოთ ქართველ მშრომელ ხალხს თავიდან 1924 წლის აგვისტოს სხვური ავანტიურა. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კუპრაშვილმა, ნასიძემ, აპ. წულაძემ, ძველაძემ და სხვებმა.

კრებამ ერთხმად მოიწონა წარსული მუშაობა და მიიღო მომავალი მუშაობის გეგმა.

დამსწრე.

მუშათა ცხოვრება

მატარებელი ალაგიდან ნელა დაძვრით

ჩვენ გვინდა მივაქციოთ ამხანაგ მემანქანეების ყურადღება ერთ საყურადღებო მოვლენაზე, რომელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

ეს მოვლენა გახლავთ მატარებლების ალაგიდან რაც შეიძლება ნელა დაძვრა.

ვაგონების გადასაბმელები დღეს სუსტია, ეს გადასაბმელები ხშირად წყდება და ამ გაწყვეტას მოსდევს დიდი ზარალი.

ალაგიდან აღებისას მატარებლის გაწყვეტაში უმეტესად ბრალი გვიდევს ჩვენ, მემანქანეებს.

ალაგიდან აღების დროს მატარებლის გაწყვეტა გამოწვეულია მემანქანეების აჩქარებით და დაუდევრობით.

მართალია, გადასაბმელები ძველი და სუსტია, მაგრამ ეს გადასაბმელები ხომ ეწევიან თვით 75.000 ფუთიან მატარებელს, თუ ეს მატარებელი ზომაზე და მიზანშეწონილად გაიწია-გაიმართა.

თვით დიდ აღმართებში გაჭიმულ-დაკიდებული ვაგონებს გადასაბმელები არ აწყდება, თუ რომ უცაბედათ არ დაირღვა მწყობრი მუშაობა, მწყობრი გაჭიმვა მატარებლისა.

ყველამ ვიცით, რომ მატარებლის გაწყვეტება სწორედ ალაგიდან აღების დროს, ანდა გზაში, მაგრამ აქაც ორთქლმავლის ამუშავების დროს, მატარებლის შემადგენლობის გაწევა-გამართვის დროს.

აქ-კი სავსებით მემანქანეზეა დამოკიდებული, თუ როგორ აიღებს ის მატარებელს ადგილიდან.

სხვადასხვა ორთქლმავალი, სხვადასხვა სიგრძის და წონის მატარებლები თხოულობენ განსაკუთრებული ზომების მიღებას.

მატარებლის ალაგიდან დაძვრის დროს, სანამ ორთქლმავალი გაივლიდეს 20—25 არშინს, ორთქლმავლის ამუშავება უნდა სწარმოებდეს მეტად ფრთხილად და დაკვირვებული თანდათანობით.

როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ზოგი მემანქანე? ბევრი მემანქანე აქ უშვებს მიუტევებელ შეცდომას, დაუშვებელ სიჩქარეს.

გაიარა თუ არა ორთქლმავალმა სამ-ოთხი არშინი, მემანქანეს გონია მატარებელი უკვე გაიმართა-გაიწია და უღებს უკვე ორთქლს ბლომად, ზომაზე მეტს.

ეს გარემოება იწვევს მატარებლის წინა ნაწილის უზომო აჩქარებას და თუ მატარებელი გრძელია, ბოლო ვაგონები მოძრაობაში მოდიან უცბად. ერთი მაგრად გამოჭკრავს მეორეს, გადასაბმელები ველარ უძლებენ და მატარებელი წყდება.

შესაძლებელია ასე არამწყობრათ მატარებლის ალაგიდან აღების დროს გადასაბმელი არ გაწყდეს. შესაძლებელია აქ ის ოდნავ დაზიანდეს; მაგრამ შემდეგ, გზაში, არა სწორივე გაწევის დროს ის გაწყდეს და გამოიწვიოს დიდი უბედურება.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ რომ მატარებლების გაწყვეტის საკითხშიც ჩვენზე—მემანქანეებზე—ბევრი რამაა დამოკიდებული.

ამიტომ დაძრათ ალაგიდან მატარებელი, რაც შეიძლება ნელა და მწყობრათ.

ძველი მემანქანე.

სახლის პატრონ გრატიაშვილის ოინები

ლენინის უბანში, სუნუნის ქუჩაზე, დავით გრატიაშვილს აქვს საკუთარი სახლი, რომელშიც რკინის გზის მუშები ცხოვრობენ. გრატიაშვილი ძლიერ აწუხებს თავის მდგმურებს ლანძღვით, აგინებს. ამით რომ არაფერი გაუვიდა, ახლა სახლის სახურავს დაუწყო გაფუჭება რომ წვიმა ჩამოვიდეს მდგმურების ოთახში.

საკვირველი ის, რომ ეს ვაჟბატონი ყოფილა მიკიტანი და როგორ მოხდა ის სამსახურში რკინისგზაზე, სადაც დღესაც განაგრძობს მუშაობას თბილისის საყუდში. ამისთანა პიროვნებას უნდა მიექცეს ყურადღება და დაუყონებლივ უნდა იქნეს გაწმენდილი ის ალაგი, სადაც ის მუშაობს.

მუშკორი ძია-ლევან.

საჭიროა ამ ხულიგანის დასჯა

(მთავარ-სახელოსნოების ადგილკომის საყურადღებოდ)

მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ზომებია მიღებული ხულიგნების წინააღმდეგ, მაინც ვერ იქნა მათი თავხედობის და ხულიგნური გამოსვლების ბოლოს მოღება. აი მაგალითიც: ა. წ. 6 თებერვალს პლეხანოვის სახელობის კლუბში მობრძანდა თავისი ამხანაგებით გალეშილი, ახალგაზრდა რკ. გზის მთავარ-სახელოსნოების საიარაღო სამქროს ხელოსანი მაიერი.

კლუბში შემოსვლისთანავე წარმოდგენის მსვლელობის დროს მათ ასტეხეს აურ-ზაური და ჩხუბი. როდესაც მათ სთხოვეს კლუბში წესრიგის დაცვა, იუკადრისეს ასეთი შეურაცყოფა და ერთ-ერთს კლუბის მეტად პატიოსან თანამშრომელს ადამიანს ლაზათიანი სილა აჭამა არამზადა მაიერმა. ხსენებული არამზადა ხულიგანი მილიციამ წაიბრძანა კომისარიატში.

საჭიროა ადგილკომმაც მიიღოს მის წინააღმდეგ ზომები და სათანადო მსჯავრი დასდონ მის გმირობას.

ხულიგანს ადგილი არ აქვს მუშათა ოჯახში.

მუშა ხიონელი.

წერეთლის სახელობის სამკითხველოში

კულტურულ დონის ასამაღლებლად და თვით განვითარებისათვის სამკითხველოებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ქალაქის აღმასკომის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა, ყველა უბნებში დაარსა სამკითხველოები, სხვათა შორის კარგად არის მოწყობილი ვერაზე წერეთლის სახელობის სამკითხველო.

ხსენებული სამკითხველოთი სარგებლობენ დიდძალი მკითხველები, როგორც ადგილობრივ, ისე სახლებში წიგნების წაღებით. სამკითხველოს გამოწერილი აქვს ყველა ადგილობრივი და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთები.

უნდა აღინიშნოს რომ ამ სამკითხველოში ქართული წიგნების დიდი სიმცირეა. ეს ემჩნევა სხვა სამკითხველოებსაც. აღმასკომმა ეს ნაკლი უსათუოდ უნდა გამოასწოროს.

წერეთლის სახელობის სამკითხველო ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ასე არ ხდება სხვა სამკითხველოში, ისინი მხოლოდ საღამოობით არის ღია.

კარგი იქნებოდა, რომ ყველა სამკითხველოებში შემოღებული იქნებოდეს მუშაობა დილაც და საღამოს.

საჭილაველი.

მუშათა ქრონიკა

— **თათბირი.** დღეს შესდგება თბილისის ადგილკომების საწარმოო კომისიების თათბირი-,

— **დახმარება.** რკ. გზ. მეორე დაცვის რაზმის ადგილკომმა იანვარში დახმარება გაუწია 25 უმუშევარს.

— **ხარჯთაღრიცხვა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობის მიერ გამოყოფილ კომისიამ უკვე შეიმუშავა 1927 წ. კულტმუშაობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უკვე დაამტკიცა გამგეობამ.

— ამავე კლუბის გამგეობამ დაადგინა კლუბის წევრთა თვიური გადასახადი გაადიდოს 100 პროცენტით.

— **პლენუმი.** ხაშურის საუბნო კომიტეტის პლენუმი მოწვეულია ა. წ. პირველ მარტს.

კედლის გაზეთი. პლეხანოვის სახ. კლუბის კედლის გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 25 თებერვალს.

— **წევრთა რიცხვი.** ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბში ითვლება 1780 წევრი.

— **წრე.** ბ. ძნელაძის და ოქოევის სახ. კლუბში დაარსდა ლიტერატურული წრე.

— **ორჯონიკიძის სახ. კლუბის** გამგეობამ [illegible] გაუგზავნა სია, იმ პირების, რომელნიც წაღებულ წიგნებს თავის დროზე არ აბრუნებენ.

— ლენინის უბნის მუშათა სახლიდან რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებს დაეთმო 23 ბინა.

მხარეთმცოდნეობის საზოგადოება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა მხარეთმცოდნეობის საზოგადოება. 20 თებერვალს უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში შესდგა საზოგადოების წევრთა საერთო კრება; საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ფ. მახარაძე, პროფ. ა. შანიძე, დ. კარიჭაშვილი, კ. სულაქველიძე, პროფ. ა. ჯავახიშვილი, დამს პროფ. წერეთელი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი და სხ. დღის წესრიგში დასმული იყო საზოგადოების წესდების ჩამოყალიბება და გამგეობის წევრთა დამტკიცება.

კრებას შესავალი სიტყვით მიმართა პროფ. კეკელიძემ, რომელმაც დაახასიათა მხარეთმცოდნეობის საზოგადოების დაარსების მნიშვნელობა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა მისასალმებელი სიტყვები.

პირველად გამოვიდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც სტუდენტობა მქუხარე ტაშით შეხვდა. ამხ. ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოების დაარსებას ჩვენს ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენში უამრავი სიმდიდრე უნახავი და გამოუყენებელია. სწორია ის მეთოდი, რომლითაც საზოგადოება იხელმძღვანელებს, ე. ი. მხარეთა ადგილობრივი დათვალიერება, მაგრამ იმავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენ მეცნიერთა ძველ ნაშრომებს. წარსულის [illegible] შედარებისათვის. ეს არის სახალხო საქმე, რომელიც სახელმწიფომ და ხალხმა უნდა გამოიყენოს; მთავრობაც ამას სერიოზულ ყურადღებას აქცევს თქვენი მუშაობა, განაგრძობს ამხ. მახარაძე, საბჭოთა აღმშენებლობის ერთ მნიშვნელოვან დარგად გადაიქცევა. ჩემი სურვილია, რათა თქვენი საზოგადოების მუშაობამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების სახელით პროფ. ალ. ჯავახიშვილი, პედაგოგიური ფაკ. დეკანი კ. სულაქველიძე, საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგ. თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი. საქ. საენათმეცნიერო საზოგ. წარმომადგენელი ა. ჩიგოგავა და სხვა.

დასასრულ არჩეული იქნა საზოგადოების გამგეობა.

აღწერის მასალების დამუშავება

საქ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს აღწერის განყოფილება იანვრის მეორე ნახევრიდან შეუდგა რესპუბლიკაში ჩატარებულ საყოველთაო აღწერის მასალების დამუშავებას. სულ დამუშავებაზე მუშაობს 40 კაცი.

ჯერ-ჯერობით სწარმოებს დაგროვილი სააღწერო მასალების ფორმალური და არსებითი კრიტიკა. კრიტიკის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ სწორადაა შევსებული სააღწერო ფორმულიარები. ჯერ-ჯერობით დაწყებულია მხოლოდ რესპუბლიკის ქალაქების სააღწერო მასალების დამუშავება. ამ დღეებში შეუდგებიან აგრეთვე სოფლის მასალების დამუშავებას.

შეგროვილ მასალების განხილვა სოციალური და დემოგრაფიული ნიშნებით დაიწყება რამოდენიმე კვირის შემდეგ. კრიტიკის დროს ირკვევა, რომ სააღწერო ფორმულიარები დამაკმაყოფილებლადაა შევსებული. ეს ადასტურებს იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ არც ერთი აღწერა არ ყოფილა ასე უნაკლოთ ჩატარებული. აღწერის შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

ონის ჰიდრო ელსადგური

რაჭის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ეკონომიურ საბჭოს წინაშე აღძრან შუამდგომლობა, რომ ონის ელექტრო-სადგურის აგებისათვის საჭირო 99.558 მან. 64 კაპ. შეტანილ იქნეს 1926—27 წლის ელექტროფიკაციის გეგმაში. ონის სამაზრო აღმასკომი ითხოვს აგრეთვე აღნიშნული სადგურის დასამთავრებლად 59.558 მან. 64 კაპ. გაღებას. როგორც აღმასკომის მომართვიდან ირკვევა, ამჟამად შესრულებულია ონის ჰიდრო-ელსადგურის ჰიდრო-ტექნიკურ სამუშაოთა 60 პროც. ს. მ. უ. საბჭოს აზრით, ხარჯთაღრიცხვაში სათავეს მკვიდრი მოწყობისათვის გათვალისწინებული 5.000 მანეთი უნდა გადიდებულ იქნეს 8.000 მანეთამდე. გარდა ამისა ს. მ. უ. საბჭო აღნიშნავს, რომ ხარჯთაღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული სადკარე არხის ღირებულება რომელიც დაჯდება დაახლოვებით 1.500 მან. ტურბინის ღირებულება ნაჩვენებია 6.000 მან. უკანასკნელ ცნობებით ტურბინი ეღირება არა ნაკლებ 10.000 მანეთისა; დანარჩენ ელექტრო-მექანიკურ მოწყობილებას უნდა მიემატოს—2.500 მანეთი. ამრიგად სადგურის მთელი ღირებულება უნდა დამტკიცდეს 120.000 მანეთის რაოდენობით. რაც აღემატება ძველ ხარჯთაღრიცხვას 20.000 მანეთით. მაშასადამე 60.000 მან., რასაც მოითხოვს რაჭის აღმასკომი სადგურის დასამთავრებლად უნდა იქნეს გადიდებული 80.000 მანეთამდე. ამის გამო ს. მ. უ. საბჭოს საჭიროდ მიაჩნია გაუწიოს სამსახური სადგურის დასამთავრებლად, რადგან სამუშაოთა 60 პროცენტი უკვე შესრულებულია და მუშაობათა დიდი ხნით შეჩერებას შეიძლება მოჰყვეს შესრულებულ სამუშაოთა დაზიანება.

ეკონომიურმა საბჭომ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოს და საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად.

თელავის ყოფ. ახალგ. მარქსისტთა კრება

31 იანვარს მოწვეულ იქნა თელავის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება. ყოფ. ახ. მარქსისტთა ცენტრალურ ბიუროს მიზნების და ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ზ. ოქროპირიძემ, რომელმაც მოუწოდა კრებას, დაეარსებია ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ორგანო, რომელიც მაზრის მაშტაბით ჩაატარებს მუშაობას ყოფილ ახ. მარქსისტთა შორის.

ამხ. ლუკა ციხისთავი შეეხო ახ. მარქსისტთა წარსულ მუშაობას და აღნიშნა, რომ ის მენშევიკურ პარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაშიც მიიღო მონაწილეობა. ისედაც განადგურებული მენშევიკური პარტია აგვისტოს ავანტიურის შემდეგ საბოლოოდ გაიხრწნა. იგივე დაემართა ახ. მარქსისტთა ორგანიზაციას, მაგრამ უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო ბურჟუაზიის ამოძრავებასთან ერთად, ამოძრავდა პარიზიც და კვლავ ახალ ავანტიურაზე დაიწყო ოცნება. დღეს ფაშისტური ბიუროს აქ დარჩენილი ნაწილი ხელ-ახლა ამუშავდა, რათა მოუმზადოს ხალხს ახალი ავანტიურა.

მომხსენებელი მოუწოდებს კრებას არ წამოეგონ ანკესზე და ყოველმხრივი ბრძოლა აწარმოვონ იმათ წინააღმდეგ, ვინც საერთაშორისო ბურჟუაზიის სალამურზე ცეკვავს და მშრომელი ხალხის ინტერესებს ჰყიდის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. დავითიანმა. (ყოფ. მენშევიკების რწმუნებული), ნოე შარაშიძემ და სხვებმა.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა პასუხი გასცეს ყველა შეკითხვებზე და მოკამათეებს, რის შემდეგ არჩეულ იქნა ქ. თელავის მაზრის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო 5 კაცის შემადგენლობით.

ბიუროში არჩეულ იქნენ: ამხ. 1. ბესო მწყერაძე, 2. ლევან თამაზაშვილი, 3. შალიკო ქორიძე, 4. გიორგი ქართველიშვილი და 5. ნოე შარაშიძე.

ბიუროს არჩევის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

თელავის ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრების კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ზაქარია ოქროპირიძის და ლუკა ციხისთავის მოხსენება წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მუშაობა მიმართული იყო მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის მიერ აღებული ხაზი აუცილებლად ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმის გამარჯვების საქმეს. ორგანიზაციის საქმიანობა განსაკუთრებით გასაბჭოების შემდეგ ხელს უშლიდა ქართველი ერის ეკონომიურ, კულტურულ და ეროვნულ განვითარების საქმეს. ყოველივე ეს გამოიხატა განსაკუთრებით მენშევიკურ პოლიტიკის ნათლად დამახასიათებელ აგვისტოს ავანტიურაში.

თელავის მაზრის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, ითვალისწინებს რა იმ მიღწევებს, რომლებიც დღეს საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას აქვს, და იმ გარემოებას, რომ მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობას კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში, ჰგმობს ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარსულ მუშაობას და აცხადებს, რომ ყოველივე ძალ-ღონით წინაღუდგება აქა-იქ დარჩენილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრების მოქმედებას, რადგან ისინი თავისი ბნელი მოღვაწეობით უმზადებენ ქართველ ერს მეორე ავანტიურას.

ჩვენ, თელავის მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილი წევრები, სრულიად ვიზიარებთ ყოფილ ახ. მარქსისტთა ცენტრალურ ბიუროს ხაზს და მოუწოდებთ ყველა ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ ქურ-ქვეშ იმალებიან, დაჰგმონ მშრომელი ხალხის საწინააღმდეგო ბრძოლა და დაადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობის გზას.

თელავის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, აღიარებს, რომ გაატარებს ცხოვრებაში ყველა იმ დადგენილებებს, რომელიც აქვს მიღებული ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს და იმ გზით შესძლებს მოახმაროს თავისი ახალგაზრდური ენერგია მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ყრილობები და თათბირები

ა.-კ. საკრედიტო ქსელის წარმომადგენელთა ყრილობა

პირველი სხდომა.

გუშინ საღამოს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბინაზე გაიხსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ქსელის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ საკრედიტო ქსელის საშუალებით შეიძლება სოფლისა და ქალაქის დაკავშირება.

საკრედიტო სისტემა მხოლოდ 3 წელია, რაც არსებობს და მას უკვე აქვს სათანადო მიღწევები, მაგრამ აქვს დეფექტებიც.

მომხსენებელი მოუწოდებს ყრილობის დელეგატებს არსებულ დეფექტების გამოსწორებისაკენ და დასძენს, რომ, თუ ეს მიღწეული იქნა, ამით გაუმჯობესდება საკრედიტო სისტემის საქმე და განვითარდება ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

ყრილობას მიესალმენ ამხ. **ჰუსეინოვი** ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და ფინსახკომის სახელით და ამხ. კატანსკი—ცენტრალურ სასოფლო-სამ. ბანკის სახელით. ყრილობამ მიიღო აგრეთვე მისასალმებელი დეპეშა ამიერ-კავ. კოოპერატიულ საბჭოსაგან.

ყრილობამ თავის მხრით გაუგზავნა დეპეშები: ამხ. რიკოვს, ორჯონიკიძეს, კალინინს, ბრიუხანოვს, შეფლერს (ცენტრ. სასოფლო-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე), ამიერ-კავკასიის ცაკს და ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს.

მილოცვების შემდეგ აირჩიეს საქმიანი პრეზიდიუმი 10 კაცისაგან. საპატიო პრეზიდიუმი აირჩიეს: ამხ. **ორჯონიკიძის, ორახელაშვილის, ჰუსეინოვის, ლუკაშინის, ნაზარეტიანის** და **შეფლერის** შემადგენლობით. არჩეულ იქნა აგრეთვე სამდივნო, რომელსაც დაეკისრა სამანდატო კომისიის მოვალეობა.

არჩევნების შემდეგ ყრილობა გადავიდა საქმიან მუშაობაზე და მოისმინა ამხ. ჩხენკელის და მაზმანოვის მოხსენებები.

ამხ. ჩხენკელის მოხსენება.

ამხ. ჩხენკელი ეხება ამიერ-კავკასიის საკრედიტო ქსელის მდგომარეობას და ამოცანებს. — სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა,—ამბობს მომხსენებელი,—სამი წელია მხოლოდ, რაც არსებობს. იგი შეიქმნა დანგრეულ სოფლის მეურნეობის აღსადგენად. ეს საქმე ახალი იყო და მასში ძველი მეთოდით მუშაობა არ გამოდგებოდა. ამისათვის შემუშავებულ იქნა ახალი მეთოდი. სისტემამ აიღო სწორი კურსი და ასე განაგრძობს მუშაობას. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების შემდეგ, რომელიც ხელმძღვანელობს ქსელს ფედერაციის მასშტაბით, დაარსებულ იქნენ რესპუბლიკანური ბანკები, რომელნიც თავის მხრივ ხელმძღვანელობენ ქსელს რესპუბლიკების მასშტაბით.

პირველ ხანებში ადგილი ჰქონდა გადახრას არა სოფლის მეურნეებისათვის კრედიტების მიწოდებაში, მაგრამ ამას დღეს ადგილი არა აქვს.

კრედიტების გაცემა 24—25 წელში ფართოდ სწარმოებდა, მაგრამ ეხლა ეს საქმეც ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული.

ამიერ-კავ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში ამჟამად შედის 7 ბანკი 10 განყოფილებით და 300-ზე მეტი საკრედიტო ამხანაგობები, რომლებიც აერთიანებენ 140.000-ზე მეტ გლეხის მეურნეობას.

ამიერ-კავკასიის საკრედიტო ქსელის საერთო ბალანსი გამოიხატება 59.000.300 მანეთში, ბრუნვაში მყოფი რეალური კაპიტალი კი—28 მილიონ მანეთში. ნასესხი თანხების რაოდენობა 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 8.427.400 მანეთს და საკუთარი თანხები—1.233.200 მანეთს. ანაბარების თანხა უდრიდა ამ დროისათვის 254.000 მანეთს, ე. ი. თითოეულ ამხანაგობაზე იგი უდრის საშუალოდ 982 მანეთს, ანუ 2 მან. თითოეულ წევრზე.

1925—26 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ბანკმა გასცა მიზნობრივი სესხის სახით სულ 7.837.000 მან. გარდა ამისა, გაცემულ იქნა სპეციალური და მიზნიდული თანხები—3.438.000 მანეთამდე.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე გრძელ და მოკლევადიან და ვადაგასულ კრედიტებს და დასძენს, რომ სესხის ხანგრძლივობის მხრივ ძალზე შემცირებულია ვადა ძირითად ამხანაგობებში და, თუ მალე არ იქნა მიღებული ზომები ვადის გაგრძელებისათვის, ბევრ ამხანაგობებს დაღუპვა მოელით.

ცალკე საკრედიტო ამხ.-თა დახასიათებიდან ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი დეფიციტიანი არიან და ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეწევიან სავაჭრო ოპერაციებს და დიდ ხელგაშლილობას იჩენენ საქმეების საერთო ხელმძღვანელობაში.

დასასრულ ორატორი ჩერდება ამიერ-კავკასიის საკრედიტო ქსელის მომავალ ამოცანებზე და ყრილობას მიუთითებს მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება ცხოვრებაში გამოასწორებს საკრედიტო ქსელის საქმიანობას მომავალში და ხელს შეუწყობს მათ გაძლიერებას.

ამხ. მაზმანოვის მოხსენება.

მომხსენებელი ეხება საკრედიტო ქსელის საერთო საორგანიზაციო საკითხებს. იგი გზადაგზა აკრიტიკებს საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობას ამ სფეროში, აღნიშნავს ნაკლულოვანებებს და იძლევა სათანადო განმარტებებს მათ გამოსასწორებლად.

ორატორი უმთავრესად ატარებს იმ აზრს, რომ საკრედიტო ამხანაგობების ორგანიზაციულად კარგად მოწყობა ხელს შეუწყობს ანაბარების მოზიდვას, რაც უმთავრეს ამოცანათ ითვლება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში.

მეორე სხდომა გაიხსნება დღეს დილას თბილისის აღმასკომის სხდომის დარბაზში.

ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა

მეორე სხდომა

20 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა „ზაკტპო“-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აკიმოვის საანგარიშო მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ 1925-26 წელში და ამხ. დვარელიძის მოხსენება სარევიზიო კომისიის დასკვნის შესახებ.

ამხ. აკიმოვის მოხსენება

იმ საერთო პირობების დახასიათების შემდეგ რომელშიაც უხდებოდა გამგეობას მუშაობა გასულ სამეურნეო წელს, მომხსენებელი ეხება გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობას ცალკე დარგებში.

საზ-ბის წევრთა რიცხვი 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 24.530-ს, რაც შეადგენს მთელი ა.-კ. რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა 95 პროცენტს და რკ. გზელთა პროფკავშირის ყველა წევრების 61,5 პროცენტს.

საპაიო კაპიტალი 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის თითეული წევრზე გაიზარდა 4 მან. 59 კაპეიკამდე,—საერთოდ კი—112.579 მან. 07 კაპეიკამდე.

საანგარიშო პერიოდში საზ-ბის სავაჭრო და საწარმოო ერთეულების რიცხვი შემცირებულია 163-მდე, მაგრამ ისინი გაუმჯობესებული არიან თვისობრივად, კერძოთ სავაჭრო წერტილები კი გაზრდილია 87-მდე. გადიდებულია ვაგონ-დუქნების რიცხვი—14-დე და ფარდულებისა—40-დე.

ადგილებზე რევიზიისა და ინსტრუქტაჟის გაწევის მხრივ.საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია—27 გამოკვლევა და 36 ნაწილობრივი და 67 სრული რევიზიები. დანარჩენი მუშაობა გამოიხატება: აპარატის ორგანიზაციო დარგში: აპარატის რაციონალიზაციაში. წევრებთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებაში (სადუქნო კომისიების საშუალებით) კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობაში და სხვა.

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ შეიძინა 7.152.750 მან. 06 კაპ. ხოლო გაუყიდიათ კი 9.017.166 მან. 17 კაპ. საქონელი. საქონლის მიწოდება მომხმარებელთათვის სწარმოებდა სადუქნო კომისიების მოთხოვნილებათა მიხედვით. წევრები საერთო ვაჭრობის ბრუნვაში მონაწილეობენ—32.5 პროცენტით.

ფასების დაკლება გასულ სამეურნეო წელს გატარებულა განსაკუთრებით ფართო მოთხოვნილების საქონელზე და ფასები შემცირებულა საშუალოდ 1,32 პროცენტით.

ამასთანავე შარშან გამგეობას ნისიათ 32.230 წევრზე გაუცია 548.642 მან. 06 კაპ. საქონელი.

მომხმარებელთა საკუთარი წარმოება—პროდუქტებით მოსამარაგებლად შარშან მუშაობდენ შემდეგი საწარმოო დაწესებულებები: 20 ფურნე, 4 სასადილო, საშაქარლამო, ძეხვის ქარხანა, ღვინის საწყობი, სარძეო ფერმა და ავტოგარაჟი.

ყველა ამ წარმოებებიდან შემოსული წმინდა მოგება გამოიხატება—24.518 მან. და 10 კაპ.

საზოგადოების ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიც გამგეობას უხდებოდა მუშაობა საზ-ბის ფინანსიური მდგომარეობა გახმტკიცდა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების საერთო შემოსავალი გამოიხატა—1.308.418 მან. 76 კაპიკში. ხარჯები კი 1.100.883 მან. 90 კაპიკში. ამგვარად წლიური მოგება გამოიხატა—207.534 მან. 86 კაპიკში.

მიუხედავად ამისა, მოგებამ ვერ დაფარა წინა წლის ზარალი 292.405 მან. 61 კ. და 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის საზ-ბას დარჩა გაუსტუმრებელი 84.870 მან. 75 კაპ.; ამ თანხის დაფარვას საზოგადოება, მომხსენებლის აზრით, შესძლებს 2-3 თვის განმავლობაში.

დასასრულ მომხსენებელი ჯამს უკეთებს ყველა ზემო-ნათქვამს და დასძენს, რომ საზ-ბის მომავალ ხელმძღვანელ ორგანოს მიზანს უნდა შეადგენდეს მუშაობის უფრო გაძლიერება, არსებულ საპაიო დავალიანების სრული ლიკვიდაცია, საშუალო პაის 10 მანეთამდე გადიდება, სადუქნო კომისიების აქტივობის აწევა და სხვა.

შემდეგ მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დვარელიძე თავის მოხსენებაში დასკვნას უკეთებს გამგეობის საანგარიშო მოხსენებას და აღნიშნავს, რომ გასული სამეურნეო წელი ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებისათვის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის გაჯანსაღების პერიოდათ უნდა ჩაითვალოს.

მესამე სხდომა

კამათი

იმავე დღის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო. კამათში 40-ზე მეტი რწმუნებული ჩაეწერა.

საღამოს სხდომაზე გამოსული ორატორები უმეტესად ეხებიან ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ადგილებზე საქონლის მიწოდების და სავაჭრო ქსელის მოწყობის ტეხნიკასთან, დივიდენდის საკითხთან და სხვა; ორატორები აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ ჯერ ვერ არის კიდევ ყველაფერი გაკეთებული.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი. კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ ამხ. აკიმოვი, დვარელიძე და კოტკოვი, რის შემდეგაც ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები, რომლებითაც „ზაკტპო“-ს და საკავშირო სატრანსპორტო კოოპ. სექციის გამგეობათა მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი.

ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება სატრანსპორტო სექციის მუშაობის გასაცხოველებლად. ამ ღონისძიებებით იხელმძღვანელებს „ზაკტპო“-ს მომავალი გამგეობა.

ამასთანავე არჩეული იქნა სავაჭრო-საფინანსო და საორგანიზაციო სექციები მომავალი მუშაობისათვის პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად.

მეოთხე სხდომის მეორე ნახევარი მოუნდა სექციების და კომისიის მუშაობას.

მეხუთე სხდომა.

21 თებერვლის საღამოს სხდომაზე ყრილობამ დაამტკიცა 1926—27 წლის საფინანსო, საორგანიზაციო და სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებების მუშაობის გეგმა.

ამასთანავე, სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს სექციების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

ყრილობამ აგრეთვე განსაზღვრა სავალდებულო პაი 1926—27 წლისათვის 10 მანეთით.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

გამგეობაში აირჩიეს: ამხ. **აკიმოვი, დვარელიძე, გუსახმეტოვი, მიანსაროვი, ქებაძე, სტეფანოვი** და **ივანოვი.**

კანდიდატებად: ამხ. **ჟვალოვი, გევორქოვი** და **შეველიოვი.**

სარევიზიო კომისიაში: ამხ. **ფაშა[illegible]ძე, კალაშდია, ნაზარბეკოვი, ზეინალოვი** და **კანგელინსკი.**

თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოების მე-4 საქალაქო კონფერენცია

თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოების მე-4-ე საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში გაიხსნა თავდაცვის ხელისშემწყობ საზ-ბის მე-4-ე საქალაქო კონფერენცია.

—კონფერენციაზე წარმოდგენილნი არიან როგორც თ. ხ. სი-ს, ისე ავიაქიმის უჯრედები.

კონფერენციის ხსნის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. **დმიტრიევი**, რომლის შესავალ სიტყვის შემდეგ კონფერენცია ირჩევს საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია: 1) თ. ხ. ს-ის და ავიაქიმის ამოცანები, 2) თ. ხ. ს-ის თბილისის საბჭოს ანგარიში, 3) მოხსენება მოსახლეობის შორის მუშაობის შესახებ, 4) მოხსენება წითელარმიის და ფლოტის სახლის მუშაობაზე, 5) დელეგატების არჩევნები საქართველოს თ. ხ. ს-ის კონფერენციაზე დასასწრებლად.

ამხ. ეგიკოვის მოხსენება

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ეგიკოვი. მომხსენებელი მოხსენების პირველ ნაწილში ეხება თ. ხ. ს-ის და ავიაქიმის განვლილ მუშაობას და იმ მიღწევებს და ნაკლს, რომელნიც თან სდევდენ ამ მუშაობას.

ავიაქიმს აქვს დიდი მიღწევები, მის რიგებში ითვლება 2 მილიონამდე წევრი, საწევრო გადასახადით აგებულია 150 აეროპლანი. ავიაქიმის მიერ მოწყობილია მრავალი მუზეუმი, გამოცემულია ბევრი სამხედრო და სას.-სამ. ხასიათის წიგნი. აგრეთვე არის დიდი მიღწევები ქიმიურ მრეწველობის განვითარების დარგში. შექმნილია 200-მდე ქიმიური რაზმი, რომელნიც სპეციალურად აწარმოებენ მუშაობას სასოფლო მეურნეობის ფრონტზე.

თ. ხ. ს-ის არ აქვს დიდი ხნის ისტორია. იგი პირველად აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ წითელ არმიის რიგებში. მიუხედავათ ამისა, თ. ხ. ს-ბამ შესძლო ფართე მოსახლეობის ჩაბმა თავის მუშაობაში. იგი აწარმოებდა ენერგიულ მუშაობას მოსახლეობის გასამხედროების სფეროში და ამ მხრივ მას აქვს მრავალი მიღწევა.

დღეს, ამბობს მომხსენებელი, ამ ორი საზოგადოების გაერთიანების საკითხი გადაწყვეტილია. ამიერიდან იქნება ერთი საზოგადოება, რომლის მიზანია შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება.—არის ახალი საზოგადოების გაძლიერების განმტკიცება. საჭიროა, რომ საზოგადოების წევრთა რიცხვი იქნეს გადიდებული. აგრეთვე, ყოველი წევრი უნდა იყვეს საზოგადოების აქტიური მუშაკი. გაღრმავებულ უნდა იქნეს საზოგადოების მეცნიერულ-გამოკვლევითი მუშაობა. საზოგადოებამ უნდა დაამყაროს მტკიცე კავშირი წითელარმიის რიგებთან.

ეხება რა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შეიარაღებას და მათ მზადებას ომისათვის, ამხ. ეგიკოვი მოუწოდებს კონფერენციას აწარმოოს მუშაობა საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად მომავალ ომის ირგვლივ.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა პასუხი.

კონფერენციის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

ზ.

ფოთელ პროვოკატორების პროცესი

19 თებერვალს, ფოთის მუშათა სასახლეში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც არჩევს პროვოკატორების **ვასილ ლოლუას, ილია შაპიროს, საჩინო ჟვანიას, ნესტორ ქორქიას** და **ნიკოლოზ პრაწაშვილის** საქმეს.

სასამართლოს თავმჯდომარეა **ტატიშვილი.** პროკურორი **ტალახაძე.**

ვასილ ლოლუას ბრალდება შემდეგი დანაშაული: 1905-6 და 7 წლებში ის მსახურობდა სისხლის სამართლის პოლიციაში. კავშირი ჰქონდა ჟანდარმერიასთან და სისტემატიურად აბეზღებდა რევოლიუციონურ მოღვაწეების გაცემას.

ილია შაპიროს, რომელიც მსახურობდა სანაოსნო საზოგადოებაში, ფარული კავშირი ჰქონდა ჟანდარმერიასთან.

ჟვანიას და **ქორქიას** ბრალი ედებათ იმაში, რომ მეფის რეჟიმის დროს ისინი იყვნენ საიდუმლო პოლიციის აგენტები ქ. ფოთში.

ნიკოლოზ პრაწაშვილს ბრალად ედება შტრეიკბრეხერობა და საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელ **პაიჭაძის** გაცემა 1913 წ.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მოწმეების დაკითხვა

ფოთი, 21 თებერვ. გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმე **ფირცხალავა** ახასიათებს ბრალდებულ **ლოლუას** და **პრაწაშვილს**, როგორც შტრეიკბრეხერობის ორგანიზატორთ. გაფიცვის დროს ხე-ტყის ქარხანაში, ბრალდებულებმა მოიყვანეს და სამუშაოზე დააყენეს შტრეიკბრეხერები. გარდა ამისა ლოლუა და პრაწაშვილი აწარმოებდენ ანტი-რევოლიუციონურ მუშაობას.

მოწმე **მგალობლიშვილი** დაწვრილებით ჩერდება კონფლიქტზე ნავთსადგურის მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის, ლოლუას მეთაურობით. მოწმე ამბობს, რომ ლოლუა არ წარმოადგენდა ფედერალისტების პარტიის წევრს, და მხოლოდ მოქმედებდა პირადი ინტერესებით. შტრეიკბრეხერულ მუშაობისათვის, მენშევიკურმა ორგანიზაციამ ტერორი დაუნიშნა ლოლუას. ლოლუას ესროლეს, მაგრამ ის უვნებლად დარჩა.

ბრალდებულ ლოლუას კავშირი ჰქონდა გაბმული პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან. ომის გამოცხადების დღეს ის ხატით და ნიკოლოზ 2-ის სურათით ხელში წინ უძღოდა მანიფესტაციას.

მგალობლიშვილი ამტკიცებს, რომ ბრალდებული **შაპირო** იყო ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრი, ატარებდა ამ კავშირის კუთვნილ ნიშანს, სდევნიდა მუშებს, კრძალავდა მუშათა კრებებს და სხ.

ბრალდებულ ჟვანიას და ქორქიას არა მარტო მუშური და რევოლიუციონური ორგანიზაციები, არამედ ფოთის მთელი საზოგადოებრიობაც სთვლიდა მუშათა კლასის ჯალათებად. ისინი წარმოადგენდენ „ოხრანკის“ აგენტებს.

— მენშევიკური კომიტეტის საიდუმლო სხდომაზე,—განაგრძობს მგალობლიშვილი,—მოვიდა ბოქაული ჟვანია და „გოროდოვოების“ თანხლებით; ჟვანია განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა. ხიშთვრალის დროს ჟვანია გზას არ აძლევდა რევოლიუციონურად განწყობილ მუშებს. იყო შემთხვევები, როდესაც მან, როცა ის აუხირდა ერთ-ერთ მუშას, ჯერ ხანჯლით მოაჭრა ყური ხოლო შემდეგ დააპატიმრა და დიდხანს ჰყავდა ჩამწყვდეული ციხეში. ცნობილი რევოლიუციონერი კომახიძე, რომელიც საიდუმლოდ ჩამოვიდა ფოთში და საიდუმლოდვე იმალებოდა, გასცა ქორქიამ, რომელმაც კომახიძესთან ქუჩაში შეხვედრის დროს მიუთითა „გოროდოვოებს“ მასზე და დაუძახა: „აი, ეს ძაღლი, დაიჭირეთ“!

დაკითხულმა ლადო პაიჭაძემ და ცილღაძემ ახალი არაფერი აღნიშნეს რა (ადს)

ვის ასამართლებენ

(საუბარი ამხ. ტალახაძესთან)

ფოთი, 21 თებერვ. ხუთი პროვოკატორის პროცესის გამო პროკურორმა ამხ. **ტალახაძემ** ა.-კ. დეპ. სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„1906-1908 წ. შავი რეაქციის შემდეგ, კვლავ იწყებს განვითარებას მუშათა მოძრაობა, განსაკუთრებით 1912 წელს—ლენის მუშების დახვრეტამდე. ამ დროიდან იწყება რევოლიუციონური მოძრაობა ფოთისა და ბათომის მუშებში. ამ პერიოდშივე ცოცხლდება მეფის „ოხრანკის“ მუშაობა. საქმეს, რომელსაც ჩვენ ეხლა ვარჩევთ, თან დართული აქვს მრავალი საიდუმლო დოკუმენტები ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს არქივიდან; ამ დოკუმენტებში აღნიშნულია ნავთსადგურების [illegible] გაძლიერების საჭიროება და რევოლიუციურად განწყობილ მუშებთან ბრძოლის აუცილებლობა.

„და მართლაც [illegible] მოჰყვა არა მარტო [illegible], არამედ მეფის ორგანოების თვისობრივობის გაუმჯობესების ხაზითაც.

ბრალდებულნი—ლოლუა, ქორქია და ჟვანია, იყვნენ სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრნი და ამავე დროს წარმოადგენდენ „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტებს, ხოლო თვალის ასახვევად, მსახურობდენ ქალაქ ფოთის ე. წ. დამცველ რაზმში. დაწყებული 1905 წლიდან 1914 წლამდე, ზემოაღნიშნული პირნი, ფოთის ნავთსადგურის უფროსის თანაშემწე შაპიროს და შტრეიკბრეხერ პრაწაშვილის დახმარებით აწარმოებდენ უსასტიკეს ბრძოლას ფოთის მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათი წყალობით მრავალი ათეული პირი დახვრიტეს, დააპატიმრეს და გადაასახლეს.

მოთმინებიდან გამოსულმა ფოთის მუშათა ორგანიზაციებმა რამოდენიმეჯერ გააფრთხილეს ლოლუა, რომ მას მუშებისთვის დაენებებია თავი, მაგრამ ამის მაგიერ ლოლუამ კიდევ უფრო გააძლიერა გამცემლობა და შტრეიკბრეხერთა რაზმების მოწყობა, ინგლისის დღევანდელ ფაშისტურ „ტეხნიკურად დამხმარე რაზმების“ ტიპის მიხედვით.

მაშინ ფოთის მუშათა რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ ტერორი გამოუცხადა ლოლუას. უნაყოფო თავდასხმის შემდეგ ლოლუა გადარჩა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ გამცემელი ლოლუა 1920 წლამდე განაგრძობდა სოციალ-დემოკრატების პარტიაში ყოფნას და, როგორც ის აცხადებს, ამ პარტიამ იცოდა ყველა მისი ნაბიჯები.

2-3 დღის შემდეგ გამოტანილი იქნება განაჩენი. პროლეტარული სასამართლო იტყვის თავის რევოლიუციონურ სიტყვას, რომელსაც მოუთმენლად ელის ფოთის მშრომელი მოსახლეობა“ (ადს).

ნავთსადგურის მუშათა დელეგაცია

ფოთი, 21 თებერვ. 20 თებერვლის დილის სხდომაზე მოვიდა ნავთსადგურის მუშათა დელეგაცია, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

„ნავთსადგურის მუშათა გაერთიანებული კრება გამოსთქვამს უღრმეს აღშფოთებას ბრალდებულთა — მუშათა კლასის მტერთა საქმიანობის გამო და სთხოვს მუშურ - გლეხურ სასამართლოს ბრალდებულთა მიმართ სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელის გამოყენებას.

საპასუხო სიტყვით გამოვიდენ სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ტალახაძე და სხვ.

ამხ. ტალახაძემ სთქვა: „საბჭოთა ხელისუფლება გულისყურით ეკიდება მუშების აზრს და სურვილს. გასაკვირი არაა, რომ მუშები მოითხოვენ თავის ჯალათების სასტიკ დასჯას იმ ტკივილებისათვის, რომელსაც დღემდე გრძნობენ [illegible]შები თავის საკუთარ ზურგზე“. (მქუხარე ტაში).

მშრომელთა ინტერესი პროცესისადმი

ფოთი, 21 თებერვ. ფოთში გამართულმა ხუთი პროვოკატორის პროცესმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ფოთის მშრომელ მოსახლეობაში ფოთის მთელი საზოგადოებრივი აზრი, კერძოდ ნავთსადგურის მუშები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პროცესის მსვლელობას. მოზღვავებულ ხალხს ველარ იტევს თეატრ „კომეტას“ დარბაზი, სადაც ამჟამად არის გამართული პროცესი.

სასამართლო სხდომების დასრულების შემდეგ, მუშები თავს იყრიან თითო-თითო ძველ მუშების გარშემო, რომლებიც თავის დაწვრილებითი ცნობებით ავსებენ ბრალდებულთა დანაშაულის სურათს.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ფოთის მუშათა დელეგაციის გამოჩენამ სხდომის დარბაზში. იმ მუშის სიტყვა, რომელმაც თავისი ამხანაგების სახელით მოითხოვა პროცესის დაჩქარება და მუშათა კლასის ჯალათების მიმართ სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელის გამოყენება, დაიფარა მქუხარე ტაშით.

ასევე მქუხარე ტაშით დაიფარა იუსტსახკომის მოადგილის ამხ. ტალახაძის საპასუხო სიტყვა, რომელიც მან ასე დაამთავრა:

„ფოთის მუშათა კლასი ელის ღირსეულ სასჯელს ჯალათთათვის“. (ადს).

ექიმების მომზადება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით გადაწყვეტილია 28 მარტიდან ტროპიკულ ინსტიტუტთან გაიხსნას სამთვიანი კურსები ტროპიკულ სნეულებებთან მებრძოლი ექიმების მოსამზადებლათ. კურსებზე მოწვეულ იქნებიან მაზრებში მომუშავე ექიმები და მათ შეასწავლიან მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან მკურნალობის ახალ საშუალებებს.

კურსებზე მეცადინეობის დასრულების შემდეგ ექიმები დაგზავნილი იქნებიან მაზრებში გახსნილ ტროპიკულ სადგურებში სამუშაოდ.

ტროპიკულ სნეულებების შემსწავლელ კურსების გახსნის გარდა, ჯანსახკომს განზრახვა აქვს აგრეთვე მოაწყოს სასამართლოებში მომუშავე ექსპერტების მოსამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები.

მიწ. მოქ. კომის'რიატში

ახალი განყოფილება

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით ცხენსაშენის წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მეფრინველეობის და მეაბრეშუმეობის განყოფილებები გაერთიანებულია ერთ ზოოტეხნიკურ განყოფილებაში. ამავე განყოფილებას დაექვემდებარება აგრეთვე რესპუბლიკაში არსებული თივის დამამზადებელი აპარატიც.

ახალი აგრონომები

ქვემოთ ვათავსებთ იმ სტუდენტ-აგრონომების სიას, რომლებმაც აგრო-ფაკულტეტის მეოთხე სესიაზე ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები: ა) სოფლის მეურნეობის დარგი: 1) აბულაძე შალვა, 2) ბერულავა გაიოზი, 3) გეგენავა პეტრე, 4) დევდარიანი გრიგოლ, 5) იმნაძე ბენიამინი, 6) ჯაფარიძე ვლადიმერ, 7) შენგელია მარიამ, ბ) **ტყის მეურნეობის დარგი:** 8) გორდეზიანი ივანე, 9) ჯავახია ილია, 10) ნიკოლაიშვილი ეკატერინე, 11) მირზაშვილი ვიქტორი, 12 შარაშენიძე სერგო, 13) დვალი მიხეილ; გ) **მებაღე-მევენახეობის დარგი:** 14) ამბროლაძე გრიგოლი, 15) არაბიძე ვალერიან, 16) ბრეგაძე ნიკოლოზ, 17) ბიბილური აბრამ, 18) გამყრელიძე ალექსანდრე, 19) გოგიჩაიშვილი ბენიამინე, 20) გაბუნია მარგალიტა, 21) გვარამია მიხეილ, 22) დალაქიშვილი ნიკოლოზ, 23) დეიძე იოსებ, 24) ვარსიმაშვილი ვლადიმერ, 25) ზალდასტანიშვილი შალვა, 26) კაკაბაძე თამარ, 27) კარტოზია აკაკი, 28) კუპრაშვილი სიმონ, 29) კობახიძე მარიამ, 30) კალანდაძე გარსევან, 31) როხაძე მელიტონ, 32) მალალაშვილი ილია, 33) მესხი ბენედიქტე, 34) მშვილდაძე მიხეილ, 35) ჯაში ზინაიდა, 36) ჯაფარიძე გიორგი, 37) ჯაფარიძე ქრისტაფორე, 38) ტაბლიაშვილი მიხეილ, 39) ჭანტურიძე კალენიკე, 40) ხვედელიანი ქრისტინე, 41) ცქიტიშვილი დავით, 42) შოშიაშვილი ილია, 43) ხუნწარია გრიგოლ, 44) ფარჯანიძე ლავრენტი, 45) ქარუმიძე სიმონ.

ქრონიკა

ამხ. ლ. სუხიშვილის ავადმყოფობა

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ამხ. ლადო სუხიშვილი** გუშინ საღამოს ავად გახდა. ექიმების დასკვნით ავადმყოფობა გულის სისუსტის მიზეზითაა გამოწვეული. ავადმყოფ ამხ. ლ. სუხიშვილს მკურნალობენ ექიმები: ზანდუკელი და მამულია.

ამხ. ჟელიხოვსკის ჩამოსვლა.

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის უფროსი ინსპექტორი ამხ. **ჟელიხოვსკი** და **ი. მავრინსკი.**

ამხ. ჟელიხოვსკის ჩამოსვლის მიზანია ნავთის პროდუქტების საექსპორტო გადაზიდვის გასაძლიერებელ ღონისძიებათა გამომმუშავებელ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

სპარსეთის ახალი გენერალური კონსული თბილისში.

20 თებერვალს სპარსეთიდან ჩამოვიდა თბილისში ახლად დანიშნული სპარსეთის გენერალური კონსული **მირ-ალი-ხან-ზაგირ.**

1917 წლამდე მირ-ალი-ხან-ზაგირი სხვადასხვა დროს კონსულად იყო ერევანში, ბათომში, თურქესტანში, თბილისში და სხვა ადგილებში.

უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში მირ-ალი-ხან-ზაგირი მუშაობდა სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სპარსეთის გენერალური კონსულის მოვალეობის აღმსრულებელი თბილისში **მაჰაჯირი** დანიშნულია კონსულად ნახიჩევანში, სადაც მიემგზავრება მიმდინარე კვირის ბოლოს.

„საქართველოს ბირჟა და ბაზრები 1925-26 წელს“

თბილისის საქონლის ბირჟამ გამოსცა კრებული საქართველოს ბირჟისა და ბაზრების შესახებ.

კრებულში გაშუქებულია საბირჟო აღებ-მიცემობა და მთავარი საქონლის (ნედლეულის, ფართლის, პურეულის, ლითონის და ხორცის) ბაზრების მდგომარეობა და საკრედიტო საქმე 1925-26 წელში.

დამატებითი კრედიტი

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა რესპუბლიკანურ ბანკებს გაუხსნა დამატებითი კრედიტი მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ანგარიშში. კრედიტი მიეცათ შემდეგი რაოდენობით: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს—167,000 მანეთი, აზერბეიჯანის ბანკს—106.000 მან., სომხეთის—108,000 მ., აფხაზეთის—21,700 მ., აჭარისტანის—13.000 მ., და ნახიჩევანის ბანკს—20.000 მანეთი.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ „საქართველოს ჩაის“ პლანტაციებზე და ქარხნებზე სოცდაზღვევის სამმართველოს დადგენილებით ვრცელდება სოცდაზღვევის ნორმალური 16 პროცენტიანი ტარიფი.

◆ **სოცდაზღვევის** კამპანია მთელ საქართველოში დამთავრდება ამ დღეებში.

◆ **თბ. დამზღვევ სალაროს** გასულ წელს დასაზღვევ ანარიცხებიდან შემოუვიდა 3.917.000 მანეთი.

◆ **საგარანტიო დაზღვევა.** სოცდაზღვევის სამმართველომ დაადგინა სამმართველოს და დამზღვევ სალაროს თანამშრომლებზე, რომლებსაც აბარიათ ფული, ან ქონება გაავრცელოს საგარანტიო დაზღვევა.

◆ **საზამთრო კურორტებზე.** 24 თებერვალს ქობულეთში გაიგზავნება დაზღვეულ ავადმყოფთა უკანასკნელი წყება, რიცხვით 30 კაცი.

◆ **საზამთრო სეზონი** სოცდაზღვევის სამმართველოს ცნობით დამთავრდება 31 მარტს.

◆ **დამზღვევი პუნქტები.** აფხაზეთის დამზღვევმა სალარომ სოცდაზღვევის სამმართველოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა გაგრაში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გალში დამზღვევ პუნქტების დაარსების შესახებ.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ სახალხო მამულების ტრესტმა ა. კ. სას.-სამ. ბანკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, მამულებში სასოფლო-სამეურნეო საქმის გასაძლიერებლად 50,000 მანეთის სესხად მიცემის შესახებ.

◆ **მანქანები.** სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად ა. კ. სას.-სამ. ბანკმა გადასდო 429,600 მანეთი.

◆ **მინდვრის მავნეებთან** საბრძოლველად წამლეულობის შესაძენად ა. კ. სას.-სამ. ბანკმა გადასდო 119.000 მანეთი.

◆ **თათბირი.** ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი ოქტომბრისთვის ბათომში იწვევს თათბირს ჩაის მეურნეობის შესახებ.

სხვადასხვა

◆ **პროფკავშირთა ყრილობა.** 20 თებერვალს გაიხსნა გორის პროფკავშირთა სამაზრო ყრილობა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან—დელიბაშს. ხონიდან—ჩაჯაიას. ნახიჩევანიდან—ფირუმაინცს, ქუთაისიდან—ყოფიანცს, ქუთაისიდან—გრამათიკოპულოს. ხონიდან—კაციანს. არმავირიდან—ავალედიანს. ნახიჩევანიდან—დ. ასაპარიანცს. შახტიდან—სარქისიანს. ტაშკენტიდან—საფონოვს. ერივნიდან—ჯაგეტიანს. აბაშიდან—ნოდიას. პერმიდან—რიზაევს, მოსკოვიდან—ტრომპს. ზუგდიდიდან—ავალიანს. ქუთაისიდან—შალიკაშვილს. სტალინგრადიდან—მაპოვალენკოს. ცხინვალიდან—ეკუშევს. ნახიჩევანიდან—იმამოვს. სამირკანდიდან—[illegible]

ხელოვნება

ეგონ პეტრი საბჭოთა პიანინოს შესახებ.

გამოჩენილ პიანისტის ეგონ პეტრის უკანასკნელი კონცერტის დროს, „მუსმრეწვი“-ს თბილისის განყოფილებამ მას დაუთმო საბჭოთა რუსეთში დამზადებული ბეკკერის სისტემის პიანინო და საკონცერტო როიალი.

აღნიშნულ პიანინოს შესახებ ეგონ პეტრიმ „მუსმრეწვს“ გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ამით მსურს გადაგიხადოთ ჩემი ულრმესი მადლობა იმის გამო, რომ თქვენ კეთილ ინებეთ და ჩემს აქ ყოფნის დროს გადმოეცით ჩემს განკარგულებაში თქვენი ბეკკერის პიანინო № 34705/827.

მე ძლიერ დამაინტერესა იმან, რომ თქვენი წერილიდან 1927 წ. 18 იანვრის თარიღით გავიგე, რომ აღნიშნული პიანინო მექანიზმითურთ დამზადებულია რუსეთში. ეს დიდი მიღწევაა და მეც ვისურვებ ასეთ მიღწევების უფრო გაძლიერებას მომავალში.

პიანინოს ტონი სასიამოვნოა და მასთან მოდულაციის მქონე, მექანიკა მსუბუქი, სწორი და საიმედო. ერთად-ერთი, რაც შესასწორებელია მასში, ეს—რეპეტიციაა. მაგრამ ამის შესწორება შეუძლია კარგ მომმართავს.

რაც შეეხება ბეკკერის საკონცერტო როიალს № 2599 I, მე საერთოდ მითი კმაყოფილი ვარ. მართალია, ის სრულიად ახალი არ არის და მე საერთოდ ბეკკერის ფაბრიკატებში ვერ ვპოულობ ისეთ მგრძნობელობას და ინტონაციის სიღრმეს, როგორიც ამას მე ჩვეული ვარ ბეხშტეინის როიალთან. ყოველ შემთხვევაში, ის წმინდაა და თანასწორი ყველა რეგისტრებში და დაკვრის დროს ტეხნიკურად სასიამოვნოა.

ერთხელ კიდევ გიცხადებთ ულრმეს მადლობას.

თქვენი ერთგული ეგონ პეტრი“.

კომპოზიტორ ა. ეიხენვალდის კონცერტი

კომპოზიტორ ანტონ ეიხენვალდის კონცერტს (აღმოსავლური ხალხური მუსიკა და სიმღერები) გარდა წმინდა მხატვრული მნიშვნელობისა ჰქონდა აგრეთვე განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. ეს იყო მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კონცერტი. კონცერტში დაცული იყო შემდეგი სამი საინტერესო მომენტი: პირველი—შესანიშნავად იქნა შესრულებული ესტრადაზე ცეკვა (მუსიკალურ განსახიერებით) და ხალხური სიმღერები, რომლის მელოდიებიც მუსიკით დაინტერესებულ ფართო წრეებისათვის სრულიად უცნობია. შემდეგ, მუსიკალური სახეებით კონცერტზე გადმოცემულ იქნა აღმოსავლეთის ხალხების ურთიერთობა და მათი ყოფა-ცხოვრება.

დასასრულ, რაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს—ეს საუცხოვო ჰარმონიზაცია იმ მუსიკალური სახეებისა, რომელიც კონცერტის პროგრამაში იყო შეტანილი.

ჰარმონიზაცია (პოლიფონიური) განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ეიხენვალდს, რომელიც არ ჩერდება არავითარი დაბრკოლებების, ხშირად გადაულახავი დაბრკოლებების წინაშეც, რომ მოგვცეს აღმოსავლური მუსიკალური სახეების აბსოლიუტური სისრულე. აქ სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ჰარმონიის ის ფორმა, რომელიც შემოღებულია ევროპიული მასშტაბით, ხშირათ არ ვარგა აღმოსავლეთური მუსიკის ფორმებისათვის, რომელსაც ხშირათ ძლიერ თავისებური მელოდიური წყობა აქვს.

ეიხენვალდის მიერ შესრულებულმა ნომრებმა დაადასტურა, რომ ეს სიძნელეები მას გადალახული აქვს. შესრულებული იყო ყაზანის თათართა, ყირგიზთა, ბაშკირთა, ყირიმის თათართა და თურქთა ხალხური სიმღერებისა და მუსიკალური სახეების ნიმუშები.

ყველა შემსრულებლები დაწყებული თვით კომპოზიტორიდან, რომელიც ზოგიერთ ნომრებს ასრულებდა ორ ფორტეპიანოზე პიანისტ ქალ გრიქუროვასთან ერთად და აგრეთვე ვოკალური ნომრების შემსრულებელნი, ოპერის მსახიობი—სპრიშევსკაია და კანსბურგი იდგნენ სერიოზულ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. ორივე შემსრულებელმა მოგვცეს სრულიად დასრულებული შესრულება, როგორც ხასიათის, ისე ჟანრის დაძლევით. ზოგიერთი სიმღერები შესრულებულ იქნა თათრულ ენაზე.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა შემდეგმა სიმღერებმა: ძველი თათრული ლეგენდა, გმირის სიკვდილი, სამშობლო, მთვარიანი ღამე, წყარო, თათრული ცეკვა, ნანინა, ყირიმული სიმღერები და კომიკური დუეტი.

საზოგადოება თბილათ შეხვდა ყველა შემსრულებლებს და განსაკუთრებით კომპოზიტორს.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **აკადემიკოს ლენსერეს სურათების** გამოფენა გაიხსნა 20 თებერვალს „ჰაიარტუნში“.

◆ **„საჭე მარცხნივ“.** ხუთშაბათს, 24 თებერვალს წარმოდგენილი იქნება პრემიერა, ბელ-ბელოცერკოვსკის პიესა: „საჭე მარცხნივ“. დადგმა ალ. ახმეტელის.

◆ **სტეპანოვას გასტროლი.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება სტეპანოვას პირველი კონცერტი. მიდის ოპერა „ლაკმე“.

◆ **„გიული“** მარტის პირველ რიცხვებში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის მორიგი ახალი სურათი „გიული“.

◆ **ახალი ბალეტი.** მარტის პირველ რიცხვებში ოპერის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ეიხენვალდის ახალი ბალეტი: „ივან ცარევიჩ და ჟარპტიცა“. ბალეტი დაიდგმება თვით ეიხენვალდის და ბალეტმეისტერ სერგეევის ხელმძღვანელობით.

◆ **პიანისტი ორბელიანი პარიზში.** პარიზში ბეთხოვენის სახელობის დარბაზში დიდის ინტერესით ჩატარდა პიანისტ ირაკლი ორბელიანის კონცერტი. ორბელიანმა დაამთავრა თბილისის კონსევატორია.

სასამართლო

სახსპირტის თანამშრომელთა პროცესი

სასამართლოს თავმჯდომარის ავათმყოფობის გამო გუშინ სხდომა არ შემდგარა.

სუსლინის და სხვათა საქმე

ოთხშაბათს, 23 თებერვალს მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა.

9.257 მან. გაფლანგვა

დასრულდა წინასწარი გამოძიება დავით დიმიტრის ძე ლორთქიფანიძის საქმეზე.

ლორთქიფანიძეს ბრალდება 9.257 მანეთის გაფლანგვა ცეკავშირის ექსპედიტორათ ყოფნის დროს.

პრუსკოვის საქმე

24 თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ალექსანდრე პრუსკოვის. საქმე

პრუსკოვს ბრალდება 922 მანეთის მითვისება და გაფლანგვა სამხედრო კოოპერატივში მუშაობის დროს.

„მოხერხებული“ მდივანი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ლაშხის თავმჯდომარეობით დაიწყო საგარეჯოს სახალხო სასამართლოს ყოფილი მდივნის დავით მჭედლიშვილის საქმის გარჩევა.

მჭედლიშვილი არწმუნებდა გლეხებს, რომ მათ საქმეებს მათდა სასარგებლოდ გადასწყვეტდა და ამისათვის ართმევდა საჩუქრებს.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა მჭედლიშვილმა დამალა საკასაციო საჩივრები.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

შემთხვევები

◆ **მტკვარში გადავარდნა.** 20 თებერვალს ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა ევგენია ბაგრატის ასული სალარიძე, რომელიც დახრჩობას გადაარჩინა მეხანძრეთა რაზმის თანამშრომელმა ალექსი ცქორიშვილმა.

◆ **ცირკში** 20 თებერვალს დავით გრიგორიევს ამოაცალეს საფულე და სხვადასხვა საბუთები.

◆ **შეპყრობა.** 19 თებერვალს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მცირეწლოვანი ილია კობისძე წიფლოშვილი.

◆ **ცეცხლი** 20 თებერვალს მარინის ქუჩა № 16 გეურქ სარქისოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი 150 მ. უდრის.

◆ **ამავე დღეს** ანდრიას ქუჩა № 75 გიორგი ჯაბაშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **ოპერის თეატრში** 19 თებერვალს დააპატიმრეს ალექსი ვასილისძე ვლასოვი (უბინაო, ხარკოვიდან ახლად ჩამოსული) რომელსაც უნდოდა მოქ. დილამიანცისათვის ჯიბიდან ფულის ამოცლა.

◆ **ქერის ჩამონგრევის** საშუალებით 20 თებერვალს მალაკნის ქუჩა № 10 გაქურდეს გუსეინ ხალი-ოღლის საგალანტერიო მაღაზია, წაღებულია 300 მ. ნივთები.

◆ **ამავე დღეს** პლეხანოვის გამზირი № 114 გაქურდეს შალვა გელაშვილის ბინა.

ბავშვის გასრესა

გუშინ სადგურიდან მომავალმა ტრამვაის რონოდამ (№ 51, მარშრუტი მე-2-ე) ეორესის და პლეხანოვის ქ. კუთხეში, მუშკოოპის წინ, გასრისა 9 წლის **ელენე ჯავოშვილი.**

ვაგონის დომკრატით აწევის შემდეგ გამოირკვა, რომ ბავშვი იყო მიკრული ვაგონის წინა მოტორსა და ღერძზე.

ვატმანი **სერგო ვართანოვი** დაპატიმრებულია.

გამომძიებელი **ი. ადამიძე** სთხოვს ამ შემთხვევის დამსწრე პირებს, გამოცხადდნენ სასამართლოს, ქ., 32, ოთახი № 62, ჩვენების მისაცემად.

კარტის მოთამაშეთა, ოპიუმის მწეველთა და ბოროტმოქმედთა თავშესაფარის აღმოჩენა

გუშინ სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის უფროსის გრ. თოფურიას განკარგულებით და უშუალო მონაწილეობით, მილიციის მიერ მოხდენილ იქნა ბოროტმოქმედების მხრივ საეჭვო ადგილების დათვალიერება.

დათვალიერებისას დიდი ვანქის ქუჩაზე № 10, ადამ ლუარსაბოვის კუთვნილ დარაბაში აღმოჩენილ იქნა კარტის და კამათლის მოთამაშეთა და ბოროტმოქმედთა თავშესაფარი. დარაბა „დრუება“-ს ფირმით თითქოს ყავითა და ჩაის ვაჭრობას აწარმოებდა, სინამდვილეში კი მასში თავს იყრიდენ ყოველი ჯურის ბოროტმოქმედნი და აგრეთვე სწარმოებდა აზარტული კარტისა და კამათლის თამაში.

დათვალიერების დროს მილიციის თანამშრომელთა ამ დარაბაში დაპატიმრებულ იქნენ ცნობილი ქურდი—რეციდივისტები **სერგო ლუარსაბოვი, რუბენ მირაქოვი და ხაიმ მხისკალაშვილი,** რომელთაც ს. ს. მილიცია დიდიხანია ეძებდა. ისინი როგორც სოციალურად მავნე და გამოუსწორებელი ელემენტები. ახლო მომავალში გასახლებული იქნებიან თბილისიდან.

შემდეგ კომუნალურ ქუჩაზე № 13—**მამედ ალი ხადლა-ოღლისა** და **მამედ ალი იუსუფ-ოღლის** დარაბაში აღმოაჩინეს ოპიუმის მწეველთა ბუდე. რამოდენიმე პირი მილიციის თანამშრომელთა მისვლის დროს ეწეოდა ოპიუმს, იქვე აღმოაჩინეს რამოდენიმე სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელნიც დააპატიმრეს.

ოპიუმის საწევ ოთახში აღმოაჩინეს დიდძალი ნაქურდალი ნივთები.

დარაბის მეპატრონეები მილიციამ დააპატიმრა.

ბიბლიოგრაფია

КАРЛ РЕННЕР «ТЕОРИЯ КАПИТАЛИСТИЧЕСКОГО ХОЗЯЙСТВА. (Марксизм и проблема социализирования) რუსეთის სახელგამი, გვ. 336 ფასი 3 მან.

ამ უკანასკნელ დროს რუსულ ენაზე მრავალი საყურადღებო შრომა გადმოითარგმნა განსაკუთრებით გერმანულიდან. ნაწილი ამ ლიტერატურისა უკომენტარიოდაა მისაღები, ხოლო საკმაო ნაწილი მხოლოდ წინასწარი კრიტიკის შემდეგ შეიძლება შევისწავლოთ. უკანასკნელი ხასიათის ლიტერატურას მიეკუთვნება კარლ რენერის დასახელებული შრომა.

რენერი ცნობილი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატია, რომელიც მარქსიზმს კარგა ხანია გამოეთხოვა და რაც მთავარია უფრო საგრძნობად, ვინემ კ. კაუცკი, ჰილფერდინგი ან ვ. ადლერი. რენერი ეკუთვნის ე. წ. „ავსტრო მარქსისტულ სკოლას“, რომელიც პოლიტიკურად ოპორტუნიზმის მქადაგებელია, ე. ი. სკოლის მიმდევარია, რომელიც განმტკიცდა, როგორც „რევოლიუციონური მოქმედების შეუძლებლობის ფსევდო-კლასიკური ფილოსოფია“.

რენერის შრომა სწორეთ ამის ზეგავლენას ატარებს, ის მარქსიზმის ეკონომიური საფუძვლის ახალი რევიზიის ცდაა, მაგრამ ფრიად უნაყოფო და უსუსური ცდა, რომლის მზგავს დიდ წილად თვით კაუცკი, ჰილფერდინგი და ბაუერიც არ უჭერდენ თავის დროზე მხარს. მაგრამ ამის მიუხედავად რენერის შრომა, როგორც თეორიული ეკონომიის თავისებური გაშუქება მაინც უნდა გაიცნოს ეკონომიური პრობლემებით დაინტერესებულმა მკითხველმა, მით უმეტეს, რომ წიგნის ზოგი ადგილი არც შეიძლება იქნეს სადავო და მრავალ საინტერესო აზრებს გვაცნობს. „ამ წიგნს—ლაპარაკობს რენერის წიგნის მეტად დასაბუთებულ წინასიტყვაობაში ამხ. სპეკტატორი—აქვს თავისი ისტორიული გამართლება, გვიჩვენებს რა იმ პოზიციის მთელ მერყეობას, რომელზედაც აგებულია თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგია“.

რენერის დაცილება მარქსიზმისგან იმაში მდგომარეობს, რომ ის თეორიული ეკონომიის მთავარ პრობლემებს აღიარებს არა როგორც ისტორიულ, არამედ როგორც ლოღიკურ კატეგორიებს. აქიდან გამომდინარეობს რენერის მთელი რიგი შეცდომები რომელსაც ის მიჰყავს თავის მთავარ დებულების „დასაბუთებისაკენ“ რომ სოციალიზაცია როგორც წარმოების, ისე ბრუნვის და სხვა საშუალებათა შეუძლებელია, რენერი სცილდება მარქსს თავდაპირველად პოლიტიკური ეკონომიის საგანის გამორკვევაში, როდესაც ის თეორიული პოლიტეკონომიის საგნად საერთოდ „საზოგადოებრივ მეურნეობას“ აღიარებს ხოლო მარქსი კაპიტალისტურ მეურნეობას, რაიც რასაკვირველია იგივე არ არის რაც საზოგადოებრივი მეურნეობა, რომელიც არა კაპიტალისტური წყობილების დროსაც შეიძლება არსებობდეს. რენერი უარყოფს მარქსის აბსტრაქტულ დედუქტიურ მეთოდს პოლიტიკურ ეკონომიაში და მის მაგივრად მარქსისტთა მიერ უკუგდებულ ინდუქტიურ მეთოდს აყენებს. ის გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბაზარს და საერთოდ ბრუნვის სფეროს ღირებულების გამორკვევისას, მაშინ როდესაც უდავოა, რომ მარქსის თქმით ღირებულებას გასაღები წარმოებაში უნდა ვეძიოთ. და არა ბრუნვის სფეროში. სადაც ღირებულება კი არ იქმნება, არამედ მისი მხოლოდ რეალიზაცია ხდება..

რენერი სპეკტატორის თქმით სასტიკი ეკლექტიკია და ამით აიხსნება, რომ მაგ. კაპიტალის პრობლემა მასთან ბუნდოვანებით არის მოცული, ის ურევს ერთმანეთში ზედმეტ შრომას და დაქირავებულ შრომას, ვერ არჩევს ამიტომ ერთმანეთისაგან ზედმეტ პროდუქტსა და ზედმეტ ღირებულებას. რენერი უარყოფს კაპიტალის კონცენტრაციას, აღიარებს რა კაპიტალის ე. წ. „დემოკრატიზაციას“, რაიც ბერნშტეინის და ტუგან ბარანოვსკის ახლად შეკეთებული ძველი ფილოსოფიაა მარქსის წინააღმდეგ მიმართული.*) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რენერი წარამარა ებღაუჭება მარქსს და როგორც სჩვევიათ საერთოდ რევიზიონისტებს, თვით მარქსითვე უნდა შეასწოროს „დაძველებული“ მარქსი.

მიუხედავად ამისა რენერის წიგნი მაინც აღსანიშნავი მოვლენაა უკანასკნელი დროის ეკონომიურ ლიტერატურაში. მკითხველი ამხ. სპეკტატორის წინასიტყვაობაში, რომელიც წამძღვარებული აქვს კარლ რენერის შრომას, წინასწარ ეცნობა მოკლეთ რენერის ძირითად შეცდომათა მოხდენილ კრიტიკას და ამის შემდეგ მან უკვე არ შეიძლება დაჰკარგოს მარქსისტული ორიენტაცია, თუ კი რასაკვირველია წინასწარ იცნობს თეორიული ეკონომიკის ძირითად პრობლემებს.

დ. გ—ვა.

---

*) რენერის ზოგიერთ მცდარ დებულებათა (მაგ. წარმოების განუწყვეტლობისა და გაფართოებულ წარმოების) კრიტიკა მოგვცა ამხ. ტალგიამერმა ჟურ. „ბოლშევიკი“-ს № 7—8—1926 წ.

„საქართველოს კოოპერაცია“ № 7-8

ცეკავშირის ორკვირეული ჟურნალი, 1926 წ. დეკემბერი

ერთი თვის წინათ დამთავრდა ცეკავშირის მე-12 ყრილობა, კიდევ უფრო ადრე ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის „სოფლის კავშირი“-ს დამფუძნებელი ყრილობა და კოოპერაციის სპეციალურ ჟურნალიც იმ ხანებში ალბათ უფრო საჭირო იქნებოდა, მაგრამ „საქართველოს კოოპერაცია“ არ სჩანდა და მხოლოდ ეხლა ესალმება ის ცეკავშირის ყრილობას, „უსურვებს მას და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სრულ გამარჯვებას“. ჟურნალი ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, ის ვერ გამხდარა ნამდვილი კოოპერატიული ჟურნალი. მასში ვერ იპოვით სამომხ. კოოპერაციის ეხლანდელი მდგომარეობის მთლიან სურათს გარდა იმისა, რომ ცეკავშირს მიუღია წარსულ წელში 5000 მან. მოგება და მისი „ბალანსი თითქმის მთლიანათ განწმენდილია ისეთი ნაწილებისგან, რომლებიც იწვევენ თანხების დაბანდებას და ვალდებულებათა თავის დროზე გასტუმრებას“ (?)

შემდეგ მიდის ი. ბ. წერილი „სოფლის კავშირის“ ყრილობის შედეგების შესახებ, რომელიც აღნიშნავს, რომ „სოფლის კავშირი“ უნდა გახდეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის როგორც იდეურ-ორგანიზაციულ, ისე სამეურნეო ცენტრად“.

რ. ბ. წერილში „ცეკავშირის არსებობის ათი წლისთავი“ მოცემულია მოკლე მიმოხილვა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის და მისი ცენტრის განვითარებისა 1926 წლიდან. დანარჩენ ორიგინალურ წერილებში აღსანიშნავია. ბ—„კოოპერაციის აგრონომიული საქმიანობა“, ე. გ.—ინდივიდუალური თუ კოოპერატიული მშენებლობა“ და ა. კ-ძეს „სახელმწიფო გრძელვადიანი სესხის ვადამდე ამოღება კოოპერაციიდან“.

უკანასკნელი წერილის ავტორი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის მიხედვით შეუძლებლად სთვლის გრძელვადიანი სესხის ვადამდე ამოღებას კოოპერაციიდან.

საერთოდ, როგორც უკანასკნელი, ისე წინანდელი ნომრები ჟურნალისა ვერ იწვევენ ცხოველ ინტერესს მკითხველში, ვერ ამართლებენ კოოპერატიული ჟურნალის დანიშნულებას, თუმცა ალბათ შედარებით საკმაო დიდი თანხებიც იხარჯება, როგორც ეს სჩვევიათ უწყებრივ გამოცემებს. ჟურნალი რომ რიგიანათ ვერ არის დაყენებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ნოემბრის შემდეგ ის მხოლოდ თებერვალში გამოვიდა. გარეგნობით და მასალების დალაგების მხრივ ჟურნალი ვერ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, კორექტურული შეცდომებიც საკმაოდ ხშირია.

აუცილებლად საჭიროა ჟურნალის ყოველმხრივი გაუმჯობესება და კოოპერატიულ მასებში მისი ფართო გავრცელება. რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჟურნალში არ თანამშრომლობენ მცოდნე კოოპერატიული მუშაკნი და არც ერთი ავტორი არ იწერება სრულად და რის გამო, არ ვიცით ინიციალებს ითარება.

ჟურნალისტი.

მეცნიერება და ტეხნიკა

საბჭოთა ლინოტიპი

ტეხნიკოსმა დობროტვორსკიმ (ქ. ტვერი) გააკეთა ასოთ-ამწყობი მანქანა. ამ მანქანის მუშაობის პრინციპი ისეთივეა, როგორც „ლინოტიპის“, ე. ი. ასოთ-ამწყობი მუშაობს კლავიატურაზე, აწყობს სტრიქონს, რომელიც შემდეგ ისხმება. მაგრამ დობროტვორსკის მანქანის კონსტრუქცია გაცილებით მარტივია და მუშაობაც მასზე გაცილებით ადვილია.

დობროტვორსკის მანქანის პროექტი განხილულ იქნა პოლიგრაფიული მრეწველობის ყრილობაზე მოსკოვში და მოიწონეს.

საბჭოთა „ლინოტიპის“ მოდელი უკვე დამზადებულია და მისმა გამოცდამ საუკეთესო შედეგები გამოიღო.

ახლად გამოგონებული მანქანა 40 პროც. უფრო იაფი ეღირება, ვიდრე გერმანული „ლინოტიპი“.

ჯიბის რადიო-სადგურები

ნიუ-ჯერსის შტატში (ჩრდილოეთ ამერიკა) ახდენენ ცდებს მეტად პატარა რადიო-აპარატზე, რომლის სიდიდე არ აღემატება პორტსიგარის სიდიდეს. წინასწარმა ცდებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. პირველ რიგში ასეთი აპარატებით მომარაგებული იქნებიან პოლიციელები, რაც საშუალებას მისცემს მათ კავშირი იქონიონ ერთმანეთთან და საუბნო სამმართველოსთან. ამ პატარა სადგურების მოქმედების რადიუსი 6 კილომეტრს უდრის.

ახალი საბჭოთა თბომავალი

დიუსელდორფის მანქანათა სააღმშენებლო ქარხანაში (გერმანიაში) დაამთავრეს ახალი თბომავალის აგება საბჭოთა კავშირისათვის. თბომავალი აგებულია პროფ. ლომონოსოვის სისტემის მიხედვით. პირველი გამოცდის დროს თბომავალმა ადვილად წაიყვანა მატარებელი, რომლის წონა 50.000 ფუთს უდრიდა. ამავე დროს თბომავალი ხარჯავს მხოლოდ ¼—1/5 იმ საწვავი მასალისას, რომელიც ესაჭიროება ამავე სიმძლავრის ორთქლმავალს. დახარჯული საწვავი მასალის სასარგებლო მოქმედება უდრის 30,5 პროც. ნაცვლად 6-8 პროც. ჩვეულებრივ ორთქლმავლებში.

თბომავალის გამოცდას დაესწრენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები და რკინის გზების სპეციალისტები, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. ჩირკინი და გერმანიის გზათა მიმოსვლის სამინისტროს წარმომადგენლები.

ახალი შხამიანი გაზები

საფრანგეთის სამხედრო წრეები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ორი ახალი გერმანული გაზის გამოცდის შედეგებს. ეს გაზები წარმოადგენენ უკანასკნელ მიღწევებს ქიმიური ომის დარგში. ორივე გაზი „ჰუმანიური“ ხასიათისაა. ერთი მათგანი, საფრანგეთის კონტრ-დაზვერვის ცნობით, უვნებლად ხდის ყოველგვარ მხრჩოლავ გაზს, მეორე კი—მაძინებელი გაზია და შეუძლია ოთხი საათით დააძინოს მთელი არმიები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

სამტრედიის მცხოვრებ გლეხს მიხეილ დუნდუას

თქვენ გვწერთ, რომ სახ. დამზ. აგენტმა მოკრაველიშვილმა ორჯერ გადაგახდევინათ საქონლის სავალდებულო დაზღვევის გადასახადი „მოტყუილებით“ და გვეკითხებით თუ როგორ უნდა მოიქცეთ.

გიპასუხებთ

გირჩევთ ამის შესახებ აცნობოთ სახელმწიფო დაზღვევის სამართველოს კანტორას (ქალ. თბილისში სოლოლაკის ქ. № 8). გაქვთ აგრეთვე უფლება მიმართოთ სახალხო სასამართლოს საჩივრით და მოითხოვოთ უკანონოდ გადახდილი ფულის დაბრუნება.

კავშირის წევრებს (წიგნ. № 8180 და 4471) სად. სამტრედიის მცხ. ძმებს კვანტალიანებს

პასუხი

თქვენი გათხოვილი და მიიღებს თავის წილს საერთო ქონებიდან და მიწებიდან მხოლოდ თავის ქმრის ოჯახში. სადაც იგი ითვლება კომლის სრულუფლებიან წევრად. მას უკვე თქვენგან თავის დროზე მიუღია მზითევიც. ამიტომ თქვენი ქონებიდან და მიწებიდან მას არავითარი წილი არ მიეცემა. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 40 და მისი შენიშვნა). მით უმეტეს თქვენ სიძეს არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს წილი თქვენი ქონებიდან.

შორაპნის მაზრა სოფ. კვალითის მცხ. გლეხს, ივ. მაღლაკელიძეს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ გყავდათ ხუთი ვაჟიშვილი. უფროსი თქვენი შვილი, რომელიც გარდაიცვალა 1917 წელს, იყო ცოლშვილიანი. მას სიკვდილის შემდეგ დარჩა (ქვრივი) ცოლი და სამი წლის ქალიშვილი. ქვრივი გათხოვდა 1919 წ. ობოლი კი თქვენთან იყო 1924 წლამდის და უკვე ორი წელიწადია, რაც ეს ობოლი წაიყვანა თან დედამ და მასთან ცხოვრობს. ამჟამად დანარჩენ თქვენ შვილებს სურთ გაყრა და ცალ ცალკე ცხოვრება. და ამიტომ გვეკითხებით, ერგება თუ არა თქვენი შვილისშვილს (ობოლს), რომელიც ამჟამად ცხოვრობს თავის მამინაცვალთან, თქვენ დანარჩენ შვილებთან ერთად თანაბარი წილი საერთო ქონებიდან.

გიპასუხებთ:

თუ ობოლი (თქვენი შვილისშვილი) არ არის გამორიცხული თქვენი კომლის შემადგენლობიდან და არ არის ჩარიცხული ახალ ოჯახში (მამინაცვლის ოჯახში) მეკომურად, მას აუცილებლად უნდა მიეცეს თანასწორი წილი საერთო ქონებიდან დანარჩენ თქვენ შვილებთან ერთად თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47-სა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიიღებს წილს ახალ ოჯახში და თქვენთან მიწით სარგებლობის უფლებას ჰკარგავს—(იხ. მიწ. კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნა).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს გასაბჭოების 6 წ. თავისთვის

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები მიმაგრებული არიან რაიონებზე მოხსენების ჩასატარებლად „საქართველოს გასაბჭოების მე-6-ე წლის თავის და წითელი არმიის მეცხრე წლის თავის შესახებ“

პირველ რაიონზე: მიხა ცხაკაია, სილბისტროოდრია, ვანო სტურუა, სვანიძე. გ. ქავთარაძე, იმედაძე, ჩხენკელი.

მეორე რაიონზე: ჟუღელი, გუსეინოვი, ლევანდოვსკი, ლისოვსკი, რუბენი, ვირაპი, მათიკაშვილი, მაშკევიჩი, კალტოზოვი და ასრიბეკოვი.

მესამე რაიონზე: ხანოიანი, ა. მიქაძე. ავაქოვი. შირვანსკი, ა. ათაბეგოვი, ოსეპიანი, მგალობლიშვილი, მეძმარიაშვილი.

მეოთხე რაიონზე: მახარაძე ფ., ტოროშელიძე, სუტირინი, ა. დოლიძე. ს. შავერდოვი, დ კანდელაკი, შ. ლეჟავა. მარიამ ორახელაშვილი, გ. ყურულაშვილი, გენკინი, ფესიუკოვი, ფანცხავა, კუჭაიძე, ა. შავერდოვი, ვარძიელი, სნეგიროვი.

თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ასრიბეკოვი.

— **თათბირი რადიოს საკითხებზე**—შესდგება სამშაბათს, 22 თებერვალს საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის, თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

საჭიროა დასწრება ამხ. ამხ. **იმედაძის** (საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპგანყოფილება), **ჰხიტაროვის** (საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), **სტურუა, ბარტიშინსკის** (საკავშირო კომპარტიის, ა. ქ. საოლქო კომიტეტი), **ფლეიშერის** (ფოსტა-ტელ. სახ. კომისარიატი), **მნაცაკანოვის** (რადიო-კვანძი), **ბერძენიშვილის** (თბილისის პოლიტგანათლების განყ.), **აზერაშვილის** (კომკავშირის თბილისის კომიტეტი), **ივანოვის** („პორსპიც“) და ქალ. თბილისის რადიო-წრეების წარმომადგენელთა.

— **პარტგანათლების ქსელის პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციის რუსული სექციის სხდომა შესდგება:**

1) სამშაბათს, 22 თებერვალს საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული, შესავალი ეზოდან.).

სავალდებულოა 1 და 2 საფეხურის პოლიტსკოლების და მუშა ქალთა პოლიტცოდნის წრეების დელეგატების მონაწილეობა.

2) ოთხშაბათს, 23 თებერვალს იქავე საღამოს 5 საათზე, სავალდებულოა საღამოს საბჭოთა პარტსკოლების და ლენინის წრეებისა დელეგატების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ერზეკია მუჰლაძეს, გრიგოლ ბიბილაშვილს, გიორგი ჭინჭილაშვილს, ალექსანდრე შუბინსკის, სარქის ყარაპეტიანცს და ლევან მანუკიანცს გამოცხადდენ (ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთ. გამზ. 24, მესამე სართული ოთახი № 12). 22 თებერვალს 9 საათზე.

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ ხვალ სამშაბათს 22 თებერვალს საღამოს 8 საათზე მოწვეულია ცალცალკე ფაკულტეტებთან არსებულ (გარდა პოლიტეხნიკურ ფაკულტეტისა) უჯრედების კრება.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა აღნიშნულ დროზე სავალდებულოა.

— 22 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე რუსთ. 17) შესდგება ბავშვების მეგობართა საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 22 თებერვალს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება უჯრედების ქალთა ორგანიზატორების კრება.

დღის წესრიგში სდგას—საკითხი ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღის ჩატარების შესახებ.

სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორების და კომისიის წევრთა დასწრება.

ამავე დროს გლეხის ცენტრალურ სახლში შესდგება მეორე რუსული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა.

სავალდებულოა აღნიშნულ ჯგუფში მომუშავე დელეგატ ქალების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

მეორე რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

— საქართველოს თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს 22 თებერვალს საღამოს 6 საათზე მესამე რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—**თბილისის სახალხო განათლების განყოფილების საზოგადოებათ-მეცნიერების პედაგოგიურ კაბინეტში (მე-47 სკოლა) სამშაბათს 22 თებერვალს საღამოს 7 საათზე** მოხსენება პროგრამული მასალების დამუშავება „ოქტომბრის და თებერვლის რევოლიუციის შესახებ“.

— პარტგანათლების ქსელის პოლიტსკოლების მსმენელთა-კონფერენციის ქართულ სექციათა სხდომები შესდგება:

1. სამშაბათს—22 თებერვალს საღამოს 6 საათზე ე. ცენტრ. მუშათა კლუბში (პლეხანოვის გამზირი) სავალდებულოა 1 და 2 საფეხურის პოლიტსკოლების და მუშა ქალთა პოლიტცოდნის წრეების დელეგატთა დასწრება.
2. ოთხშაბათს, 23 თებერვალს—იქვე საღამოს 6 საათზე—სავალდებულოა პარტ. სკოლების და ლენწრეების დელეგატების დასწრება.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ა. წ. 23 თებერვალს (ოთხშაბათს). დილის 10 საათზედ მოწვეულია კომ. პარტიის და კომ. კავშირის ბიურო კოლექტივების და კომ. პარტიის ცალკე **უჯრედების გაფართოებული თათბირი.**

თათბირზედ აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ამხ. ამხ. მელიმონაძე ნატალია, დადუნაშვილი ლავრენტი, ბახტაძე სევერიანე, ხაჩიძე ლეო. გურგენიძე სერგო, ცინცაძე გრიგორ და მაჭავარიანი.

იმავე დღეს 12 საათზე უნდა გამოცხადდენ ბიურო კოლექტივში შემდეგი ამხანაგები: სულაქველიძე კოწია, ხუნდაძე სიმონი, თალაკვაძე ისიდორე, ბუაჩიძე ანდრო, ბუაჩიძე პეტრე, მუშიშვილი გრიგორი, ცინცაძე ალექსანდრე სიმონისძე და გვაზავა დავითი.

— **სახ. უნივერსიტეტთან არსებული აგრონომიული** ფაკ. ა.ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ სამშაბათს 22 თებერვალს, საღ. 7 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

დღეს, 22 თებერვალს, დღის 4 საათზე, პოლიგრაფტრესტის შენობაში შესდგება ახ. ლ. კ. კ. მბეჭდავთა მეოთხე უჯრედის კრება. ყველა ამხანაგების დასწრება ყოველ მიზეზის გარეშე აუცილებელია.

ბიურო.

სამუდამოთ დამწუხრებული მშობლები დავით ნიკოლოზის-ძე და ფოტინე ვარდენის ასული ლორიები, დები: ქსენია დავითის ასული მგალობლიშვილისა, თამარა დავითის ასული ჩემადანოვისა სიძებითურთ უღრმეს მადლობას უძღვნიან პატივცემულ საზოგადოებას ვინც პირადათ დაესწრო ან დეპეშით და წერილობით პატივ-სცა და გაიზიარა მათი ულრმესი მწუხარება საყვარელი შვილის ხიმიკის

მიხეილ (მიშა) ლორიას

უდროოთ გარდაცვალების გამო. ნ. 705

გაუბედურებული მეუღლე ხარიტონ ათანასეს ძე ბორჩხაძე და შვილები: ათანასე, ვალერიან და ავთანდილ აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა

სონა ივანეს ასული ხინველი-ბორჩხაძისა,

რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 22 თებერვალს სოფ. ბაღდადში (ოზურგეთი)

უბედური მოხუცი მამა ივანე ხინველი და გულდათუთქული ძმები: ეფე, ერმილე, ისაკი და ლუკა; მათი მეუღლენი: ოლია, ნინა, ანიკო და ლოლა და ისიდორე და თამარა კვაჭანტირაძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა

სონა ივანეს ასული ხინველი-ბორჩხაძისა,

რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 22 თებერვალს სოფ. ბაღდადში (ოზურგეთი)

ბოსლევის შვიდწლედის მასწავლებლობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 19 თებერვალს გარდაიცვალა მათი თანამშრომელი მასწავლებელი

კალერია ალექსანდრეს ასული ხაინდრავა-მიქაბერიძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 24 თებერვალს, სოფ. ბოსლევში, შორაპ. მაზრა. 1770

თავზარდაცემული და ღრმად დამწუხრებული ქმარი შალვა მიქაბერიძე დედა აგრაფინა, მამინაცვალი იაკობ ბოჭორიძე თავის შვილებით, ბებია ოლღა, ბაბუა ივანე კაპანაძეები: დები: თამარა ფხალაძისა, ხატამე ხუსკივაძისა, სიძეები ლადო ფხალაძე და კარლო ხუსკივაძე, მამამთილი დიმიტრი და რძალი ანა თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 19 თებერვალს, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

კალერია ალექსანდრეს ასული ხაინდრავა-მიქაბერიძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 24 თებერვალს, 5 საათზე, სოფ ბოსლევში შორაპ. მაზრა. 1770

ბიქტორი, შალვა, მიშა, სერგო, პეტრე, და რიმა კაპანაძე-თავბერიძეები, ვანიჩკა და შუშანიკა შანიძეები, და მაკარი ყანჩაველი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 19 თებერვალს, გარდაიცვალა გულითადი ამხანაგი და მეგობარი

კალერია ალექსანდრეს ასული ხაინდრავა-მიქაბერიძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 24 თებერვალს. სოფ. ბოსლევში (შორაპ. მაზრ.) 1770

ქუთაისის სამალმასკოის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებით აუწყებს ყველას, რომ 19 თებერვალს, ქუთაისში გარდაიცვალა მისი საამაყო თანამშრომელი და საზოგადო მოღვაწე მედიცინის დოქტორი

დიმიტრი ალექსანდრეს-ძე ნაზაროვი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება 24 თებერვალს, დღის 4 საათზე. ნ. 705

1927 წ. 19 თებერვალს, ქ. ქუთაისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მედიცინის დოქტორი

დიმიტრი ალექსანდრეს-ძე ნაზაროვი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მიცვალებულის შვილები: ელენა, ლარისა—ქმრით გ. ლ. რადოვიჩი ინა, ლეონიდე მეუღლით—ლიდია ფეოდოროვის ასული, ვალერიანი მეუღლით, სოფიო ვასილიევის ასული, დები პოლინა ალექსანდრეს ასული ნაზაროვის, ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე და ძმისშვილები თამარა, ტატიანა და ალექსანდრე ნაზაროვები. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება 24 თებერვალს, დღის 4 საათზე. ნ. 705

დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება გულითადი მწუხარებით აუწყებს ყველას თავის საპატიო თავმჯდომარის მედიცინის დოქტორის

დიმიტრი ალექსანდრეს-ძის ნაზაროვის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში 24 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 705

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 24 თებერვალს. ბილ-ბელოცერკოვსკის
პრემიერა **საჭე მარცხნივ!** პრემიერა
თარგმანი ს. ჩიქოვანის პიესა 4 მოქ. 15 სურათი
დადგმა: ალ. ახმეტელისა. მუსიკა გ. იპოლიტოვის.
კონსტრუქცია და კოსტიუმები ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ნ. 704

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 22 თებერვალს. ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **ლაკმე**
ოთხშაბათს 23 თებერვალს, 1-ლი აბონემენტის მე-7-ე წარმოდგენა გამოცხადებულის (ოპ. „ტანგაიზერ“-ის) მაგიერ **ტრუბადური**
ხუთშაბათს, 24 თებერვალს, ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **ტრავიატა**
ნ. 700

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 17—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—17 ნ. 587

დადგმის მე-2-ე კვირა
ბელა
„ჩვენი დროის გმირი„-ს ციკლიდან
(ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით)
საინტერესო ამერიკული კინო-რომანი
„ტყავის ხელთათმანები“
6 სერიათ 30 ნაწილად 1 და 2 სერია ერთად
ანონსი: ამ დღეებში ორი საუკეთესო სურათი
„მონის ფრთები“ და „როცა თოვლი დნება“.

ცირკი
ძმ. ტანტების
1—1 ნ. 701
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
სამშაბათს, 22 თებერვალს
განსაკუთრებული დანიშნულების სანახაობანი; ტრიო ლეანსის გამოსათხოვარი საღამო. მონაწილეობს სახელმწიფო ბალეტის მსახიობი ალბერტ უკანასკნელად „ნუ სტირი“ მონაწ. ყველა პაროდისტები დამსახ. მსახ. ლეო ტანტის მეთაურობით ბრძოლის მე-26-ე დღე
ჭიდაობს 4 წყვილი
გადამწყვეტი, საბოლოო შედეგებამდე, ერთხელ—მაისურაძე.
დაწვრილებით აფიშები—წ. იკითხეთ!!!
ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

გასასყიდათ გამოვიდა
იოსებ იმედაშვილის
ახალი პოემა
მშვენიერა
რაჭის წარსულიდან. გამოცემა გერ. მარშანიასი,, გარეკანის ნახატი ალ. გვეტაძისა. 48 გვ., ფასი 25 კაპ. მოიკითხეთ რკინისგზის ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში, კონტრ-აგენტებთან და გაზეთის ყველა გამყიდველებთან. ბითუმად მსურველებმა მიმართონ გამომცემელს გერ. მარშანიას—თბილისი, რკ.-გზ. სადგურის ჟურ.-გაზ. კიოსკში.
ნ. 691 5—1

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ
ჭიაურში მოაწყო. ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.
მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.
პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.
სიღნაღის სამაზრაღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.
1502 15—1

დღეს, განათლების მუშაკთა სახლში
დღის 1-ლ საათზე, განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. მიერ მოწვეულია ამავე კავშირის იმ წევრთა საერთო
კრება
რომლებიც გაერთიანებული არიან შემდეგ ადგილკომებში:
№ № 48, 49, 50, 51, 52, 53, 54.
დღის წესრიგში:
1. მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ, 2. გან. მუშ. კავშირის მე-6 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.
ნ. 703 ც გამგეობა

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 28 თებერვალს დღის 12 საათზე გოგოლის ქ. № 56 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზაქარია დ. თოიძის უძრავ ქონების 1 | 3 ორ სართულიანი სახლის უფლებას, რომლის 2 | 3 ეკუთვნის მარიამ თოიძისას. მთელი სახლი დაგირავებული აქვს ნადეჟდა ნაუმენკოს, ორ ათას მანეთში. სახლი შესდგება 24 ოთახისაგან, 7 სამზარეულოთი, სამრეცხაოთი და თონით. შეფასებულია 1 | 3 ათას მან. დასაკმაყოფილებლად ლიდა ჯაფარიძისა და სხვებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დავით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. 1773

გამოვიდა : იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
№ 2
შინაარსი:
1. ოცდა ხუთი თებერვალი.
2. ალ. გეგეჭკორი—ჩვენი სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლებას 6 წლის თავზე
3. ინჟ. ბ. ჭიჭინაძე—საქართველოს მრეწველობის მიღწევანი და მისი პერსპექტივები.
4. ი. ბუაჩიძე—საქართველოს კოოპერაციის აღორძინება.
5. დ. გვაზავა—წითელი ჯარის ცხრა წლის თავი.

საერთაშორისო მიმოხილვა:
6. გ. კვარაცხელია—ჩინეთის რევოლიუცია და იმპერიალისტები.

ადგილობრივი ცხოვრება:
7. დ. ორაგველიძე—აგიტპროპმუშაობის გაუმჯობესებისთვის.
8. აკ. ჭოჭუა—ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.
9. ნ. ენუქიძე—პარტიული მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში.
10. ნ. რუხაძე—პოლიტგანათლების საქმე თელავის მაზრაში
11. გ. იმედაძე—რადიო სოფლად.

ბიბლიოგრაფია:
12. ვ. მ.—ალ. წულუკიძე. თხზულებათა კრებული.
13. რემედახელი—პოპულიარული საუბარი რემედასის შესახებ.
14. გ. ც.—ელენე კრავჩენკო. გლეხი ქალი სასოფლო კოოპერაციაში.
15. მკ—ი.—ხ. ბოიარსკაია. მუშა ქალთა საერთაშორისო მოძრაობა.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან. ნ. 702 3—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისში
ექიმი ა. მ. ასათიანი
დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად — სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება.
13—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი
ზ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

მ დიც ნის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]ზე. იონნო-ტე რ პია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

ექ. ი. ე. ბაბიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ევროპაში ცნობილი გეოდეზის ის ენის პროფესორის D-r Eduard Dolezal'ის ყოფილი მოწაფე გეომეტრი-მარკშეიდერი
ვ. ს. ასათიანი
კისრულობს ქალაქებისა და სამადნოების ზუსტი ტრიანგულიაციების შედგენა-შემოწმებას.
მოლაპარაკება წერილობით: თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 20. 13—3

ქუთაისში
ექ. დ. ა. ჩხელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას
მიღება დილის 8—12 საათამდე ქავჭავაძის ქუჩა სახ. № 9.
13—1 ქვ. 1764

დავკარგე პირადობის მოწმობა ქ. სიღნაღის მილიციის სამართველოდან გაცემული შაქრო სიხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1707

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ივანე ერმალოსისძე პატარიძის სახელზე, ჩ. გ. 1774

დავკარგე კირიდობის მოწმობა № 0541 ელენე ნიკოლოზის ასული დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 1771

დავკარგე მოწმობა მოცემული ახალციხის მაზრის კალი-კლდის აღმასკომის მიერ 26 მაისის 25 წ. № 572 ხალილ-ჯალალ ოღლის სახელზე, ჩ. გ. 1772

დავკარგე საბინაო ამხანაგობის № 181 საბინაო წიგნაკი ტატიანის ქუჩა სახლის № 8, ჩ. გ. 1769

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 4714 ალექსანდრე რომანოზისძე გორგაძის სახელზე, ჩ. გ. 1768

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 5012 და წვევ-ნდელის მოწმობა მოცემული ქუთ. სამხ. კომისარიატიდ ნ გრიგოლ ტრიფონისძე ბუაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 705

დავკარგე თბილისის ქალაქის ბანკის ქუთ. განყოფილებაში შეტანილი სამი აქციის ქვითარი 1924 წ.—1925 წ. 1925 წ. დავით ოქროპირისძე ძაგნიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 705

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.